140
981

ISSN 0132—5978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმღერეკი

8
1981

სამამულო ომიანობა მოვალეობამდე

ნინო ხარაზიშვილი

მზე ხარბად დასჩერებია კარვების ქალაქს. კარვებს შორის მოქცეული, გულდაგულ მოკირწყლული გზაწვრილი მიმსვლელ-მომსვლელს ვერ იტევს. იფიქრებ, მთელი ქვეყნის წვრილ-ფეხობა აქ შეყრილაო, ისეთი ჟრიამული დგას ირგვლივ. ვინ ახლად გადაჭიმული კარვების სამაგრიბს ჩაჭკირკიტებს, ვინ სასწავლო-ტაქტიკურ ველზე სავარჯიშოდ გასულა. ვინ სამწყობრო დათვალიერების ხვალინდელი შეჯიბრებისათვის ემზადება. ერთი სიტყვით, ჯერ ჭაბუკობაში შეუსვლელ, მხიარულ-ცელქ ვარ ყმაწვილს დამსგავსებია ნაქის მთის მიდამოებში დაბანაკებული საკავშირო პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის“ IX რესპუბლიკური ფინალის მონაწილე ნორჩ არმიელთა 21 რაზმის ადგილ-სამყოფელი.

აქ თავშეყრილი ყმაწვილებიდან ალბათ ყველამ იცის ამ თამაშის ისტორია, მისი მიზანი და ამოცანები, მისთვის დამახასიათებელი ყველა სიკეთე და სიძნელე, მაგრამ თოთხმეტი წლის წინ დაწყებული „ცისკრული“ მოძრაობის მონაწილის ნაამბობი მაინც სხვაა.

ირაკლი ყანდარელი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ხელი შეუწყო ჩვენს რესპუბლიკაში „ცისკრის“ დაფუძნება-განვითარებას; ახლა ის სიამოვნებით უყვება პატარებს ამ თამაშისა და წითელი არმიის შექმნის ისტორიას, სამამულო ომის პერიოდში ჩვენს ქვეყანასა და ჩეხოსლოვაკიაში გადახდილი ბრძოლების ამბებს. ბავშვებმა უკვე იციან, რომ სწორედ ამ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა პატივცემულ ირაკლის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდებაც. ირაკლი ყანდარელი ხშირად იგონებს 1967 წლის 10 იანვარს; სწორედ ამ დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „პიონერსკაია პრავდამ“ „ცისკრის“ ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის გმირის, არტილერიის მარშლის ვ. ი. კაზაკოვის № I ბრძანება. ეს ბრძანება ახალი ეტაპის მაუწყებლად იქცა საკავშირო ლენინური პიონერული ორგანიზაციის ისტორიაში. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ნორჩ არმიელთა საწვრთნელი ბატალიონების შექმნისა და დაკომპლექტების საქმეს. სულ მალე პიონერთა კორესპონდენციები (მათი რიცხვი 20 000-ს აღწევდა) მარშლის № 1 ბრძანების წარმატებით შესრულებას უპატაკებდნენ მშობლიურ პიონერულ ორგანიზაციას. ამავე წლის ივნისში ქალაქმა სევასტოპოლმა უმასპინძლა „ცისკრის“ რესპუბლიკურ ფინალებში გამარჯვებულ ნორჩ არმიელთა 24 რაზმს. ეს იყო საკავშირო პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის პირველი საკავშირო ფინალი, დასაწყისი იმ დიდი ტრადიციისა, რომელმაც საბჭოთა არმიის რიგით მებრძოლებსა და ოფიცრებთან, სამამულო ომის ვეტერანებსა და მათ დაღუპულ მეგობართა სახელებთან დააძმობილა, დაამეგობრა მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერია, თითოეული ნორჩი არმიელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხულ ცოტაც და... „ცისკრის“ IX რესპუბლიკური ფინალი გახსნილად გამოცხადდება.

საქართველოს საუკეთესო სკოლების წარმომადგენლებმა, „ცისკრის“ ტრადიციებისა და მიზნების საუკეთესო დამცველებმა და ხორცშემსხმელებმა მოიყარეს თავი 12 ივნისს ქ. გორში სამხედრო-პატრიოტული თამაშის IX რესპუბლიკურ ფინალში მონაწილეობის მისაღებად. თქმა არ უნდა, ყველა ოცნებობდა პირველობაზე, ქალაქ ოდესაში გამგზავრებისა და „ცისკრის“ საკავშირო ფინალში მონაწილეობის უფლების მოპოვებაზე.

მეგობრული პაექრობა საუკეთესოებს ავლენს ყოველთვის. სამხედრო-საწვრთნელ ვარჯიშებსა და სპორტულ სახეობებში შეჯიბრება იოლი როდია. მართალია, თითოეული რაზმი, მეტად თუ ნაკლებად, დახელოვნებულია ამ სახეობებში, მაგრამ მჯობნის მჯობს ვინ დალევს, წარმატებას მუდმივ მეკვლედ და მეგობრად ვინ გაიხდის...

...თბილისის მე-16 და მე-20, რუსთავის მე-11, გორის რაიონის კარალეთის, გარდაბნის თბილსრესის, ახალციხის მე-5, ტყიბულის 1-ლი, ტყვარჩელის მე-3, ბათუმის მე-7, ფოთის 1-ლი, ქუთაისის მე-13, მცხეთის რაიონის მისაქციელის, წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის, სიღნაღის რაიონის წნორის მე-2, დუშეთის მე-3, გორის მე-12, ზესტაფონის მე-4, მაიაკოვსკის რაიონის დიმის მე-2, სამტრედიის მე-2, ცხინვალის რაიონის გრომის, ბოლნისის რაიონის კაზრეთის საშუალო სკოლების ნორჩ არმიელთა რაზმები...

საქართველოს ალკა ცკ.ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ჯიორნეჯრი

8 აგვისტო 1981

გამოდის 1926 წლიდან

სკკ ალკ ცკ-ის გამომცემლობა

ძნელი და შრომატევადი იყო განვლილი პერიოდი თითოეული მათგანისათვის. ჯერ იყო და, სასკოლო შეჯიბრებებს რამდენი სიძნელე ახლდა, შემდეგ რაიონული, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებები... თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პიონერებს ჩვენი რესპუბლიკის საიუბილეო დღეებში მოუხდათ გარჯა და თავიანთ რეგიონებში პირველობის მოპოვება, ეს ფაქტიც ბევრს იტყვის. ამ ფაქტს უკანაც პიონერთა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და დამღლელი, ყოველდღიური შრომა დგას.

რა მისცა „ცისკარმა“ თითოეულ

ჯ. მარჯანიშვილის სახ. ... ბიბლ.
სახელმწიფო ... ბიბლ.
ბიბლიოთეკა

ეს გამოცდა თავისი მომთხოვნელობით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სასკოლო გამოცდებს.

მათგანს? ამ კითხვაზე თითქმის ყველა სხვადასხვაგვარ, თავისებურად საინტერესო პასუხს იძლევა. — რომანტიკა? ჭირთა თმენა და სიძნელეთა დაძლევა? ქარისაგან ქალთებაფრიალებული კარვის სიღრმეში შუაღამისას გამკრთალი ძილი? საერთო, ჯარისკაცურ ტაბლაზე კეთილი გულით შემოთავაზებული ულუფა? იქნებ — დამოუკიდებლობა, საკუთარი ნიჭ-უნარისა და ალღოს მოსინჯვის შესაძლებლობა, იქნებ — საქვეყნო, მამულიშვილური ვალის ის პირველი შეგრძნება, რომლის მიღმაც უკვე ქვეყნისა და ხალხის საჭიროებასა და სიხარულ-ტკივილზე დაფიქრებული კაცის სახეა საძიებელი? რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას თამაშის გარეგნული მხარე არ ითვალისწინებს, მაგრამ გულისხმობს კი. იგი მოზარდში აუცილებლად აღვიძებს იმ დიდსა და სასიკეთოს, რომლისგანაც შემდეგ მოქალაქე, პატრიოტი, ხალხის ინტერესების მოდარაჯე პიროვნება — ჯარისკაცი ყალიბდება.

უხდებათ ავიატორთა ფორმები წყალტუბოელებს, იმათ, რომლებმაც ახლა სამწყობრო დათვალიერებაზე, ჟიურის წინ ჩაიარეს, ათიოდე წუთის წინ კი ისინი „ცისკრის“ რაიონული ფინალის შესახებ მიამბობდნენ და განსაკუთრებით ოსტატურად „დივერსანტების“ (სკოლის X კლასელების) მიერ „მოპარული“ პიონერული ატრიბუტების პოვნის ამბავი მოგვითხრეს.

„საბრძოლო ფურცელი“ საინტერესოდ შეუდგენიათ ახალციხელ პიონერებს — ზურაბ დურგლიშვილს, რამაზ მიქელაძეს, თინიკო ბურდულს, ქეთინო ლაზიაშვილს, გელა და ლუხუმ კაპანაძეებს.

მერე, როცა სბანაკო და ჯარისკაცური ცხოვრებაც ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა პიონერებისათვის, გამარჯვებებმა ღირსეულები მონახეს — სამწყობრო დათვალიერებაში გორელმა, ფოთელმა და ტყვარჩელელმა პიონერებმა იმარჯვეს, სახანძრო საქმეში — სამტრედიელებმა, ავტომატის დაშლა-აწყობასა და ბურთის ტყორცნაში — გორელებმა; ორჭიდსა და ცურვაში ბათუმის რაზმი იყო საუკეთესო; ჟიური განსაკუთრებით დაინტერესა ბათუმის მე-7 სკოლის მეშვიდეკლასელის, ცურვაში მოზრდილების II თანრიგის მქონე მერი დოლიძის შედეგმა. მერიმ ორჭიდსაც მამაცურად გაართვა თავი (შეასრულა 60 მიზიდვა). ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია თბილისის მე-20, მე-16 და რუსთავის მე-11 საშუალო სკოლების ნორჩი საგზაო ინსპექტორები. ფინალის დროს არაერთხელ აღინიშნა ბოლნისის რაიონის კაზრეთის და ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლების ნორჩ არმიელთა გუნდების ორგანიზებულობა და დისციპლინიანობა. რაზმების ეს თვისება განსაკუთრებით სამწყობრო დათვალიერებისას გამომჟღავნდა. ამიტომ არავინ გაუოცებია ფინალის ყველა დამსწრისა და მონაწილის განსაკუთრებულ სითბოსა და ყურადღებას ტყვარჩელის „ცისკრელთა“ რაზმის მიმართ. თურმე, ნუ იტყვით, ამ რაზმის მეთაურს სპეციალური წოდებაც აქვს მინიჭებული — „აფხაზეთის საუკეთესო მეთაური“. ეს წოდება მას „ცისკრის“ საოლქო ფინალზე მიაკუთვნეს. მართლაც და საოცარია, როგორი საშური ერთსულოვნებითა და სიყვარულით ემორჩილება მთელი რაზმი ამ თითისტოლა მეხუთეკლასელი მეთაურის — ფატიმა ჩერგენძიას ბრძანებებსა და მითითებებს.

როცა რაზმს უფრო ახლოს გავეცანით, შევიტყვეთ, რომ სკოლა, სადაც ეს პიონერები სწავლობენ, მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აზღრდის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა აფხაზეთში; რაც შეეხება სკოლის სამხედრო ბატალიონს, იგი საოლქო ფინალებში ექვსგზის გამარჯვებულია. სკოლაში მიმდინარე სამხედრო-პატრიოტული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე ისიც მიგვითითებს, რომ სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სამხედრო სასწავლებელში მიდის სწავლის გასაგრძელებლად. როცა რაზმის აქტივისტებს კარავში ვეწვიეთ, ისინი „საბრძოლო ფურცლის“ გამოშვებით იყვნენ დაკავებულები. მეექვსეკლასელ ლალი ხობას ფეხი მოხერხებულად მოერთხა, მეგობრების მიერ გამოთლილ, ლამაზ ჩარჩოში ჩასმულ „საბრძოლო ფურცელს“ წითელი, ბრიალა მიხაკების თაიგულს ახატავდა. საიდუმლოდ გამანდეს, რაზმის წევრებს ირმა გაბედავასა და ინდირა ვაბელიას დაბადების დღე უნდა მივულოცოთო.

აქ, „ცისკრის“ რესპუბლიკურ ფინალზე, გამოარკვიეს — სამტრედიელ და წყალტუბოელ პიონერებს თურმე ერთი და იგივე შეფები ჰყოლიათ. უცბად დამეგობრდნენ ზესტაფონელები და ქუთაისელები, გორელები და ფოთელები, თბილისელები და

მეგობრობა უკვე დაუძველდათ კიდეც ცისკრული მოძრაობის ვეტერან ირ. ყანდარელსა და ნორჩ არმიელებს.

მცხეთელები, ბათუმელები და რუსთაველები...

ფინალის პრიზიორები ყველაზე უკეთ პრაქტიკულმა და თეორიულმა სამხედრო-საწვრთნელმა და სანიტარულმა შეჯიბრებებმა გამოავლინა.

მიზანში სროლის დროს 50 ქულიდან 44 მოაგროვა გორის მე-12 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა კახა დავითიძემ; ავტომატის დაშლა-აწყობაში გაიმარჯვა ზურაბ ხაბელაშვილმა (24 წამი); სამედიცინო-სანიტარული მომზადების ცოდნით თავი გამოიჩინეს რაზმის გოგონებმა ალიონა ფილიპჩუკმა, ალიონა ლისაიჩუკმა, მარინა მღებრიშვილმა, მაია მიხაილუცემ და სხვებმა.

გორის მე-12 საშუალო სკოლა გამარჯვებული გამოვიდა არა მარტო „ცისკრის“ საქალაქო და რესპუბლიკურ ფინალში; მისმა გუნდმა საკავშირო ფინალზეც თავი ისახელა — სროლაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლის რაზმს დიდი მეგობრობა აქვს შეფ მეომრებთან, რომლებიც ხშირად ჩადიან მათთან. თითოეული მათგანი თავს მოვალედ

იცნობდეთ: ფინალის პრიზიორი — გორის მე-12 საშუალო სკოლის ნორჩ ცისკრელთა რაზმი.

თვლის, რაიმეთი დაეხმაროს უმცროს მეგობრებს — ასწავლის საბჭოთა არმიის ისტორიას. მათ და გორელ ნორჩ არმიელებს სამხედრო-პატრიოტული მუშაობის ვრცელი ერთობლივი პროგრამა აქვთ შემუშავებული. თავის მხრივ, პიონერებიც არ რჩებიან ვალში უფროს მეგობრებს — იწვევენ მათ სკოლაში გამართულ კონცერტებსა და ღონისძიებებზე. ასე რომ, კონტაქტები ინტენსიურია.

მეომრებთან — თავიანთ შეფებთან მეგობრობით კმაყოფილნი არიან ბათუმელი პიონერებიც. უნდა ნახოთ, როგორ ზრუნავენ უფროსი მეგობრები უმცროსებზე — ექსკურსიებზე ავტობუსებით ემსახურებიან, სამხედრო საქმეს ასწავლიან. ერთი სიტყვით, ჭირიც ერთი აქვთ და ლხინიც, ერთობლივ ღონისძიებებსაც ხშირად ატარებენ. თუნდაც ის, 23 თებერვალს ჩატარებული საღამო რად ღირდა... რაზმის მებრძოლი სვეტლანა მანჯოსოვა ხის თვითნაკეთ ავტომატებზე მიმითითებს. — ჩვენი შეფების ნახელავიაო, — მეუბნება.

სამხედრო-საწვრთნელი და ტაქტიკური მეცადინეობის დროსაც შეფები აკითხავენ ბათუმელ ნორჩ არმიელებს. სკოლაში მეცადინეობენ, ეზოშიც ჩადიან და ვარჯიშობენ, თანაც დღე არ გავა, სამოქალაქო თავდაცვის პედაგოგმა ვლადიმერ ბაბჩენკომ მინდორში სავარჯიშოდ არ წაიყვანოს რაზმი. ასე რომ, არც ეს წარმატებები მოსულა თავისით და არც ის მეორე ადგილი, რომელიც წლევანდელ რესპუბლიკურ ფინალში მოიპოვეს რაზმის ნორჩმა არმიელებმა.

ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება, რომელიც ფოთის ნორჩ არმიელთა სამხედრო-სპორტული მომზადების შესახებ ჩაინიშნა ჟიურიმ, რაზმის ლამაზ მეზღვაურულ კოსტიუმებს შეეხო. თუმცა კოსტიუმების შერჩევა ყველაფერი როდია. მით უმეტეს, არც ფოთის 1-ლი სკოლის რაზმსა და არც მის პედაგოგს თემურ გუჯაბიძეს ესწავლებათ ეს გარემოება. ალბათ, მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული და სპორტული აღზრდის გარკვეულ ტრადიციებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქალაქის ამ სკოლის ნორჩ არმიელთა რაზმი ბოლო წლებში ჩატარებული „ცისკრის“ თითქმის ყველა-ერთიანი პუბლიკური ფინალის აქტიური მონაწილეა.

რაზმის მეთაური გოგონაა, მანანა ლალიძე. მანანას სიმკაცრითა და რაზმისადმი მომთხოვნელობით ვერ დაიწუნებ — მეთაურისათვის საჭირო თვისებები აქვს. სამხედრო რაზმში ცხოვრებას ხომ დისციპლინა და ორგანიზებულობა აძლევს შნოსა და ლაზათს; ასწავლიან მათ სამოქალაქო და სამამულო ომების ფოთელი ვეტერანები, მათი თანაქალაქელები, სწორედ ისინი. ვინც ჯერ კიდევ მათი მშობლების ბავშვობასა და მომავალს ედგა დარაჯად.

„ცისკრის“ საქალაქო ფინალის შესახებ ხალისით ყვებიან ბავშვები. ერთმანეთს არ აცლიან. ყველას უნდა თქვას, ვინ სად, როდის და რომელ სახეობაში გამოიჩინა თავი: მძლეოსნობაში გრიგოლ ალასანიას უპირატესობას აღიარებენ, ბურთის სროლაში — კახა გოგოძისას; სახანძრო საქმეში მერაბ ბუბუტეიშვილის, მერაბ დოლბაიას და ზაზა ფირნუჩიას ხელმარჯვეობა მოსწონებიათ. სხვა შეჯიბრებაში კიდევ — სხვისა. და აი, დღეს „ცისკრის“ რესპუბლიკურ ფინალში მონაწილეობის შედეგიც ცნობილია — მესამე ადგილი. უხერხულად იღიმებიან — რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგი უფრო სასურველი იყო. მაგრამ შედეგზე მთავარი ხომ მაინც სხვა რამეა: საერთო სიხარულისა და სევდის ფასი გაიგეს; რომ იტყვიან, ზიარი პური გატეხეს. ზიარი წყალი დალიეს — ათასი მეგობარი გაიჩინეს.

რა მიგყვებათ გორიდან საუკეთესო მოგონებად-მეთქი, რომ ვიკითხე, ერთმა თვალმაყვალა მცხეთელმა გოგომ შემომცინა, — ჯარისკაცურ კარავში გატარებული ღამეებიო, მითხრა. ალბათ ასე იმიტომ თქვა, რომ ამგვარი, ჯარისკაცური ცხოვრება საკუთარი ყოველდღიურობის ლოგიკით დადგენილის დარღვევად მიიჩნია და არა სხვად — უფრო ჩვეულებრივად, უფრო ყოფითად. მოდით, ნუ დავინახავთ ამ გოგონას სიტყვებში მხოლოდ ფანტაზიასა და პათეტიკას, უბრალოდ ვთქვათ, განა ეს მოზარდის სულისათვის საზრდოს მიცემა არ არის?! ვინ იცის, იქნებ სწორედ ამგვარი სულიერი საზრდო არის კიდეც ის აუცილებელი მარცვალი, რომელიც ასე სჭირდება ყმაწვილს, პიონერს იმისათვის, რომ ჯერ კიდევ ბავშვური, თუმცა მიზანსწრაფული თამაშიდან ერთგულ მოქალაქედ, ერთგულ პიროვნებად, სამშობლოს ერთგულ დამცველად ჩამოყალიბდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდამ ჩაჩანიძე
ძხატვარი
ედუარდ ამგოკაძე

ამგავი მესამე
გვესაუბრება
რესპუბლიკის სახალხო
არტისტი
გიორგი დარისპანაშვილი

იგზარდე, ენვანე ჯეჯილო!

ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲨᲕᲘᲠᲣᲚᲕᲐᲨᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲮᲘ

მაკარონის ქარხანაში ვმუშაობდი. ვიწრო ჭუჭყიან ქუჩაში, ცაცხვის ხეივნის ბოლოში ჩვენი ქარხნის ქუფრი კორპუსი იყო აღმართული. დილით ადრე შევდიოდი ქარხნის ჭიშკარში და შუადღემდე ხვითქი მასკდებოდა. ქარხნიდან ხუთასიოდე მეტრის დაშორებით ყაზარმის ორსართულიანი გრძელი სახლი იდგა, რომელშიაც წითელარმიელები ცხოვრობდნენ. სასულე ორკესტრის ხმას რომ გავიგონებდით, უმაწვილები ყაზარმისკენ გავრბოდით. მივვარდებოდით რკინის გისოსებით შემოკავებულ ეზოსთან და ცნობისმოყვარეობით შევცქეროდით, თუ როგორ მწყობრად დააბიჯებდნენ გრძელხმლიანი ჯარისკაცები ფართო ეზოში. წინ ოქროსფერულვაშიანი კაცი მიუძღოდათ, რომელსაც ჩაკეცილი ბოხოხი ეხურა და მარჯვენა მხარეს უშველებელი მაუზერი ჰქონდა ჩამოკონწიალებული. იწურებოდა ათას ცხრაას ოცდასამი წელი. მაშინ თბილისის მესამე რაიონში ბევრი წვრილი საწარმო იყო, სადაც ახალგაზრდა მუშები შრომობდნენ. იმხანად მათგან შეიქმნა ახალგაზრდობის თეატრალური დასი. მეც ახალგაზრდა ვიყავი, 16 წლისა. თეატრი ძალიან მიყვარდა და ამ დასს ვხელმძღვანელობდი.

ერთხელაც ვნახოთ, კომკავშირის უჯრედმა პიონერთა ახალშექმნილი მეორე კოლექტივის ხელმძღვანელობა დამავალა. ცოტა არ იყოს, ამ დავალებამ დამაფიქრა და თავიც შევიკავე, მაგრამ დამარწმუნეს, რომ საქმეს კარგად გავართმევდი თავს. მეც ხელი ჩავიქნიე — რადგანაც ასე სჯერათ, ალბათ რაღაცას გავაკეთებ კიდეც-მეთქი.

მეორე დღეს კოლექტივში გამოვცხადდი. შესაკრებად ერთი აგურის სახლი გვქონდა, უფრო სწორად — ნასახლარი, უკარო და უფანჯრო, დეკემბრის ქარი ყოველი მხრიდან უბერავდა. სახლი კი არა, ნამდვილი საყინულე იყო. ისა და მისი მომიჯნავე შენობები ადრე ერთ მდიდარ ვაჭარს ეკავა თურმე საწყობებად. მერე, წითელი ჯარი რომ შემოვიდა, ვაჭარს გუდა-ნაბადი აუკრავს და ყველაფერი მიუტოვებია. დამშეული ხალხი მისწყდომია საწყობებს, არც კარი შეურჩენია და არც ფანჯარა. ბოლოს ამ ცივ კედლებს პიონერთა პირველი თაობა დაჰპატრონებია.

პირველად რომ მივედი ამ სახლში, ათიოდე გოგო-ბიჭი დამხვდა. ძველმანები ეცვათ. მოწყენილი და დაღლილი გამოიყურებოდნენ.

— თქვენ ბრძანდებით გოგი დარისპანაშვილი? — მითხრა ერთმა დაბალმა ბიჭმა და შავი, ბდღვიალა თვალები შემომანათა.

— მე გახლავართ.

ბიჭმა ორიოდე ნაბიჯი გადმოდგა და გამომეჭიმა.

— კი მაგრამ, ჩვენთან რისთვის გამოგგზავნეს, რა უნდა აკეთოთ?

მივხვდი, რომ დადგა კრიტიკული მომენტი. საჭირო იყო ამეხსნა ჩემი მისიის მიზანი.

— ჩვენ თეატრალური დასი უნდა ჩამოვაყალიბოთ. მაგრამ, მოდით, ჩამოვჯდეთ და ისე ვილაპარაკოთ.

— ჩამოვჯდეთ რა... — თქვა ბიჭმა.

მართალი გითხრათ, ის უმაწვილი მაშინვე მომეწონა. რაღაც ნაღველშერეული, ფიქრიანი თვალები ჰქონდა. გაბედულიც ჩანდა.

დამტვრეულ ტახტზე ოთხნი მოვთავსდით, დანარჩენები ისევ ფეხზე იდგნენ. ის დაბალი უმაწვილი გვერდით მომიჯდა.

— მაშ, თეატრალური დასი უნდა შევქმნათ? ჩვენ და მსახიობობა?!

— მოდით, ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ, — ვთქვი მე. — როგორც იცით, მე გოგი დარისპანაშვილი ვარ. ახლა თქვენი გვარი და სახელიც მითხარით.

— მე მიშა მენთეშაშვილი ვარ, — მითხრა ბიჭმა, — ეს გოგი მრევლიშვილია, ეს მერი ჯახტანიძე, ესა — ზაქრო მუჩიაშვილი... — და ასე თანამიმდევრობით ყველა თავისი მეგობარი გამაცნო. პირველი ჩხირი უკვე გატყდა. მორიდების გრძნობაც ნელ-ნელა კვამლივით გაიფანტა...

მერი ჯახტანიძე ჩემს პირდაპირ იდგა. ორი შავი ნაწნავი წელამდე სცემდა. ლამაზი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა და ეშხიანი სახე. როცა უკვე გულახდილ საუბარზე გადავედით, მერიმ ინტერესი ვერ დაფარა და მკითხა:

— ხომ ვერ გვეტყვით, რა პიესა უნდა დავდგათ?

მე მხრები ავიჩეჩე.

— პიესა ბევრი გვაქვს. ჯერ არ შემირჩევია. მგონი აჯობებს, ერთად შევარჩიოთ.

— ჰო, ერთად, — დაიძახა გოგი მრევლიშვილმა.

— აქ ცივა, თუ გნებავთ, ჩემთან წავიდეთ და იქ შევარჩიოთ. ესეც რომ არ იყოს, პიესები შინ მაქვს.

— წავიდეთ, — დაიძახა მენთეშაშვილმა. — თუ თქვენებს არ შევაწუხებთ, წავიდეთ.

აშმორებული შენობიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოვედით და ჩემი სახლისაკენ გავემართეთ. დედაჩემს ძლიერ გაუკვირდა, უკან მთელი ამალით რომ დავბრუნდი, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ყველანი შუშაბანდში დავსხედით. მაშინვე პიესების კითხვას შევუდექით. ერთ-ორ მოქმედებიანი პიესები იყო,

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1, 5.

ისტორიულ და რევოლუციურ თემებზე. მთელი სამი საათი ვკითხულობდით და ვარჩევდით. ბოლოს, დასაწყისისათვის, ორი პიესა — „პატარა კახი“ და „რევოლუციის მოლოდინში“ ავარჩიეთ. გადავწყვიტეთ, ორივე პიესაზე მუშაობა ერთდროულად დაგვეწყო. ნაწილი როლებისა სახელდახელოდ გავანაწილეთ. სამი დღის შემდეგ კი იმ გაყინულ ნასაწყობარში პიონერთა მთელი კოლექტივი შეიკრიბა. აქ საჯაროდ უნდა გვემსჯელა ორივე პიესის ავ-კარგზე და მსახიობებიც შეგვერჩია იმ როლებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო განაწილებული.

ორივე პიესა უკვე ყველას ჰქონდა წაკითხული, ამიტომ ყველამ გამოთქვა თავისი აზრი. დარჩენილი როლებისთვის და მასობრივი სცენებისთვის შევარჩიეთ მსახიობები. ის იყო საქმეს მოვრჩით და უნდა დავშლილიყავით, რომ შენობაში ვიღაცამ შემოაბიჯა. ჯმუხი კაცი იყო, ლურჯი მაუდის თბილი პალტო ეცვა და თავზეც თბილი ბოხოხი ეხურა. სახე გადამწიფებული პამიდორივით ჩაწითლებოდა. დიდი, ღაჟღაჟა ცხვირი ჰქონდა.

შემობრახუნდა ის კაცი, მონიკელებული ლამაზი ტროსტი იატაკს დაჰკრა და დაგვჭყივლა:

— აბა, ერთი დამენახეთ, რა ვირთხები შეკრებილხართ აქა?

ზაქრო მუჩიაშვილი ერთმანეთზე დაწყობილი აგურებიდან სწრაფად წამოხტა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა და იმ კაცს წამოეჭიმა.

— აბა ერთი შენც დაგვენახე, რა ფისო მობრძანებულხარ!

იმ კაცმა ტროსტი ისევ დაჰკრა იატაკს.

— ეს ვინ ოხერია?

— ოხერი კი არა, პიონერები ვართ, — დაიძახა მენთეშაშვილმა.

— მერედა, ხომ აგიკრძალეთ ამ ჩემს შენობაში შეკრება!

— შენი კი არა, შენი ძმის შენობაში, მუქთახორა ძმის შენობაში! — დაიყვირა მერი ჯახტანიძემ.

— რაო, რაო? — დაიგუგუნა მწითურმა კაცმა. — ეს ვინღა მოთრეულა? ხედავ, ჭკუასაც მარიგებს — შენი ძმისაო! ერთი ესეც მიბრძანეთ, ჩემი და ჩემი ძმის ქონება ვინ გაყო. მამაჩემს — ვართანას არ გაუყვია და დედაჩემს. შენა ყოფ, შე კატის ცინდალო, შენა? აბა, ბრძანე, რა უფლების ძალით?

— ეე, აბა, ცოტა ჭრაქს დაუწიე, ძია კაცო! — დაიყვირა მიშა მენთეშაშვილმა. — ტიპიური ბურჟუას წარმომადგენელი მოსულხარ აქა და პიონერულ კოლექტივს მუშაობაში ხელს გვიშლი. ხომ იცი, რომ გიჩივლოთ, რა მოხდება?

— რა მოხდება? — დაიმაწყა ბუხრისქუდიანი კაცი.

— რა და მეტეხში მიგაბრძანებენ.

— რაო, რაო? მე მიმაბრძანებენ?

— დიახ, შენა, აბა მაშ ვისა!

მერე წინ გოგი მრევლიშვილი გამოვიდა. მოსული ბიჭი იყო, მკლავიც ერჩოდა.

— ამას რაღა უნდა? — დაიკნავლა ბურჟუას ალალმა ძმამ.

— რაც მინდა, ახლავე გაიგებ! — დაიყვირა გოგიმ, მაგრამ ბუხრისქუდიანმა მაშინვე მოცოცხა.

მრევლიშვილი ჩვენკენ შემოტრიალდა.

— ხედავთ ამ შავ კატას, როგორ შემოგვაკნავლა!

— კიდევ გამოჩნდება, — თქვა მენთეშაშვილმა. — განა ასე ადვილად მოინელებს იმ ქონების შეცილებას, მისმა ძმამ ხალხის ყვლეფით რომ შეიძინა?

— ვერ მოინელებს და აი დარდი! — დაიძახა გოგიმ, — თავი რიყის ქვაზე უხლია!

ის კაცი ნასაწყობარში მეტად აღარ გამოჩენილა. ჩვენ კვირაში სამჯერ მაინც ვიკრიბებოდით და როლებზე ვმუშაობდით. ყინვა თანდა-

თან უჭერდა, სულ უფრო და უფრო მეტად იკბინებოდა, მაგრამ რეპეტიციებს არავინ აკლდებოდა. მე, როგორც რეჟისორს, მათთან მუშაობა სულაც არ მიჭირდა. ორივე სპექტაკლი ერთ თვეში მზად გვქონდა. დღის წესრიგში იდგა საკითხი, სად გაგვემართა წარმოდგენები. ნასაწყობარში, რასაკვირველია, არავითარი ეფექტი არ ექნებოდა. ჯერ ერთი, აუტანლად ციოდა; მეორეც, არც სცენა გაგვაჩნდა და არც სკამები მაყურებლებისათვის. საქმეში მესამე რაიონის კომკავშირელები ჩაერივნენ და გადაწყდა პირველი სპექტაკლები ეგრეთ წოდებული მურამკოვის თეატრის სცენაზე მოგვეწყო. სინამდვილეში, ეს თეატრი კი არა, ავლაბრის წმინდა მარიამის ეკლესია იყო.

პრემიერამდე სამი დღით ადრე მე და მიშა მენთეშაშვილმა მესამე რაიონის კომკავშირული უჯრედიდან აფიშისათვის ათი ცალი დიდი, ქათქათა ფურცელი წამოვიღეთ. გოგი მრევლიშვილს ხატვა ეხერხებოდა. არც ჩვენ ვიყავით მხატვრობაზე მთლად შემომწყრალნი და სამივენი წმინდა მარიამის ეკლესიის სცენაზე ავედით. ფურცლები იატაკზე გავფინეთ და საქმეს შევუდექით. საღებავები არ გვქონდა, მაგრამ მათ მაგვრობას გამხმარი ენდრო გვიწევდა, რომლითაც დედაჩემი საააღდგომო კვერცხებს ღებავდა ხოლმე. დედას გული გავუწვრილე, სანამ ეს ხმელი, გრძელი ჩხირები არ მომცა. შემდეგ მე და მერი ჯახტანიძემ მათი ნაყენი მოვამზადეთ.

მთელი დღე თავაუღებლად ვშრომობდით და საღამოსათვის უკვე ხელთ გვქონდა მშვენიერი ცინცხალი აფიშები. მერე ეს აფიშები დიდი ზარ-ზეიმით გამოვიტანეთ და მესამე რაიონის მუშათა უბნებში ყველაზე გამოსაჩენ ადგილებზე გავაკარით.

●

პირველ სპექტაკლს უამრავი ხალხი დაესწრო. პირდაპირ ტევა არ იყო. წარმოდგენის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ჩემთან ერთი ახალგაზრდა მოვიდა, მე მას შორიდან ვიცნობდი, რამდენჯერმე შევხვედროდი მესამე რაიონის კომკავშირული უჯრედის სხდომების დროს.

— იცი რა, გოგი, — მითხრა მან, — ჩვენთან წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური იყო. გვითხრა, ხმა გაავრცელეს, პიონერები წარმოდგენას მართავენ ვიღაც მუქთახორა მეფეზეო. ჩვენ იგი დავარწმუნეთ, რომ ეს ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ პროვოკატორის გავრცელებულია, სინამდვილეში კი საქმე ეხება ერის გმირ მეფეს, რომელმაც ადრევე განსაზღვრა ქართველი ხალხის მომავალი — რუსეთთან კავშირი. მეთაურმა ირწმუნა ჩვენი ნათქვამი, მაგრამ ისიც თქვა, შეიძლება წარმოდგენას მეც დავესწროო, აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო, კარგად ითამაშეო.

საქმე ის იყო, პირველ პიესაში — „პატარა კახში“ ერეკლეს როლს მე ვასრულებდი, მეორე პიესაშიც გვარიანი როლი მქონდა. ასე რომ, მთელი მონდომებით უნდა მეთამაშა.

წავიდა თუ არა ის ახალგაზრდა, მაშინვე ვიგრძენი, რომ ვღელავდი. ეს გოგი მრევლიშვილმაც შემამჩნია.

— ხელმძღვანელო, რა იყო, რა მოგვივიდა? განა ისეთი რა გითხრა იმ ბიჭმა?

არაფერი ისეთი არ უთქვამს-მეთქი, — მივუგე.

მერე ის იყო ფარდაც გავხსენით. გამოვედით თუ არა სცენაზე, მაშინვე მაყურებელთა ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. საერთოდ სცენის ხამი არ ვყოფილვარ, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო, ამდენი ცნობისმოყვარე თვალი ჯერ არ მენახა. კიდევ რამდენიმე წამი და, კართან წითელარმიელთა ის ოქროსფერულვაშიანი მეთაური გამოჩნდა, სამწყობრო მეცადინეობის დროს თავში რომ ედგა ხოლმე კოლონებს. დიახ, სწორედ ის იყო. შემოვიდა თუ არა, შუაში ჩაკეცილი ბოხოხი მოიშვლიპა, იღლიაში ამოიდო, მერე ორივე ხელი ულვაშზე გადაისვა და ჩვენაენ გამოსწია. გვერდით ორი წითელარმიელი მოსდევდა.

ხალხმა მიიწ-მოიწია და საპატიო სტუმრები შუაში ჩასვეს. მეთაური დაჯდა თუ არა, ბოხოხი მუხლისთავებზე დაიდო და გულხელი დაიკრიფა.

ავღელდი, მაგრამ ბოლოს მაინც შევძელი ნერვების მოთოკვა, სპექტაკლი დაიწყო... მთელი ხმით დავაგუგუნე:

— ქართლელ-კახელნო, მისმინეთ მე, მეფე ერეკლე მეორეს!..

დარბაზი გაისუსა, ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდა კაცი. შესანიშნავი პარტნიორები მყავდნენ, მთელი მონდომებითა და განცდით ასრულებდნენ თავიანთ როლს.

დამთავრდა სპექტაკლი თუ არა, დარბაზში მქუხარე ტაში ატყდა. დავინახე, როგორ წამოდგა ფეხზე ოქროსფერულვაშიანი კაცი. ის ორი წითელარმიელიც ადგა, რაღაც დაიძახეს და ტაში დასცხეს. პირველი დიდი წარმატება მიღწეული იყო. ახლა ისღა რჩებოდა, მეორე სპექტაკლში ასეთივე მონდომებით გუგუთამაშა.

მცირე შესვენება გამოვაცხადეთ. შემდეგ, მეორე სპექტაკლში ახალი ენერგიით შევუდექით თამაშს. პიესაში კარგად იყო გამოკვეთილი ორი ძალის — წარსულის და ახალი, რევოლუციური ძალების შეჯახება. კლასთა ბრძოლის ფონზე ნათლად ჩანდა ძველი დროის ნგრევა და სიკვდილი, ახლის ტრიუმფალური სვლა. სპექტაკლის მსვლელობას თან ახლდა განუწყვეტელი ტაში. აი, უკანასკნელი მონოლოგი — სინათლის მოციქული საჯაროდ აცხადებს: „ჩვენ წარსულის ბნელეთი დავანგრიეთ არა იმისათვის, რომ ერთი ძალმომრეობა შევცვალოთ მეორეთი, ერთი კაბალური უღელი — სხვა უღლით. არა და არა! ჩვენ შევმუსრეთ მუქთახორები მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ქვეყნად სუფევდეს სინათლე, ხალხი იყოს თავისუფალი და ბედნიერი, უხაროდეს დილის მობრძანება და ასეთივე ხალისით იწყებდეს შრომას ნათელი მომავლისათვის. მაშ, გაუმარჯოს დიდ ძალას, რომელიც კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ მიგვიძღვის!“

ეს ლოზუნგი დიდი რიხით წარმოვთქვი. მაშინვე ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ტაშის ხმა დიდხანს არ შეწყვეტილა, აღფრთოვანებული მაყურებელი სცენაზე გვიხმობდა. ჩვენც არ დავაყოვნეთ. ტაში არ წყდებოდა და ბოლოს დავინახეთ, რომ სცენისაკენ წითელარმიელები წამოვიდნენ, წინ ის ოქროსფერულვაშიანი კაცი მოუძღოდათ. სწრაფად გამოარღვიეს მაყურებელი და ზევით ამოიჭრნენ. ოქროსფერულვაშიანმა ორივე ხელი გაშალა.

— ყოჩაღ, შესანიშნავი სპექტაკლი გვანახეთ, — მე ვიგრძენი, როგორ შემომეხვია მისი მძლავრი ხელები. — ყოჩაღ, შვილიკო, შენ დიდებული მსახიობი იქნები.

ოქროსფერულვაშიანი კაცი ხელს არ მიშვებდა, საოცრად იყო აღფრთოვანებული. საშუალო სიმაღლისა გახლდათ. ვიწრო, ცისფერი თვალები და დაღარული შუბლი ჰქონდა, სახე — ისეთი კეთილი, რომ მისი აღწერა მიჭირს კიდეც.

— იცი რა, შვილო, — მითხრა მან, — კარგი იქნება, თუ ერთ სპექტაკლს ჩვენც შემოგვწირავთ. სამხედრო ნაწილიდან აქ მხოლოდ სამი წითელარმიელი ვართ. მინდა, ეს მშვენიერი დადგმა ყველა ჩვენმა მეომარმა ნახოს. მე ივანე პეტრეს ძე კრილოვი ვარ. მაშ ასე, გეპატიჟებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, მაშინვე დავთანხმდი. შევპირდი, რომ ვესტუმრებოდით და სპექტაკლის დადგმის დღეს შევუთანხმებდით.

მესამე დღეს მე, გოგი მრევლიშვილი და მიშა მენთეშაშვილი სამხედრო ნაწილში მივედით. ივანე კრილოვმა დიდი სიხარულით მიგვიღო, ჯარისკაცურ სუფრასთან მიგვიწვია, შესანიშნავი ბორშჩი მოგვართვეს და საუბარიც იქ გავაბით. დავთქვით დღე, როცა ჩვენი დასი სამხედრო ნაწილს უნდა სწვეოდა. მიშა მენთეშაშვილს წამოსცდა, ახლომახლო სოფლებშიაც გვეპატიჟებიან და ქალაქგარეთ გასტროლებს ალბათ გაზაფხულისათვის დავგეგმავთ, როცა უფრო დათბებაო.

— იცით რა, — თქვა ივანე პეტრეს ძემ, — თქვენ რომ გასტროლებს დაიწყებთ, ჩვენც შეგვატყობინეთ, ფორანს გათხოვებთ. მთელი დასი მოთავსდებით ზედ. აბა, ფეხით ხომ არ ივლით!

— დიდებული საქმეა, — წამოიძახა მრევლიშვილმა, — ამას რა სჯობს.

სწორედ ახალწლის საღამოს იყო დანიშნული სამხედრო ნაწილში სპექტაკლები. ჯერ ნასაწყობარში შევიკრიბენით, იქიდან კი უაზარმას მივაშურეთ. ოთხი წითელარმიელი უკვე გველოდა ჭიშკართან. ღიმილით მოგვეგებნენ. ეზო გადავჭერით თუ არა, თვალი მოვკარით უაზარმის დიდ კედელზე უზარმაზარი ასოებით დაწერილ წარწერას: „სალამი პიონერული თეატრის მსახიობებს“! მაშინვე მეტი პასუხისმგებლობაც ვიგრძენით. უკვე შესამჩნევად თბილოდა. სული მოვითქვით. ცოტაც და ჩვენკენ მომავალი ივანე კრილოვი დავინახეთ.

სახე გაბადროდა, ორივე ხელი ფართოდ გაეშალა და ისე მოაბიჯებდა. მოაბიჯებდა კი არა, მორბოდა.

— აი, ისინიც, ჩემი მეგობრები!

— შემოგვეგება და დარბაზისაკენ გაგვიძღვა.

ორივე სპექტაკლი კარგი გამოგვივიდა. წითელარმიელები მთელი უურადღებით გვისმენდნენ, მქუხარე ტაშითაც დაგვაჯილდოვეს. ბოლოს, ტაში რომ მინელდა, სცენაზე ივანე პეტრეს ძე ამოვიდა და სამხედრო ნაწილის მეომართა სახელით დიდი მადლობა გვითხრა.

ასე ჩაეყარა საფუძველი თბილისის მაშინდელი მესამე რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული წითელი არმიის ნაწილისა და პიონერული თეატრის კოლექტივის მეგობრობას.

დათბა თუ არა, პიონერთა კოლექტივის წევრები ნასაწყობართან შევიკრიბენით. გარეთ უფრო თბილოდა და აბა შიგ რა გვინდოდა.

დავიწყეთ მსჯელობა, როდის დავწყოთ გასტროლები თბილისის ლობლად მდებარე სოფლებში. გადავწყვიტეთ, როგორც კი სწავლა დამთავრდებოდა, მაშინვე შევდგომოდით მოგზაურობას. უკვე საკმაოდ მრავალფეროვანი რეპერტუარი გვქონდა. პიესების უმრავალესობა სოციალური ხასიათისა იყო: კლასობრივი ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ასეთი პიესები ძლიერ მოსწონდათ. მსახიობთა რიგებიც საკმაოდ გაიზარდა. პირველი გამსვლელი სპექტაკლი ნორიში

უნდა გვეჩვენებინა. ჩვენი წარმომადგენლები წინასწარ ჩავიდნენ სოფელში, თავკაცებს მოელაპარაკნენ. დარბაზიც შეარჩიეს და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდექით გამგზავრების თადარიგს. მიშა ძამაშვილმა ივანე კრილოვის დაპირება გაიხსენა და მაშინვე უაზარმას მიაშურა. კრილოვმა სიტყვა შეასრულა. დანიშნულ დროს საწყობთან უშველებელი ფორანი მოგრიალდა. კოფოზე გიმნასტურაში გამოწკეპილი წითელარმიელი იჯდა და ფორანში შებმულ ორ შავრა ცხენს გულდაგულ მოერეკებოდა.

— ბიჭებო, არტისტები თქვენა ხართ, არა? — დაგვჭყივლა და კოფოდან გადმოხტა.

— ჩვენა ვართ! — მიუგო ძამაშვილმა.

— ჰოდა, მეც აქა ვარ ჩემი ფო-

ოანით. აჰა, მობრძანდით და, როგორც გენებოთ, ისე მოეწყვეთ. მე ლექსოს მეძახიან, — თქვა და ხელი სათითაოდ ჩამოგვართვა.

ფორანზე რომ მოვთავსდით, ლექსო ისევ კოფოზე წამოსკუპდა და ნორიოსაკენ გავუტიეთ. ნორიოში ის-ის იყო იქმნებოდა პიონერული კოლექტივი. ამ საქმის აქტივისტები სოფლის მისასვლელთან მოგვეგებნენ. ყველას წითელი ყელსახვევი ეკეთა, ხელში ყვავილები ეჭირათ.

შეხვედრა ძალზე გულთბილი იყო. დარბაზში შეგვიპატიჟეს და სპექტაკლისათვის მზადებას შევუდექით. აიხადა ფარდა თუ არა, მაშინვე ტაშმა იქუხა. სპექტაკლის შემდეგ სოფლის თავკაცებმა სუფრასთან მიგვიპატიჟეს, შემდეგ კი დიდის ამბით გამოგვაცილეს.

გასტროლების ეშხში რომ შევედით, ერთი უხერხულობა ამოტივტივდა. მაშინ ყველა სოფელს როდი ჰქონდა წარმოდგენის საჩვენებლად შესაფერისი ბინა. იძულებული გავხდით ჩვენი შემოქმედება მინდორში ან სოფლის მოედანზე გვეჩვენებინა. ეს საქმეც რთული იყო. არ გვქონდა რაიმე ქსოვილი, რომლითაც სცენას მოვაწყობდით. ლექსომ თქვა, მაგ საქმეს მე მოვაგვარებო. და მართლაც, მარტყოფს რომ ვესტუმრეთ, მან თავისი ფორნით ბრეზენტი მოიტანა. ბრეზენტი თუმცა საკმაოდ ძველი იყო, შიგადაშიგ მუჭის სიმსხო ნახვრეტებიც ჰქონდა, მაგრამ ჩვენს საქმეს მაინც შველოდა. სადაც კი მივიდოდით, პატარა გორაკზე ოთხ სარს დავასობდით, შემდგ ირგვლივ წითელარმიელების ნაჩუქარ ბრეზენტს შემოვახვევდით და მორჩა, სცენა მზად იყო...

ერთ საღამოს ჩემთან, სახლში, მენთეშაშვილი მოვარდა. სულს ძლივს ითქვამდა. რომ ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, ხელი ქუჩისაკენ გაიშვირა და ალუღლუღდა:

— სტუმრები მოვიდნენ, სტუმრები. შენ გეძებენ, ხელმძღვანელო!

— რა სტუმრები, ვინ სტუმრები! — გავკვირდი.

— ვინა და, თელეთელი ბიჭები. გეძებენ...

— მე?! ჩემთან რა უნდათ?

— წამოდი და გაიგებ.

გავყევი. ნასაწყობარს რომ მივუახლოვდით, ვხედავ, ბიჭები დგანან, ჩვენი პიონერული კოლექტივის წევრები, ალყაში ოთხი უცნობი ბიჭი მოუქცევიათ. ეტყობათ, სოფლელები არიან. დახეული ქალამნები, გალიფეს თარგზე გამოჭრილი ჩამოძენძილი შარვლები, შინნაქსოვი ქსოვილის ხალათები აცვიათ.

ჩვენებმა გზა მომცეს და მაშინვე სტუმრების წინ აღმოვჩნდი.

— გამარჯობათ! — ვთქვი ხმადაბლა.

— გაგიმარჯოს! ალბათ თქვენ ბრძანდებით გოგი დარისპანაშვილი, რესიჟორი? — მკითხა ერთმა.

— მე ვარ.

— ძალიან კარგი. ჩვენ, კიდევა, თელეთიდანა ვართ. გადავწყვიტეთ პიონერული კოლექტივი შევქმნათ, თქვენი დახმარება გვინდა. კარგი იქნება, თუ წარმოდგენებს ჩვენს სოფელსაც აჩვენებთ. ძალიან მოგვეხმარება საქმეში. აი, ამის სათხოვნელად მოვედით.

მერე წინ მეორე ახალგაზრდა წამოდგა. ბუჩქივით გაფოფინებული, მაყვალივით შავი ქოჩორი ჰქონდა. ხელი მხარზე დამადო.

— იცით რა, გოგი, ჩვენი სოფელი ჭრელია, ბევრი ვაჭარი და მუქთახორა ცხოვრობს, აი, იმათ უნდა ვასროლინოთ კუდითა რიყის ქვა.

— მოვალთ, რასაკვირველია. ერთმანეთს უნდა მივეხმაროთ, მა ისე როგორ იქნება! — ვუთხარი მე.

თელეთში წასვლის წინადღეს ჩემთან ლექსო მოვიდა და მითხრა: ივანე პეტრეს ძე გიბარებსო. მაშინვე წავედი. ივანე კრილოვი დერეფანში შემხვდა და ყაზარმის მეორე სართულზე ამიყვანა. ერთ მომცრო ოთახში შევედით. კრილოვმა სკამი გამოსწია და მანიშნა, დაჯექიო. თვითონ საწერ მაგიდასთან მოკალათდა.

— მაშ თელეთში მიდიხართ? — მკითხა მან.

— ჰო, — მივუგე მე.

— კარგია, კარგი... მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდეთ: იქ საკმაოდ ბევრი კულაკი და ვაჭარი ცხოვრობს — ჩვენი კლასობრივი მტერი. შესაძლებელია, რაიმე უსიამოვნება მოგაყენონ. — კრილოვი წამოდგა, ხელები ზურგზე შემოიწყო და ოდნავ წინ წახრილმა ოთახში გაიარა. — მათ განუზრახავთ თქვენი წარმოდგენის ჩაშლა.

მე გაოცებისაგან შევყვირე.

— ჰო, ასეა. არ შეშინდეთ. მე საგანგებო ზომებს მივიღებ და მათი ყველა გამოხდომა აღკვეთილი იქნება. გასაგებია, რასაც გეუბნები?

— გასაგებია, ივან პეტროვიჩ!

— ჰოდა, აბა, თქვენ იცით. ყოჩაღად იყავით!

თელეთში შუადღისას ავედით. ისეთი თაკარა იდგა, ოფლად ვიყავით გაღვრილი. ლექსომ ფორანი პატარა მოედანზე შეაგრიალა. გახედვა-გამოხედვაც კი ვერ მოვასწარით, რომ ბავშვების წრეში აღმოვჩნდით. ვინ რას ამბობდა, ძნელი გასაგები იყო, ისეთი მხიარული შეძახილები ისმოდა. მაშინვე მივხვდით, რა კარგი საქმე გავაკეთეთ, თელეთს რომ ვესტუმრეთ. მერე სახელდახელო სცენაც გავმართეთ. თელეთელმა ბავშვებმა შინიდან გრძელი სკამები მოარბენინეს და სცენის წინ ჩაამწკრივეს. სანამ ჩვენ ვემზადებოდით, ყველა სკამი დაკავებული აღმოჩნდა. სულ ბოლოში, ტაბურეტებზე, შვიდიოდე მამაკაცი იჯდა, მათ წინ კი რამდენიმე ონავარი ბიჭი. ისინი წამდაუწუმ ცქუმატავდნენ და თანაც ცალი თვალი ბობოლებისკენ ეჭირათ. მე ამას ბრეზენტის ნახვრეტიდან ვხედავდი.

ფარდა რომ გავხსენით, ტაში ატყდა. პიესა, რომელიც თელეთში უნდა წარმოგვედგინა, სწორედ კულაკთა და მევახშეთა ბნელ საქმეებს ეხებოდა. ისინი ახლა ჩვენს ცხვირწინ ისხდნენ და მეტი რაღა გვინდოდა, სცენიდან მშვენიერი „ქათინაურებით“ ვამკობდით მათ.

ხალხი იცინოდა. ერთმა ბობოლამ მის წინ მჯდომ ბიჭს მხარზე ხელი დაჰკრა და დავინახე, რომ ბიჭმა მარჯვედ ისროლა სცენისაკენ მკვდარი შავი კატა. სცენაზე იმ დროს მიშა მენთეშაშვილი და მერი ჯახტანიძე იყვნენ. მერიმ შეჰკივლა, მიშა კი არ დაიბნა, კატას ფეხი გაჰკრა და წინ გადაადგა.

ატყდა სიცილი და ღრიანცელი. ბობოლებიც ამას ელოდნენ. ერთი მათგანი სწრაფად წამოხტა და მთელი ხმით იჭყივლა:

— ხალხნო, ამათ ვის უსმენთ! ეშმაკის შვილები არიან. მათრახი მაგათ, მათრახი!..

მას მეორემ მისცა ბანი, მერე მესამემ... ის იყო მონასტერი მთლად უნდა არეულიყო, რომ ცხენების თქარათქური გაისმა. თვალი მოვკარით, როგორ მოქროდა ათიოდე ჩვენი მეგობარი წითელარმიელი. იც-

ოცხლეთ, ბობოლებს მაშინვე ენა მუცელში ჩაუვარდათ.

თელეთის შემთხვევა გამონაკლისი არ ყოფილა. ასეთ „სიურპრიზებს“ პიონერული თეატრის მსახიობებს ხშირად გვიმზადებდნენ ხოლმე, მაგრამ ჩვენც მზად ვიყავით მტრისთვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

* * *

1925 წლის სუსხიანი ზამთარი იდგა. ეკლესიის შენობაში მთელი დასი იყო შეკრებილი. ახალ პიესაზე ვმუშაობდით. უეცრად კარი გაიღო. ყველამ იქით გავიხედეთ. ჩვენდა გასაოცრად ზღურბლზე ივანე კრილოვი იდგა. თავზე ისევ ის ჩაკეცილი ბოხოხი ეხურა, ტანზე თბილი ქურქი ეცვა. ცისფერი, კეთილი თვალებით გვათვალიერებდა.

— მაპატიეთ, შვილებო, ხელი შეგიშალეთ, მაგრამ მეტი გზა არაა. — კრილოვი ჩვენკენ წამოვიდა, სულ ახლოს მოვიდა და შედგა. — ბრძანება მივიღე, სხვა ქალაქში გადავდივარ, აქედან შორს მომიწევს წასვლა. ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს. ანდა საერთოდ კი შევხვდებით? ყოჩაღად იყავით, ვაუკაცურად.

სამხედრო სალამი მოგვცა და მძიმე ნაბიჯებით გატრიალდა. ჩვენ თვალები აგვიწყლიანდა, დავმუნჯდით. გვტოვებდა ჩვენი მეგობარი ოქროსფერულვაშიანი კაცი. მას შემდეგ ივანე კრილოვს აღარ შევხვედრივარ. რა უცბად გაირბინა წლებმა... მე პიონერული თეატრიდან დიდ სცენაზე გადავინაცვლე და პენსიაზე რესპუბლიკის სახალხო არტისტის ტიტულით გავედი. გოგი მრევლიშვილი ცნობილი რეჟისორი გახდა, მიშა მენთეშაშვილი — პოლკოვნიკი. ასევე სხვებმაც გაიკვლიეს თავიანთი ბილიკები დიდი ცხოვრების გზაზე. მოგონებაში კი დარჩა ძველი თბილისის მესამე რაიონი, ჩვენი პიონერული შეკრების ადგილი და ოქროსფერულვაშიანი კაცი, რომელიც ასე ბევრს აკეთებდა ჩვენთვის, პიონერთა პირველი თაობისათვის.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარეს ორიაქვეს აღდგენები!

ყოველი დღე ბანაკში პიონერული ხაზით იწყება.

ნუგზარ აფხაზავა

ბორჯომის ხეობა — ერთ-ერთი ულამაზესი ხეობათაგანი საქართველოში... ცამდე ატყორცნილი, მწვანედ ახავერდებული მთები, წიწვისა და ველურ ყვავილთა სურნელით გაჟღენთილი ჰაერი... აჩქარებული მტკვარი ხმადაბალი გუგუნით მოაგელვებს მღვრიე ტალღებს — წვიმდა გუშინ და გუშინწინ საქართველოს მთავარი მდინარის ზემოწელში. დღეს კი დარია და საამოდ აცხუნებს ალერსიანი მზე, გარეთ უხმობს დიდსა და პატარას.

ბორჯომის ხეობა ნორჩი თაობის საყვარელი დასასვენებელი ადგილია. ამ რაიონში ბავშვთა დასვენებას 12 პიონერული ბანაკი ემსახურება. ხუთი მათგანი ბაკურიანშია, ოთხი — ახალდაბაში, თითო — ცემში, წაღვერსა და ქვაბისხევში. ერთი ნაკადი სამი ათასზე მეტ მოზარდს მოიცავს, სულ კი ზაფხულის განმავლობაში ამ ბანაკებში 12 ათასამდე პიონერი და ოქტომბრელი დაისვენებს.

ეს ციფრები ეუეუნა ბერიძემ მო-

ШРОМИТ СААТЬ ГИЖЕБИ, СИМИНДЦЕ-ЦИ НАКВЕТОШИ АТАРЕБЕН. ХАН ГОГОНЕБИ ЕХМАРЕБИАН МАТ.

გვაწოდა, საქ. ალკკ ბორჯომის რაიკომის მდივანმა მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობის დარგში. მდივანი მოცლილი როდის ყოფილა, მაგრამ ჟუჟუნა ბერიძემ მაინც გამონახა საკმაო დრო „პიონერის“ მკითხველებთან სასაუბროდ.

— მოგეხსენებათ, პიონერული დავალება ზაფხულშიაც თან მიჰყვებათ ნორჩებს, — თქვა მან. — აი, ვესტუმრებით ბანაკებს და ერთ-ერთი მათგანის პიონერთა ოთახში თვალში გეცემათ ლოზუნგი: „მარშს არა აქვს არდადეგები!“ დიახ, პიონერული მუშაობისათვის არდადეგები არ არსებობს, ბანაკში ეს მუშაობა გრძელდება, ოღონდ ფორმით იგი, რა თქმა უნდა, საგრძნობლად განსხვავდება სასკოლო, ასე ვთქვათ, „ჩვეულებრივი“ პიონერული მუშაობისაგან.

— ეს განსხვავებულობა კი თავისთავად იწვევს დაინტერესებას, მით უმეტეს, თუ რაიმე სიახლესთან გვაქვს საქმე.

— აუცილებლად. წელს, მაგალითად, რესპუბლიკის ყველა ბანაკში შემოღებულია შრომითი საათი. ნორჩებმა დღეში ერთი საათით მაინც ხელი უნდა წააშველონ იმ საწარმოს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, რომელიც მათთან ახლოს მდებარეობს, მათი „გავლენის სფეროშია“. ამ ერთსაათიანი შრომის შედეგი, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად საკმაოდ სოლიდურია ხოლმე, მაგრამ მთავარია მეორე ასპექტი: პიონერებს უმტკიცდებათ კოლექტივიზმის გრძნობა, საკუთარი ძალის შეგნება. თანდათან, შეუმჩნევლად, უნებლიეთ იძენენ შრომით ჩვევებს, რაც მერე, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გასვლისას, ძალზე გამოადგებათ...

20 ივნისიდან ახალდაბისა და დვირის მეურნეობებში დაიწყო სენაჟის დამზადება. და იმავე დღიდან წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები სათიბებს შეესივნენ. საქმე, მოგეცა ლხენა, საკმაოა: აქა-იქ დარჩენილი თივის შეგროვება ფოცხით, მისი თავმოყრა და გასაზიდად მომზადება, ნაკვეთის გასუფთავება ღორღისაგან — მალე ხომ ისევ უნდა მოიხნას მიწა...

— ჩვენი რაიონის პირობები სპეციფიკურია, — განაგრძობს მდივანი. — ზაფხულობით აქ სამუშაო დრო ძირითადად მეცხოველეობის საკვები პროდუქტის დამზადებას ხმარდება. ბანაკის პიონერებიც უმთავრესად ამით არიან დასაქმებულნი. შემდეგ კი, როცა ისინი თავიანთ სკოლებს დაუბრუნდებიან, სექტემბრის დადგომისთანავე იწყება სხვა სამუშაოები: კარტოფილის ამოღება, ხილის კრეფა, ტურნეფსის აღება. აქ უკვე რაიონის სკოლების პიონერები უდგანან მხარში უფროსებს და ვაჟკაცურად აგრძელებენ ბანაკის ტრადიციებს.

— რამდენიმე ციფრს ხომ არ დაგვისახელებთ?

— ინებეთ: შარშან ლენტეხელთა თაოსნობის პასუხად პიონერებმა შეაგროვეს ტონობით ნორჩი ყლორტები, ათეულ ტონობით ხილ-კენკრა (ვაშლი, მსხალი, ასკილი, ტყემალი, კოწახური). 1979 წელს მარტო ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის წაღვერის ბანაკმა 500 კგ ტყემალი მოკრიფა, ხოლო ტაძრისის საშუალო სკოლამ შარშან 33 ტონა ხილ-კენკრა ჩააბარა მეურნეობას.

ტელეფონმა დაიწკრიალა. ვიდრე მდივანი საუბრობდა, მე კედელზე გაკრული სქემა შევისწავლე. სქემაზე ნაირგვარი პირობითი ნიშნებია დასმული. იმ პირობით ნიშნებთან ლამაზადაა წარწერილი ბანაკთა პოეტური

ЛАШКРОБАШИ МИМАВАЛ ПИОНЕРЫ СЬРАШАД УНДА ШЕЕКЛОС ТУРИСТУЛИ КАРВИС БАШЛА.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდებანი: ცისარტყელა, დიოსკურია, ნაკადული, ციცინათელა, დილა, მზიური, შევარდენი, ჩირაღდანი... რამდენიმეგან მწვანე ვარსკვლავია მიხატული, რომელიც პირობითი ნიშნების ცხრილში „ფორპოსტად“ არის განმარტებული.

— ეს რა ფორპოსტები გქონიათ? — ვკითხე მდივანს, როცა ტელეფონით საუბარი დაამთავრა.

— ველოდი, როდის შემეკითხებოდით, — გაიღიმა მან. — ფორპოსტი ნორჩ მეტყევეთა მიერ აგებული საზაფხულო ქოხი გახლავთ. იგი, ჩვეულებრივ, ბანაკისაგან ცოტა მოშორებით მდებარეობს. წარმოიდგინეთ ადრიანი დილა ტყეში. სიჩუმეს უცებ პიონერული საყვირის ხალისიანი ხმა არღვევს და ექოს ხევიდან ხევში მიაქვს ცნობა, ნორჩი მეტყევეები საქმეს შეუდგნენო. პიონერები რგავენ და უვლიან ხეებს, იცავენ ნორჩ ამონაყარს, თოხნიან და რწყავენ ტყის კულტურებს. იქვე, ქოხში უშვებენ კედლის გაზეთს. ტაძრისში სკოლის შენობაშია ასეთი ფორპოსტი, ახალდაბაში, წაღვერში და დვირის მიდამოებში — ტყის პირას, არდაგანში სამშენებლო კანტორამ ცალკე ოთახი დაუთმო ნორჩ ბუნების მოყვარულებს. პიონერთა მუშაობას გამოცდილი მეტყევეები ხელმძღვანელობენ...

რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი ბანაკების მუშაობა მრავალფეროვანია. რეგულარულად ეწყობა, მაგალითად, ბანაკთა თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერება. შექმნილია ავტორიტეტული ჟიური (ბორჯომის სახალხო თეატრის მთავარი რეჟისორი, რაიონული პიონერთა სახლის მუშაკები, კომკავშირის რაიკომის წარმომადგენლები...). შარშან ასეთ დათვალიერებაში რვა ბანაკი მონაწილეობდა. ტარდება რაიონული მასშტაბის მცირე სპარტაკიადები (60 მეტრზე სირბილი, ბურთის ტყორცნა კალათში, სიგრძეზე ხტომა, შეჯიბრი პნევმატური შაშხანით სროლაში). ყოველწლიურად 22 ივნისს დიდების მემორიალთან ეწყობა მანიფესტაციები დევიზით „არავინ და არაფერია დავიწყებული“; 26 ივნისს ტარდება შეხვედრა რაიონის სკოლათა კურსდამთავრებულებთან (ზეიმი პარკში, გასართობები, წიგნის ბაზრობა, კონცერტი ბანაკებისა და პიონერთა სახლის ანსამბლების მონაწილეობით); ოცდარვა ივნისს ნორჩები ზეიმობენ საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს...

— რაკი ზოგადი წარმოდგენა უკვე შეგვექმნა, — გაიღიმა მდივანმა, — მოდით, ახლა კონკრეტულად გავეცნოთ ბანაკებს, პიონერებსაც გავესაუბროთ, ვნახოთ, ვინ რას აკეთებს...

ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ქვაბისხევის პიონერთა ბანაკი დვირის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზეა. ბანაკის უფროსმა გურამ ალაფიშვილმა და პიონერხელმძღვანელმა მანანა ბაზიარმა გვაჩვენეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მეურნეობა კისრულობს სამუშაოთი უზრუნველყოს ბანაკი, ხოლო ბანაკი.

ტრიალებს კარუსელი და მასთან ერთად — მთელი დედამიწაც.

— არც ერთი დღე სპორტის გარეშე! — ასეთია ნორჩ ფეხბურთელთა დევიზი.

თავის მხრივ, ყოველდღიურად სამუშაოდ გაიყვანს 20-30 პიონერს. ერთი სიტყვით, ყველაფერი იურიდიულად არის გაფორმებული და საქმით სრულდება „პიონერმშენის“ ერთ-ერთი დევიზის პერიფრაზი — „ჩვენი შრომა ერწყმის დვირელი ახალგაზრდების შრომას“.

მაგრამ ბათუმელი პიონერები მარტო ამით როდი კმაყოფილდებიან. აი, მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს:

ნინო ბარაბაძე, ბათუმის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე:

— ძალზე კმაყოფილი ვარ ბანაკში გატარებული დღეებისა. ბევრი მეგობარი შევიძინე. აქ ხომ არა მარტო ბათუმელ, არამედ ფოთელ მეზღვაურთა შვილებიც არიან.

საინტერესოა საბანაკო ცხოვრება. ძალზე მომწონს კონკურსი „აბა, გოგონებო!“

ბანაკის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაკვეთი მოვიზომეთ და დავამუშავეთ. მწვანილი დავთესეთ, პამიდორი დავრგეთ და ვუვლით. საინტერესოცაა და სასარგებლოც.

ირინა ჟივორა, ბათუმის მე-10 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე:

— ადრე ჩაქვის სპორტულ ბანაკშიც ვყოფილვარ (კალათბურთელი გახლავართ). აქაურობა განსაკუთრებით მომწონს — ბუნებაც კარგია და საბანაკო ცხოვრებაც — საინტერესო. ნაკვეთში ცოტა-ცოტას მეც ვმუშაობ, ვნანობ, რომ მეტს ვერ ვახერხებ — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ვარ და ბევრი საქმე მაკისრია.

ინგა ულისკოვა, ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე:

— ყოველ წელს ვისვენებ ამ ბანაკში. ახლა უკვე მეექვსედ ვარ.

შარშან ერთი ნაკადი მწვანე კონცხზე გავატარე. არ მიმიზიდა — მარტო საუზმე, სადილი, ვახშამი და ძილი, ხსვა — არაფერი, არც გართობა, არც საზოგადოებრივი საქმიანობა. აქ კი თავის დროზე ყველაფერია, ხან დისპუტია, ხან კონკურსი, ხან შრომის საათი. მოსაწყენად დრო აღარც გერჩება. ბანაკიც ასეთი უნდა.

●

კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის ახალდაბის პიონერთა ბანაკი ტყიან ფერდობზე, პატარა ციცველა მდინარის პირას არის გაშენებული. ბანაკს „ჩირაღდანი“ ჰქვია.

ქეთევან ღვთისიშვილი, ბანაკის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

— ახალდაბის კოლმეურნეობას ვეხმარებით სასენაჟე თივის აღების შემდეგ დარჩენილი თივის შეგროვებაში. ქვებისაგან ვწმენდთ ნაკვეთებს, ვძირკავთ სარეველებს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აქტიური დასვენება ყველაზე უკეთესი დასვენებაა. ამას ბავშვებიც გრძნობენ.

მანანა ანდრიაძე, თბილისის 149-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე:

— ბანაკის ტერიტორიაზე ნაკვეთია გამოყოფილი, რომელზეც მზრუნველმა ადამიანებმა ჩვენთვის სიმინდი დათესეს. ჩვენ სიმინდი გავმარგლეთ, გავთოხნეთ, ერთ ძირ სარეველასაც არ ვაჭაჭანებთ. აგვისტოში ბოლო ნაკადის პიონერები შემწვარ სიმინდს მიირთმევენ და ალბათ ჩვენც მოგვიგონებენ.

ზვიად ჭოხონელიძე, თბილისის 150-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე:

— ძალიან მომწონს აქაური ბუნება. დიდხანს მემახსოვრება ლაშქრობა თამარის ციხეზე.

სიამოვნებით ვმუშაობ სიმინდის ნაკვეთზე, ამხანაგებთან ერთად ვძირკავ სარეველას, ვრწყავ, როცა წვიმა იგვიანებს.

დავამუშავეთ პროექტი: „ჩვენი ბანაკი 2000 წელს“. მგონი საინტერესო გამოვიდა.

თამარ მელაძე, თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლე:

— ივნისში შეხვედრა მოვუწყვეთ მწერლებს: მთვარისა ჭყოიძეს, სოლომონ სამხარაულს, აკაკი ჯორჯაძეს. საკუთარი ლექსი წავიკითხე. მერე საბანაკო ცხოვრებაზეც დავწერე პატარა ლექსი. ქეთინო ხელმძღვანელმა შემაქო კიდეც.

ნაკვეთში ხანდახან მეც ვმუშაობ.

ძალიან მომწონს კონკურსი „აბა, გოგონებო!“ ნეტავი უფრო ხშირად იმართებოდეს...

●

სწორედ აქ, ამ ბანაკის პიონერთა ოთახში ვნახეთ დიდი წითელი ასოებით დაწერილი ლოზუნგი: „მარშს არა აქვს არდადეგები!“ — მართლაც, არდადეგები — პასიური, მთვლემარე არდადეგები — ზარმაცი, უნიათო მოზარდის საქმეა. თუ პიონერი გქვია, ყველგან — სკოლაშიც და ბანაკშიც, სწავლაშიც და შრომაშიც თან უნდა გახლდეს პასუხისმგებლობა შენი ალისფერი ყელსახვევის გამო, დადებული ფიცის გამო, საკუთარი თავის პატივისცემისა და სამშობლოს სიყვარულის გამო. აი, მხოლოდ ამ შემთხვევაში გქვია ნამდვილი პიონერი, ჭეშმარიტი ხვალინდელი მოქალაქე, მამა-პაპათა ღირსეული მემკვიდრე და მათი საქმის გამგრძელებელი!

ფოტო
ვ. ბორისენკოსი

— ეს რა უქნია იმ უხეირო ბეწო ცოდო-ბრალი აღარა ჰქონდა? ისიც იტყვის, ცხენი მყავს და მოვლა ვიცი. იგრემც რა ვუთხარ იმ ბენტერას, იმას, — ამბობდა ცხენის წინა ფეხებთან ჩაცუცქული ბიჭი და პატარა, გამხდარი თითებით წვიმისაგან გაჟივებული თოკის ბორკილის ახსნას ლამობდა.

თეთრი ცხენი ქამთასვლისაგან გაპარტახებულ, ბებერ პანტის ხეს შეჰფარებოდა. ხის ორიოდე ფითრმორეული ტოტი ვერ იფარავდა მოხშირებული წვიმისაგან. იდგა ჩიჩვირ-ჩამოშვებული და ყურებჩამოყრილი, სიცივეს კუზიანივით წელში ამოეხარა. კისრის ერთ მხარეს უსწორმასწოროდ ჩამოფენილი ხშირი, სველი ფაფრიდან წვიმის წვეთები სცვიოდა. დიდი, სევდიანი თვალებით ჩასცქეროდა მიწას.

ბიჭი ნაფოტა კბილებით ჩაჰფრენოდა ქვასავით მაგარ ნასკვს. თოკის ნასკვიდან გამოწიწკნილ სელის ბეწვებს გვერდზე აფურთხებდა და ეშმაკურ-ქაჯურად ჩახლართულ თოკს ისევ ეტანებოდა. მგლის კბილს ნატრობდა, რომ გადაეღრღნა და ცხენი მალე გაეთავისუფლებინა ბორკილისაგან. არადა, ტიალი, რა მომაბეზრებლად წვიმდა, ნემსებივით წვრილი, ცივი წვეთები ცხენსა და ბიჭს უმოწყალოდ ასხამდა.

თეთრ ჭაკს წუხელაც აწვიმდა. შინ წასაყვანად არავის მოუკითხავს, თვითონ კი ფეხებგაბორკილი სად წავიდოდა. გუშინ ბალახის მოსაძოვად ადგილს ძლივს ინაცვლებდა, კურდღელივით სკუპ-სკუპით დადიოდა. ამის გამო თოკს წვიანები შემოეხვია, ყულფებთან სისხლს გამოეყოინა და შავად შეხმობოდა. შემოდგომის დამშეულ ბუზებს ამ ცრიატ დღესაც თავი აეშვათ, თოკისაგან გადაღლეტილ კანს გამძაფრებით ეტანებოდნენ. ბიჭი დროდადრო ხელით იგერიებდა მათ იერიშს.

ნასკვის წვეთისაგან ბიჭს კბილები დაეძალა, სტკიოდა, მაგრამ არ ეშვებოდა, ჯიუტად ეწეოდა და ეწეოდა. წვიმამ მხრები დაუსველა, შინ ნაქსოვი, წენგოში შეღებილი ბაწრის სვიტრი წყალში ამოვლებულივით გაუჟიჟდა. სიცივე მხრებიდან იღლიებქვეშაც შეუძვრა, იქიდან მკერდსა და მუცელზე ჩააცოცდა, ხელები გაულურჯდა. თითებს ცეცხლი წაეკიდა, თითქოს ბორკილად ქცეული თოკი კი არა, გავარვარებული რკინა ეჭირა, ისე ეწვოდა, მაგრამ ჯიუტი იყო და ამან ვერ შეაშინა, იოტისოდენად ნირი ვერ შეუცვალა. კბილებით უფრო გამძაფრებით ჩააფრინდა ნასკვს და ჰა, როგორც იყო, მოახალვათა, თოკი გამოხსნა და ცხენს ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

თეთრი ცხენი

მხატვარი ჯ. ლოლუა

მოთხრობა

მოდან ბედნიერის ღიმილით შესცინა, — გეშველა, თეთრო ცხენოო, მაგრამ ღიმილი უმალ შეაშრა, — პირუტყვს თვალის უპეები ცრემლით თუ წვიმის წვეთებით სველი ჰქონდა.

— იტირე? — ჩაეკითხა ცხენს ბიჭი და თვალებში ჩახედა. იქ თავისი თავი დაინახა. ერთი ციცქნა, ვიტრინაზე შემოდგმულ თოჯინას ჰგავდა. თვალები და ცხვირ-პირი ვერ გაარჩია, მარტო პირწმინდად გადახოტრილი, უქოჩრო თავი და აქეთ-იქით გაშვერილი ყურები ისახებოდა პირუტყვის ბინდისფერ გუგებში.

ჭაკმა დაიფრუტუნა. ლოკოკინას ნიჟარებივით ამოღრუეებული, ფართო ნესტოებიდან თბილი, ორთქლნარევი ჰაერი ამოუშვა და ბიჭს სახეზე შეაფრქვია. თბილი ჰაერი ყმაწვილს ესალბუნა. ერთხელ კიდევ შეხედა ცხენს სველ თვალებში, ფეხებიდან თოკი შემოხსნა, არ დაიკარგოსო, კისერზე შემოახვია და სველ კისერზე ხელი სიყვარულით მოუთათუნა.

— თავისუფალი ხარ, ცხენო! წადი სახლში, თორემ სიცივე დაგხუთავს და მერე ჩალადაც არ ეღირები.

ბიჭი შინისაკენ აჩქარდა. ისე სცოდა, კბილს კბილზე აცემინებდა, ლოყებზე მკვახე ატამივით აშლოდა ბუსუსი. სიცივისაგან ამწვარი ხელები ჯერ შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო გასათბობად, მაგრამ ეგრილა და ახლა იღლიებში ამოიდო.

მინდორს, სადაც თეთრი ცხენი გაეშვათ, ძეძვი მორეოდა. იმ არემარეზე მარტო ის ერთადერთი, ფითრიანი პანტის ხე იდგა. ბიჭი ძეძვის ბუჩქებს შორის გაიქცა. ერთი სული ჰქონდა, მინდვრის ბოლოს, თეთრ ნისლში გათქვეფილ თავის სახლამდე მიეღწია, მოგუგუნე ბუხარს მისჯდომოდა და გამთბარიყო.

მინდვრის ნახევარიც არ ჰქონდა გარბენილი, რომ თქარათქური შემოესმა. უკან მიიხედა. გაკვირვებული შედგა — ცხენი მოსდევდა, თითქოს ის ცხენი კი არ იყო, წეღან პანტის ქვეშ სევდაჩამდგარი თვალებით რომ ჩასცქეროდა მიწას, ყურები რომ უნდილად ჩამოეყარა და ჩიჩვირი დამბლადაცემულივით ეკიდა — სულ სხვა ყაიდისა ჩანდა, თავი კოხტად აეღირა, ყურები დაეცქვიტა და მოიჩქაროდა.

ბიჭი მთელი ტანით შებრუნდა მისკენ და გაოცებულმა შესძახა:

— სად მიდიხარ, ცხენო!

ჭაკი ბიჭთან ახლოს მივიდა, თავი გაიწოდა და დრუნჩი მხარზე დაადო, გაირინდა.

ბიჭი შეცბა, ჯერ ბუჩქში განაბული კურდღელივით გაიცქნაფა, მერე იფიქრა, იქნებ ცხენს კიდევ აწუხებს რამეო, და დრუნჩქვეშიდან გამოუძვრა. მცოდნე კაცივით გარს შემოუარა, შეათვალიერა. ტანზე ერთი განაკაწრიც ვერ შენიშნა. ოთხივე ფეხის ფლოქვი აუწია და დახედა, ცხენი უნალო იყო, ნალები დიდიხანია ასცვენოდა. უკანა მარჯვენა ქაჩაჩზე ერთი ცალი ჟანგისფერი ყაირი შერჩენოდა. ახალი ნალის დაკვრაზე კი პატრონს აღარ ეზრუნა. ფლოქვები საღი ჰქონდა. მაშ რა აწუხებდა? იქნებ მისმა თვალებმა თქვან, რა უნდა, რატომ გამოეკიდა უკან. ყმაწვილმა ორივე ხელით დაუჭირა თავი, თვალებში ჩააცქერდა. შიგ ისევ თვითონ აირეკლა — თავხოტორა, ქვაბივით ყურებგაფშეკილი, თუმცა იმ თვალებში, როგორც გადაშლილ წიგნში, კიდევ რაღაც ისეთი ამოიკითხა, რაც მეტად კეთილ, მიმნდობ ადამიანებს ახასიათებთ — მცირედი სიკეთისათვის რომ არ იციან, რით გადაგიხადონ მაგიერი. სწორედ ასეთი ადამიანური რამ შეიცნო ბიჭმა პირუტყვის თვალებში.

— ჩემთან უნდა, ჩემთან უნდა,— ჩურჩულებდა ის და სიყვარულით თვალებს უკოცნიდა, ყურის ძირებს უფხანდა, ჩიჩვირქვეშ, ყბის ფოსოშიც ჩაუყო თითები. — სხვისი ხარ და ვერ მიგისაკუთრებ, არ შეიძლება. ქურდობა გლახა კაცის საქმეა. წადი შენს პატრონთან, თოკი ხომ აღარ გიბორკავს ფეხებს, წადი. მეც წავალ შინ, თორემ შემცივდა. ნახე, რა მაგრად დავსველდი? — ბიჭმა სვიტრზე დაიხედა, — მთლად გასაწურია.

ამას ყასიდად ამბობდა, თორემ გულში სულ სხვა რამეს ნატრობდა, ნეტავი მართლა არ წავიდოდესო შინ. ცა რომ თავზე ჩამოჰქცეოდა, არაფრად ჩააგდებდა, ოღონდ ეს ცხენი მასთან დარჩენილიყო. მაგრამ გაახსენდა, რომ ცხენს მთელი ღამე აწვიმდა, მისთვის თბილი თავლა იყო საჭირო, და ერთხელ კიდევ შეუძახა, შინ წადიო, თვითონ კი ძეძვის ბუჩქს ცქვიტად გადაახტა და უკანმოუხედავად გაიქცა. გაიქცა და ცხენის ფეხის ხმაც აჰყვა.

ბიჭი გარბოდა.

ძეძვიანი მინდორი უკან დარჩა. თითქოს ნისლის ფარდამაც უკან გადაინაცვლა. სამანქანო გზის გადაღმა, ფოთოლშემოძარცვულ ვაშლისა და ალუბლის ხეებს შორის კრამიტისსახურავიანი სახლი გამოჩნდა. ყმაწვილი მწვანედ შეღებილ რკინის ჭიშკართან შედგა. სირბილში ლოყებზე ფერი მოსვლოდა, ყურები გავარდისფერებოდა. სანამ ზურგისაკენ შებრუნდებოდა, ცხენმაც მოირბინა.

ყმაწვილი ზეიმობდა.

ხედავდა, ცხენს აგრე ადვილად ვერ ჩამოიცილებდა. სურდა თუ არ სურდა, უნდა ემასპინძლა, ჭიშკარი გაეღო და ეპატრონა. ასეც მოიქცა. რკინის მძიმე კარმა დაიზრიალა და გაიღო. ბიჭმა თოკს ხელი ჩასჭიდა და ცხენს ეზოში შეუძღვა. შინ არავინ იყო, არავინ გამოხმაურებია. არც დილას იყვნენ, როცა ფანჯრიდან მინდორში უპატრონოდ მიტოვებულ, ღამენათევ ცხენს გასცქეროდა. სამუშაოდ გაკრეფილიყვნენ. გინდაც შინ ყოფილიყვნენ, არ დაუშლიდნენ ეული ცხენის მოყვანას. გუშინ იაინიც წუხდნენ, რომ უყურებდნენ: დაბორკილ, უცხო ცხენს თავზე აწვიმდა და ბებერი პანტის ქვეშ ქანდაკებასავით იდგა.

ბიჭმა ცხენი სათივესთან მიიყვანა. სათივე მუხის ოთხ მაგარ ბოძზე იყო დადგმული. ზემოთ, კონუსისებურად, თივა დაეზვინათ, ქვეშ პირუტყვისთვის ღია სადგომი მოეწყოთ. ხაფხულობით, როცა გომურში ღამითაც ცხელოდა, ძროხას აქ გამოაბამდნენ ხოლმე. სათივის ქვეშ ნიავი ქროდა და დედა აქვე სწველიდა. ახლა სათივის ქვედა ნაწილი ცარიელი იყო. იქ წვიმისაგან გაზუნზლული რამდენიმე ქათამიღა აბუზულიყო.

ბიჭმა ცხენი სათივეში დააყენა. ზვინს ხის ყანყალა კიბე მიადგა, სწრაფად აცოცდა, ბღუჯ-ბღუჯა თივა გამოაცალა და ძირს გადმოყარა. თვალით აწონ-დაწონა, ეყოფოდა თუ არა ცხენს. ეყოფაო, — გულში დაასკვნა და კიბეზე აღარ ჩამოსულა, იქიდანვე კატასავით ისკუპა, თივა მოაგროვა, დააიღლიავა და ცხენს დაუყარა. მერე ცოტა ხანს იყუჩა, რაღაცას ფიქრობდა. არა, უფრო სწორად, მოფიქრებული დაავიწყდა, იმისი გაკეთება აუცილებელი იყო და უნდა გაეხსენებინა. ცხენს შეავლო თვალი, გაახსენდა და გაიცინა. ტვინი რამ დამიბინდაო, მარჯვენა ხელის თითები ქეჩოსკენ შეიბრუნა, რამდენჯერმე წამოიკრა და სახლში შეირბინა. უჰ, რა სასიამოვნოდ თბილოდა იქ! ბუხარში რცხილის ვეებერთელა კუნძს მხიარულად გაუდიოდა ტკაცატკუცი. ლოგინი აშლილი იყო. ცხენი რომ არ ჰყოლოდა საზრუნავი, ტანთ გაიხდიდა და საბანქვეშ შეძვრებოდა, გემოზე ჩათბუნდებოდა, მაგრამ სად იყო ნებივრობის დრო? კამოდის უჯრა გამოსწია და იქიდან ვარდისფერი ჩითის ხალათი ამოიღო. შარშან ეცვა, დაუპატარავდა, მაგრამ დედამისი გადასაგდებად ვერ შეელია. აივანზე გავიდა, სკამს დაავლო ხელი და ცხენთან მიირბინა. ჭაკი მადიანად აბრამუნებდა სურნელოვან თივას.

ბიჭმა ხალათი შუაზე გახია. ნახევარი ძირს დააგდო, მეორე ნახევარი დაახვია, ცხენთან ახლოს სკამი დადგა, ზედ შეხტა და ჭაკს სველ წელზე ხალათის ნახევი გადაუსვა. კისერიცა და გავაც გულდაგულ გაუმშრალა. მანამდე ხეხა, სანამ ცხენს ორთქლი არ ავარდა. წმენდაში თვითონაც დასცხა, სითბო შეუმჩნევლად შემოენთო სხეულზე, სვიტრი ცივად აღარ ეტმასნებოდა მხრებსა და იღლიებში. ცხენი მთლად რომ გაამშრალა, ნაბდის ჩული მოიტანა და ზურგზე წააფარა.

მთელი დღე ცხენს დასტრიალებდა თავს. სათივედან კიდევ ჩამოუყარა თივა, წყაროდან წყალი მოუტანა და დაალევინა. სადილობისას, თვითონ რომ დანაყრდა, ჭაკს მარილმოყრილი პურის ქერქი გამოუტანა.

ამასობაში საღამომ მოაწია. დაღამებას აღარ მოუცადა და ჩვეულებრივზე ადრე დაიძინა. მშობლები ჯერაც არ მოსულიყვნენ სამუშაოდან. სიზმარში სულ თეთრ ცხენს ხედავდა, ხან ძეძვიან მინდორში დაბორკილს, ხან თავისუფალსა და ლაღს. ზღაპრული რაშივით ფაფარგაშლილს ზურგზე მოსჯდომოდა და ცის სილაჟვარდეში მიჰქროდნენ; მისი ჭიხვინი არემარეს იკლებდა, მისი ფლოქვებიდან ასხლეტილი ნაპერწკლები ცას ვარსკვლავებად ეხატებოდა.

დილით ადრე გაეღვიძა. სხვა დროსაც ადრე დგებოდა, მშობლებს ხელს ახმარდა. სანამ ისინი სამუშაოდან მოვიდოდნენ, მთელ ეზო-ყურეს მის ანაბარა ტოვებდნენ. ძროხას ბიჭი მიდენიდა ყორეღში, ქათმებსაც ის აპურებდა. სკოლაში წასვლამდე თვითონ იმზადებდა საუზმეს.

თვალი გამოახილა თუ არა, ფანჯარაში გაიხედა. ეტყობოდა, კარგი ამინდი იქნებოდა — იმ დღეს. ნისლს ნაჩქარევი მგზავრივით გუდა-ნაბადი აეკრა და სადღაც გადაკარგულიყო. მიდამოს მზის შუქი დასთამაშებდა.

რაღაც გაახსენდა. სწრაფად გადმოხტა ლოგინიდან, სვიტრი გადაიცვა, შარვალში ფეხები გაყო და აივანზე გავარდა. ეზოში გადაიხედა. სათივე ცარიელი დაუხვდა, ცხენი იქ აღარ იყო. თივის ნამუსრევში ნაბდის ჩული ეგდო. აქა-იქ გაფანტულ ჩონჩორიკს ბელურები და ქათმები დახვეოდნენ. ჭიშკარი ღია იყო. ამას არც დედა იზამდა, არც მამა. ისინი კარს მუდამ გაიხურავდნენ ხოლმე. ეტყობოდა, ეზოში ვიღაც უცხოს დაედგა ფეხი, ვინ იცის, ცხენი პატრონმა წაიყვანა.

ყმაწვილმა ძეძვიან მინდორს გახედა. რატომღაც ეგონა, ცხენს იქ დაინახავდა. ჭაკი არც იქ ჩანდა, ბებერი პანტის სიახლოვეს რამდენიმე წვერცანცარა თხა დაბალაბობდა.

ბიჭი დაღონდა, აივნის სვეტს მხრით მიეყრდნო და ნაღვლიანი თვალები ცისკენ გაექცა. სამხრეთის ქარი ღრუბლებს უგზო-უკვლოდ ერეკებოდა. ღრუბლის ერთი ნაფლეთი ფაფარგაშლილ ცხენს მიამგვანა, იმ თეთრ ცხენს, წუხელ რომ დაესიზმრა.

•

გავიდა რამდენიმე თვე. შემოდგომას ზამთარი მოჰყვა, ზამთარს გაზაფხული. ძეძვიან მინდორზე თეთრი ცხენი აღარ გამოჩენილა. იქაურობა სახედრებსა და თხებს დარჩენოდათ. პანტის ბებერ ხეს ფოთოლი გამოეტანა და თეთრად ყვაოდა კიდეც.

ბიჭს თითქოს დაავიწყდა ცხენის არსებობა. იშვიათად აგონდებოდა, სიზმრადაც იშვიათად ხედავდა, ოღონდ სულ ერთი და იგივე ესიზმრებოდა — ფაფარგაშლილ თეთრ ცხენთან ერთად ცაში მიფრინავდა.

ერთ დღეს, როცა მაგიდასთან იჯდა და გაკვეთილს ამზადებდა, გარედან ჭიხვინი შემოესმა. ყურადღება არ მიუქცევია, ეზოს წინ გზა გადიოდა და ცხენოსან კაცს რა დალევდა, ორთვალა და ფურგონიც ბევრი მიმოდიოდა.

ჭიხვინი გამეორდა.

ბიჭმა წიგნი დადო და სმენად იქცა. თავი ეზოს მხარეს მიატრიალა, ფანჯარაში გაიხედა და თვალები კინაღამ გადმოუცვივდა, ჭიშკარზე ცხენს თეთრი თავი გადმოედო, მკერდით კარს აწვებოდა...

ყმაწვილი უმალვე ეზოში გაჩნდა, ჭიშკარი სწრაფად გამოაღო.

მის წინ ის თეთრი ცხენი იდგა. ლამაზი, ტანადი, ცალ მხარეს კოხტად ფაფარგადავარცხნილი ჭაკი. მარტო არ იყო, მის გვერდით მასავით თეთრი, ოღონდ აქა-იქ შვლის ნუკრივით ნაცრისფერი ხალებით აფორაჯებული კვიცი ცმუკავდა, პაწაწინა, ბლისფოთოლა ყურები დაეკვიტა და ბიჭს დაფეთებული უყურებდა.

— გამარჯობა, თეთრო ცხენო! — მიესიყვარულა ბიჭი, შუბლზე აკოცა.

კვიცმა დაიფრუტუნა, სასაცილოდ დაიჭიხვინა, არ მოეწონა, რომ მის დედას ბიჭი ეფერებოდა.

ყმაწვილი კვიცს მიუბრუნდა, თვალი შეავლო, მოეწონა.

— შენც გინდა მოფერება? მოდი, მოდი.

ბიჭმა კვიცისკენ გაიწია. იმან იუცხოვა, შეიკუნტრუშა და განზე გახტა.

ბიჭს გაეცინა.

— რა სასაცილო ხარ! მოდი, არაფერს დაგიშავებ, მოდი, რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ კვიცს არ უნდოდა ახლოს მისვლა, დედას ხან ერთი მხრიდან მოექცეოდა, ხან მეორედან.

ბიჭი არ ეშვებოდა. ათას საალერსო სახელს ეძახდა, ხელგაწვდილი ენამოჩლექით ეხვეწებოდა, მასთან მისულიყო. როგორც იყო, მისი გული მოინადირა, ალბათ იმიტომ, რომ დედა არ უცხოობდა ბიჭს. კვიცი გაჩერდა, ყმაწვილის გამოწვდილი ხელი ფრთხილად დასუნა, მერე ცერა თითს ტუჩები მოკიდა და უკბილო ღრძილებით ლოღნა დაუწყო.

ბიჭმა ცოტა ხანს ნებაზე მიუშვა კვიცი. როცა ნახა, აღარ გაფრთხებოდა, მეორე ხელი კისერზე მსუბუქად დაუსვა, ცერა თითი კი მანამდე მიანება, სანამ კვიცი არ დარწმუნდა, რომ იმას ვერაფერს გამორჩებოდა.

კვიცმა თითს თავი მიანება, დედასთან მივიდა და თავი მუცელქვეშ შეუყო, რძით გათქვირულ ძუძუებს წაუგერავა, ხარბად წოვდა და მეტი სიამოვნებისაგან მოკლე კუდს მოუსვენრად აქეთ-იქით იქნევდა.

ყურებამდე გაღიმებული ბიჭი უცქერდა კვიცს და სიზმრად ნანახი გაახსენდა, ცის სილაჟვარდეში რომ დაჰქროდა. ნეტავი მართლა შემისვამდეს ზურგზე თეთრი ცხენიო, და ხმამაღლა თქვა:

— თეთრო ცხენო, შემისვამ ზურგზე?

ცხენმა დაიხვიხვინა.

კვიცმა ძუძუს თავი მიანება და ბიჭს გამოხედა. პაწაწინა, ბუსუსიან ჩიჩვირზე მსუყე რძის მსხვილი წვეთი ეკიდა. ბლიაფოთოლა პატარა ყურები აებზიკა.

ცხენის ხვიხვინი ბიჭმა თანხმობის ნიშნად მიიღო, გაუხარდა, თვალით მისი ზურგის სიმაღლე მოსინჯა. ზედ შესაჯდომად ვერ მისწვდებოდა, ღობიდან უნდა გადასკუპებოდა. უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა, — ცხენს ფაფარში ფრთხილად მოკიდა ხელი, ღობისკენ გაუძღვა. ცხენიც მორჩილად მიჰყვა. ბიჭი ღობეზე შეხტა, იქიდან გადაალაჯა. მარცხენა ხელით ფაფარში ჩააფრინდა და მარჯვენათი კისერზე მოუტყაპუნა.

ცხენმა თქარათქურით გადაიარა გზა. გავიდა ძეძვიან მინდორზე და ლაღად გაინავარდა. უკან დაოთხილი კვიცი გამოუდგა. ისე მისდევდა, გეგონებოდათ, ნადირი აედევნაო.

ცხენი მსუბუქად ევლებოდა ძეძვის ბუჩქებს. მისი ფლოქვებისაგან ატეხილი ხმაურით ელდანაკრავი ჩიტები შურდულიდან ნასროლი ქვებივით ცვიოდნენ ძეძვის ბუჩქებიდან და ჭყივილით შორს მიფრინავდნენ.

კვიცი ცდილობდა, დედას არ ჩამორჩენოდა. ჯერ ფეხდაფეხ მისდევდა, საოცარი სიმარდით ახტებოდა პატარა ბუჩქებს, მაგრამ როცა მაღალი ბუჩქი შემოხვდებოდა, უკან ჩერდებოდა, საალამურივით წვრილ წინა ფეხებს ინერციით აწვებოდა და ლამის ჩაეჩოქა კიდეც. ხაფანგში გაბმულივით აქეთ-იქით აწყდებოდა, არ იცოდა, როგორ გადაელახა დაბრკოლება. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მოიფიქრებდა, ბუჩქს გვერდს აუვლიდა და, უფრო მეტად დამფრთხალი, ვაითუ ვეღარ მივეწიოო, მთლად გადარეული დგებოდა დედის კვალში.

დედას კი შავარდენის ფრთები გამოსხმოდა. ყურებდაწურული მიგელავდა და უგზოუკვლოდ მიაქროლებდა პატარა მხედარს, რომელიც სველი ფოთოლივით მისწებებოდა ზურგზე, შიშველი ფეხის ქუსლები ფერდებზე მაგრად ამოედო და ოდნავ გაფითრებული სახე ცხენის სრბოლით ატეხილი ქარისთვის მიეშვირა.

— მიდი, მიდი, — აქეზებდა ბიჭი ჭაკს. თვალებდახუჭული ძლივს ამოძრავებდა გამშრალ, თხელ ტუჩებს. სიტყვებს ნიავი ტაცებდა და აუჩინარებდა, ცხენის ყურამდე ვერ აღწევდა, თუმცა გონიერი ფაშატი ისედაც ხვდებოდა პატარა მხედრის გულისწადილს — თავდავიწყებით ეჯირითნა, და რა გააჩერებდა, ირბენდა მანამ, სანამ მუხლში ძალა შესწევდა, სანამ არ დავარდებოდა.

ძეძვიანი მინდორი თვალსა და

ხელს შუა ილეოდა. მინდვრის იქით მწვანე ბალახით შემოსილი მთის კალთები იწყებოდა. ცხენს პირდაპირ იქით აეღო გეზი.

ბიჭმა ერთი წამით გაახილა თვალი, იქნებ იმიტომ, რომ თავი სიზმრად ნახულ ლაჟვარდში ეგონა და უნდოდა კარგად დარწმუნებულიყო. გაახილა თვალი და, წინ მთის კალთები რომ დალანდა, უცებ რაღაც გაახსენდა.

კვიცი!

„სად არის კვიცი?“

უკან მოიხედა.

კვიცი არ ჩანდა.

ბიჭმა ორივე ხელით მოსწია ცხენის ფაფარი.

— გაჩერდი, გაჩერდი!

ცხენმა რბოლას უკლო, ნაბიჯზე გადავიდა და გაჩერდა. პატარა მხედარმა კისერზე ხელი წამოუტყაპუნა. ცხენი მოტრიალდა. მხედარმა ქუსლი ჰკრა. ფაშატმა ცოტა რომ გაირბინა, შორს, ძეძვიანში კვიცი გამოჩნდა. გამალებით მოქროდა. დედას ჭიხვინით მიეჭრა. დაღლილიყო, ფერდი ფერდს სცემდა.

უკან გაბრუნება და ჯირითი აღარ ღირდა. რაც იყო, ბიჭმა იკმარა. სახლამდე ცხენი ნაბიჯით ატარა, ჭიშკართან გაჩერა, ცქვიტად გადმოხტა. ცხენს ორივე ხელი თავზე მოხვია, დაბლა დაუწია და შუბლზე აკოცა.

უკან, შიშველ წელზე ვიღაცამ მოუღიტინა ყმაწვილს. ხელი გაატარა ზურგისკენ. სვიტრი ამოსჩაჩოდა და წელი გაშიშვლებოდა. კვიცი პირით ეტანებოდა, ბუსუსიან ციცქნა ჩიჩვირს უცაცუნებდა. ბიჭმა გაიცინა, კვიცსაც დაუჭირა თავი და აკოცა.

— კიდევ ძოხვალ ჩემთან, კვიცუნი?

ამ დროს უცხო კაცი წამოადგათ, მაღალი, ხმელ-ხმელი. შავი, ჩამოფანჩული წარბები ჰქონდა. მკლავები მუხლებამდე ჩამოჰკიდებოდა, სახე გაეანგისფერებოდა. პირის ერთ კუთხეში ფილტრამდე დაყვანილი სიგარეტი მოემწყვდია, თვალები ისე მოეჭუტა, რა ფერის ჰქონდა, ვერ გაიგებდით. მარცხენა ხელში დახვეული თოკი მოემარჯვებინა. ბიჭმა თოკი იცნო, ის იყო — ნაბორკილევი, შემოდგომაზე ცხენს ფეხიდან რომ შეხსნა. კაცი კი ვერ იცნო, იმათი სოფლისა არ ჩანდა.

უცნობმა პაპიროსის ნამწვი გამოაფურთხა. ტუჩზე მიწებებული ქაღალდის ნამცეცი ხელის ზურგით მოიცილა და თქვა:

— აი, სად ყოფილხარ, შე ვერანა, შენა!

კაცს უსიამოვნო, ჩახრინწული ხმა ამოსდიოდა ყელიდან. ცხენს კისერზე თოკს აბამდა და, ბიჭს არ დარიდებია, ყიამყრალობდა, უსირცხვილოდ იგინებოდა, ნეტავი აქ რას გადმოეჩვიეო. ნასკვის სიმაგრე მოსინჯა, თოკის ბოლო მარცხენა ხელის ოთხ თითზე გადაიხვია და აჩუო, შეუძახა, წინ გაიწია, რომ ცხენი მიჰყოლოდა.

ჭაკი ადგილიდან არ დაძრულა. მარტო თავი აიქნია მაღლა, რომ კისერზე შებმული, დაჭიმული თოკი შეესუსტებინა და შეღავათი ეგრძნო.

— რა ჭირი გეცა, შე სამგლევ! — შეუღრინა კაცმა და უფრო წინ გადაიხარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თოკი დაქაჩა. ცხენმა არც ახლა მოინაცვლა ფეხი — კისერი დაძაგრა, უკან დაიწია და დაიხვიხვინა. ამ ხვიხვინმა კვიცი დააფრთხო, ბიჭის ზურგს ამოეფარა, იქიდან მალულად დაუწყო ყურება დედისა და კაცის ჭიდილს.

უცხო კაცი ლამის გაცოფდა.

— აჩუ, შე პატრონდავსილო, აჩუ!

ის უფრო და უფრო ეწეოდა თოკს. თითები, რომლებზედაც თოკი ჰქონდა გადახვეული, ლილასავით გაულურჯდა, კისრის ძარღვები დაებერა, ჟანგისფერი სახე გაუშავდა, ჩამოფანჩულ წარბებს ქვეშიდან თვალები სისხლისფრად აუელვარდა, ყბა გვერდზე მოექცა და თამბაქოს კვამლისაგან ჩაყვითლებული კბილები გამოუჩნდა.

ბიჭს ფერი წასვლოდა, გაფაციცებით უყურებდა ცხენსა და კაცს. კაცის ყოველ წამოყვირებასა და ბოღმით ამონთხეულ ყოველ სიტყვაზე შემოდგომის ფოთოლივით თრთოდა და კანკალებდა; ლამის ხელებში სცემოდა კაცს, რომ თოკი გამოეტაცა და ცხენისთვის რამე ეშველა. ასე ეგონა, ის უგულო კაცი კისერს წაგაწყვეტდა ჭაკს. მაგრამ რაღაც აკავებდა. განა ჰქონდა იმის უფლება, რომ ცხენს გამოჰქომაგებოდა, ის ხომ იმ კაცის საკუთრება იყო; არ ეტყოდა, შენ ვინა გკითხავს, ვისი ტიკი-ტომარა ხარო? მისი გამოსარჩლება, ვინ იცის, იქნებ უფრო ძვირად დასჯდომოდა თეთრ ცხენს, იქნებ ბიჭსაც მოხვედროდა ქეჩოში. არადა, რით შეიძლებოდა მიშველებოდა ცხენს?

ბიჭის ტვინი სწრაფად მუშაობდა. რამდენიმე ათეულ წამში რაღა არ მოისაზრა, მაგრამ არც ერთი არ დაუჯდა ჭკუაში. იქნებ სჯობდა, გაქცეულიყო და ვინმესთვის დაეძახა, ეჩვენებინა, რა ცუდად ეპყრობოდა ეს ავგული კაცი ცხენს? მაგრამ ბიჭს ფეხიც არ მოუცვლია, ცხენის ერთი წუთითაც მიტოვება არ შეეძლო, ასე ეგონა, კაცი მას უარეს რამეს დამართებდა.

ბოლოს და ბოლოს რაღაც გადაწყვიტა. ცხენთან ახლოს მივიდა, ისე ახლოს, ლამის ზედ მიეკრა მკერდით. ფერდზე ათრთოლებული ხელი დაადო და მუდარით აჩურჩულდა:

— გამიგონე, თეთრო ცხენო, წადი რა, წადი შინ!

კაცმა ყური მოჰკრა ბიჭის ნათქვამს. სახე დამცინავმა ღიმილმა დაუჯღანა. ეს პირველი შემთხვევა ხომ არ იყო, ჯიუტ ჭაკს პატრონისა რომ არ ესმოდა. ხშირად გაოჩნდებოდა ხოლმე და ახლა ღლაპს გაუგონებდა? თანაც ბიჭი ცხენს ისე ელაპარაკებოდა, გეგონება, პირუტყვი კი არა, ადამიანიაო. კაცს უნდოდა, რაღაც დამამცირებელი რამ ეთქვა ბიჭისათვის, მაგრამ უცებ სიტყვა პირზე შეაშრა, დამცინავი ღიმილი ერთ წამში გაუქრა, გაკვირვებისაგან სახე დაუგრძელდა, მისმა ხელმა შეღავათი იგრძნო, — თოკი მოეშვა, ცხენმა ზამბარასავით შეკუმშული ტანი გასწორა და ფეხი გადადგა. კაცი ლამის ჭკუაზე შეიშალა. ცხენი მის ნებას დაჰყვა, უკან კვიცი აედევნათ.

მიდიოდა კაცი, მიჰყავდა ცხენი და კისერი გვერდზე მოჰქცეოდა — ბიჭს თვალს არ აცილებდა. სახეზე უზომო გაკვირვება აღბეჭდოდა. ფიქრობდა და ვერ მიმხვდარიყო, რა თილისმა ჰქონდა ყმაწვილის იმ ორიოდე სიტყვას, რამაც გაჯიუტებული ცხენი თვინიერი და დამყოლი გახადა?

ბიჭი ისევ ჭიშკართან იდგა. ხელები უღონოდ დაეშვა, თავი დაეხარა და მიწას თუ საკუთარ შიშველ ფეხებს დასცქეროდა. სანამ ცხენი და მისი პატრონი გზის მოსახვევს მიეფარნენ, თავი მაღლა არ აუღია, ერთხელაც არ გაუხედავს იქით — არ უნდოდა, მისი ცრემლიანი თვალები დაენახა ვინმეს, მით უმეტეს იმ კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარბობა, ქარბობა, ქარბობელო!



16.8.92

კარლო ჯაბაჯაძე

— გინახავთ მატარებელი? — ვკითხე ჩემს გარშემო თავმოყრილ ბავშვებს.

ერთხანს ხმა არ გაუღიათ, თვალით მზომავდნენ, მერე უცბად ახმიანდნენ:

— როგორ არ გვინახავს, ჩვენ უკვე დიდები ვართ!

— იქნებ გინახავთ, მაგრამ არ გიმგზავრიათ? — ხელი დავადე თავზე ბონდო წიკლაურს და თვალებში ჩავაჩერდი, მან კი მორცხვად დახარა თავი და თავის მეგობარს პაატა ებრალიძეს გახედა.

— მიმგზავრია, — თქვა დინჯად მამუკა აბულაძემ, — იმერეთში დავდივარ ხოლმე.

— იმერეთში?!

— ჰო, ბებიასთან! ჩვენ ხომ იქიდან ვართ გადმოსულები.

— ჩვენ — ხევსურეთიდან! — ამომხედა წიკლაურმა.

— მერე, როგორ ჩადიხართ იმერეთში?

— ავტობუსით მივდივართ თბილისში, — იღიმება მამუკა, მიხვდა, საითაც მიმყავდა საუბარი, — იქ კი მატარებელში ვსხდებით!

— ვაგონებში საწოლებია! — დასძინა კობამ, — დაწვები და იძინე, ვიდრე არ ჩახვალ.

— მალე თეთრი წყაროშიც შემოვა მატარებელი...

— ვიცით! — არ დამაცადეს ბავშვებმა, — უკვე გამოყავთ რკინიგზა.

— მშენებლები ჩემი სახლის მახლობლად მინდორზე არიან დაბანაკებულები. — ხელი გაიშვირა მამუკამ.

— მართლა? — გავიხედე გაოცებულმა, არ ვიცოდი, თუ ასე ახლოს იდგა სამშენებლო რაზმი.

— ჩვენს მახლობლად რკინიგზის სადგურს აშენებენ, — თქვა პაატამ — ხშირად დავდივართ მშენებლებთან, ვმეგობრობთ!

ხათუნა ებრალიძე, ნინო ბაგრატაშვილი და მზია ოგბაიძე ხმადაბლა იცინოდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და თან თვალს არ მაშორებდნენ.

— შეგიძლიათ მიმიყვანოთ მშენებლობასთან? — ვკითხე ბიჭებს, — გზაზე ტალახი არ არის? — დავსძინე მერე — უკვე მეორე კვირაა, ცუდი ამინდი იდგა.

— ტალახი?! — გაიცინეს. — მშრალი გზა ვიცით! — დამაიმედა პაატამ.

მოასფალტებული მთავარი ქუჩიდან გადავუხვიეთ და მოხრეშილ შუკას დავადექით, ახალი ნაწვიმარი იყო და აქა-იქ გუბეები იდგა; ხრაშახრუში გაჰქონდა სველ ქვიშას.

— მალე ამ ქუჩაზე ასფალტს დაასხამენ, — თქვა მამუკამ. — ეს ქუჩა რკინიგზის სადგურთან მიდის!

„დაასხამენ! — გავიფიქრე გუნებაში. — რახან გადაწყდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა და უკვე შენდება, ასფალტის დასხმას წინ რაღა დაუდგება“.

რკინიგზის მშენებლობა ახალქალაქის მიმართულებით ერთი წელია მიმდინარეობს, მარნეულისაკენ მიმავალ არსებულ რკინიგზას ის მარაბდაში გამოეყოფა, გაივლის თეთრი წყაროს, წალკის, ბოგდანოვკის რაიონებს და ახალქალაქში ჩავა. ეს რკინიგზა სიგრძით 160 კმ, ნორმალური სიგანის, ერთლიანდგიანი, ელექტრიფიცირებული იქნება, მასზე ელექტრომავლები იმოძრავებენ.

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა შეტანილია მე-11 ხუთწლედის მშენებლობათა სიაში. ახლა სიტყვა მშენებლებზეა, იმ ადამიანებზე, ვინც მთები უნდა გასჭრან, ხევები ამოავსონ, ფერდობებს საყრდენ კედლები შეუყენონ, ვაკისი მოაწყონ, არაერთი ხიდი ააგონ, შპალები დააწყონ, ლიანდაგი დააგონ, საკონტაქტო ხაზი გაჭიმონ, რკინიგზის სადგურები და პლატფორმები ააშენონ. ესენი არიან: ამფეთქებლები, მეექსკავატორეები, მებულდოზერეები, თვითმცლელი მანქანების მძღოლები, მებეტონეები, რკინა-ბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების მემონტაჟეები, ხითხუროები, ქვითხუროები, მებათქაშეები, ელექტრიკოსები, სანტექნიკოსები და მთელი არმია კიდევ სხვადასხვა სახის სპეციალისტებისა.

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ძირითადი მშენებელია სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის თბილისის ტრესტი, რომელსაც ემსახურებიან ცალკეული სამმართველოები, მაგალითად: ლიანდაგის დამგები სამმართველო, ამფეთქებელთა სამმართველო, მიწის სამუშაოების სამმართველო, ხიდების მშენებლობის სამმართველო, სამოქალაქო მშენებლობის სამმართველო, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტო ხაზის, კავშირგაბმულობის სამმართველოები და სხვ.

დღეისათვის მარაბდიდან თეთრი წყაროს მიმართულებით 19 კმ-ზეა გაყვანილი რკინიგზა, რომელზედაც სამშენებლო მატარებელები მოძრაობენ.

— აი, დასახლებაც! — შემომესმა ფიქრებში წასულს მამუკას ხმა.

ჩვენს პირდაპირ მინდორზე მწვანე და ლურჯი ავტომისაბმელები გაბნეულიყო; კაცის ჭაჭანება არ ჩანდა, ყველა სამუშაოდ წასულიყო.

— ამ ვაგონსახლებში მშენებლები ცხოვრობენ, — თქვა პაატამ. — აი, იქით კი მედპუნქტია...

უეცრად მოსახვევიდან დიდი თვითმცლელი ავტომანქანები გამოჩნდა. მძიმედ, გრიალით მოდიოდნენ, მიწით იყვნენ დატვირთულები.

— „კრაზები“! — შეჰყვირა ბონდომ და ხელები გაშალა.

ბიჭები გაიწკაპნენ და ერთხანს აღტაცებულები შესცქეროდნენ მანქანებს.

— ეს კი „კამაზია“, — მომიბრუნდა პაატა და ავტომანქანაზე მიმითითა, — ძალიან კარგია, ძლიერი.

— „კრაზი“ არ არის ძლიერი? — შეუტია ბონდომ.

ორივეს ღიმილით გადავადე მხარზე ხელი და გზა განვაგრძეთ.

— ძალიან ბევრი მიწის სამუშაოა შესასრულებელი, — დავიწყე, ორიოდე ნაბიჯი რომ გავიარეთ. — მიწას რომ მოსჭრი, გადატანა ხომ უნდა?! ძლიერი მანქანები თუ არ გეყოლა, რით გადაიტან?

— მე მძღოლი უნდა გამოვიდე! — დაასკვნა ბონდო წიკლაურმა, — „კრაზის“ მძღოლი.

— მე კი მატარებელს წავიყვან... — ეჭვნარევი ხმით თქვა პაატამ, მერე მე შემომხედა: — შეიძლება მატარებლის მძღოლი გავხდე?

— როგორ არ შეიძლება! — გასცა ჩემს მაგივრად პასუხი მამუკა აბულაძემ. — რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის განცხადება, სკოლაში რომაა გამოკრული, არ წაიკითხე? რვა კლასს რომ დაამთავრებ, სწავლა შეგიძლია იქ განაგრძო.

— მამუკა სწორია, — დავუკარი კვერი და წუთით შევჩერდი. — რკინიგზის გამოყვანასთან ერთად თქვენს რაიონს ახალი დარგის სპეციალისტები დასჭირდება: რკინიგზის ექსპლოატაციაში, სავაგონო მეურნეობაში, ავტომატიკა-ტელემექანიკაში, ელექტრულ წევაში, აგრეთვე მეელმავლეები, სადგურის მორიგეები... ყველას ვერ ჩამოთვლი.

— დიქტორებიც ხომ საჭირო იქნება? — იკითხა ნინომ და მეგობარს მიუბრუნდა: — მატარებელი თბილისი — ახალქალაქი სადგურ თეთრი წყაროში ჩამოდგა!

ბავშვებმა გაიცინეს.

— არა მარტო რკინიგზის სპეციალისტები დასჭირდება თქვენს რაიონს, წალკას, ბოგდანოვკას და ახალქალაქს, — განვაგრძე საუბარი და ბავშვებს თვალი მოვავლე. — ეს მხარე მდიდარია სოფლის მეურნეობის პროდუქტებით: კარტოფილი, მარცვლეული...

—მევენახეობა! — შემომაშველა მამუკამ.

— მევენახეობაც, განსაკუთრებით მესაქონლეობა-მერძეველობა; აიგება ახალი ყველ-კარაქის ქარხნები... რკინიგზის გამოყვანა დაჩქარებს საერთოდ მრეწველობის განვითარებას: ელექტრომრეწველობა, მანქანათმშენებლობა; ადგილობრივი მცხოვრებლები უფრო მეტად იქნებიან დასაქმებულები, გაიზრდება აქ მცხოვრებთა რაოდენობაც.

ბავშვები გაფართოებული თვალებით შემომცქეროდნენ, ალბათ გონების თვალით საზღვრავდნენ საყვარელი რაიონის მომავალს.

— განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასარგებლო წიაღისეული, რითაც ძალიან მდიდარია ეს მხარე. თქვენ ალბათ იცით, რომ თანამედროვე მშენებლობებისათვის საკედლე ბლოკების და პანელების დასამზადებლად მსუბუქ ბეტონს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ბეტონი კი მსუბუქი შემავსებლებით მზადდება, ხომ გაგიგონიათ ტუფი, ვულკანური წიდა...

— როგორ არ გაგვიგონია! — შეჰყვირეს ბავშვებმა, — ჩვენთან სახლებს ტუფით აგებენ.

— აი, ამ ტუფის ღორღი და ვულკანური წიდა არის ბეტონის კარგი, მსუბუქი შემავსებლები, რითაც ერთობ მდიდარია ეს რაიონები, განსაკუთრებით ბოგდანოვკა და ახალქალაქი.

გზა განვაგრძეთ, ბიჭები ცდილობდნენ ჩემს გვერდით ყოფილიყვნენ, უნდოდათ ყველაფერი მოესმინათ; არც გოგონები გახლდნენ გულგრილები, მაგრამ მორცხვობდნენ.

— იმის გამო, რომ ამ რაიონებში რკინიგზა არ იყო, განვაგრძე მე, — ასეთი ძვირფასი სამშენებლო მასალა — ტუფი და წიდა სხვა რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს: სომხეთიდან, შუა აზიიდან...

— შუა აზიიდან?! — გაუკვირდათ ბავშვებს.

— რას იზამ, — გავშალე ხელები. — სადაც რკინიგზაა გაყვანილი, იქიდან რაიმეს გამოტანა გაცილებით იაფია. გარდა შემავსებლებისა, ეს რაიონები მდიდარია მოსაპირკეთებელი ქვებით: ბაზალტით, ანდეზიტით, მოსაპირკეთებელი ტუფით, განსაკუთრებით ლამაზია დეკორაციული ჭივჭავის ტუფი...

— ეს ხომ აქ ახლოსაა?! — გაიშვირა ხელი მამუკამ. — ჭივჭავში ახლა ხიდი შენდება.

— სწორი ხარ! — დავეთანხმე მე, რადგან იქ უკვე ნამყოფი ვიყავი და დათვალიერებული მქონდა რკინიგზის ჭივჭავის რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობა. მერე კვლავ შემოგარენს მოვავლე თვალი და განვაგრძე: — საერთოდ, ეს მხარე, თრიალეთის ზეგანი—ვულკანური წარმოშობისაა, ამიტომაც ბევრია ვულკანური ჯიშის ქვები. — დავიხარე და ნაცრისფერი ფორებიან-ნასვრეტებიანი ქვა ავიღე, აი, ისეთი, თითქოს ჭიანჭველებს უძრომიალიათო. — ესაა ტუფი!

— ასეთი ქვა ჩვენთან ძალიან ბევრია! — ჩაიქნია ხელი მამუკამ.

გოგონები მოგვიახლოვდნენ, ქვა ინტერესით შეათვალიერეს, მერე ჩაიქირქილეს, ასეთი ქვის მეტი რა გვინახავსო.

გზა განვაგრძეთ. მალე მშენებლობაც გამოჩნდა. ნაყარი მიწა მთელ სიგრძეზე გასდევდა მინდორს და შორს ბუჩქნარში იკარგებოდა. შეზვინული მიწის ფერდი ავიარეთ, სამოთხ მეტრზე ავედით და გავიკეთ.

— ეს არის რკინიგზის ვაკისი! — ვთქვი და ხელი გავიშვირე, — მიწას მოასწორებენ, ხრეშს დაყრიან, მერე შპალებს დაალაგებენ და რელსებს დააგებენ.

— არა! — შემომედავა მამუკა, — რელსები შპალებთან ერთად მოაქვთ, აწყობილი...

— მართალი ხარ, — დავეთანხმე მამუკას და დავსძინე: — რელსებს შპალებზე სამშენებლო პოლიგონზე ამაგრებენ, მერე მოაქვთ ლიანდაგის დამგები მატარებლით და მზა ვაკისზე ალაგებენ, ასე უფრო სწრაფად მიდის საქმე.

არემარეს თვალი მოვავლე. გარეგარეთ ქრისტიანენი სრულიად, გარნა ჰყავთ მღვდელნი ქართველნი, ენა აქვთ ქართული".

თრიალეთი ისტორიული ქვემო ქართლია, მდინარე ქციის ზემო წელი, შედიოდა სამშვილდის საერისთაოში და ქართლს ექვემდებარებოდა. შემდეგში შეიქმნა კლდეკარის საერისთაო. სამწუხაროდ, მონღოლებისა და განსაკუთრებით თემურლენგის შემოსევის შემდეგ თრიალეთი მოსახლეობისაგან თანდათან დაიცალა, გაპარტახდა. XVIII საუკუნეში დაიწყეს გადმოსვლა ახალმოსახლეებმა: ჯავახეთიდან, შიდა ქართლიდან, კახეთიდან; XIX საუკუნის შუა წლებში კი თურქეთიდან ლტოლვილი სომხები და ბერძნები დასახლდნენ, რომლებიც დღესაც ძირითად მოსახლეობას შეადგენენ. ჩვენს დროშიც მოხდა ჩასახლება იმერეთიდან, რაჭიდან, ფშავ-ხევსურეთიდან — ძირითადად თეთრი წყაროს რაიონში.

მომავალი რკინიგზის ვაკისზე ხუთასიოდე მეტრი გავიარეთ და კვლავ გარემოს მოვავლე თვალი. ამინდი

მართლაც გეჯითად ზრომობენ გოგონები და ბიჭები.

მო მწვანედ ხასხასებდა, ნაწვიმარი გორაკები პირდაბანილებივით ცინცხლად გამოიყურებოდნენ; ქვემოთ ჯეჯილი საყვარლობდა, მერე ბუჩქნარი იწყებოდა და მთის ფერდობს ტყე შეჰფენოდა. იქვე, მინდორზე, თეთრი ფარა გაშლილიყო...

„მიწა ნაყოფიერია და მოსავლიანი, ხოლო ცხვარნი და ჯოგნი მრავალნი, თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათ გუარობენ, მრავალნი. თაფლი მრავალი, — გამახსენდა ანაზდად ვახუშტის საქართველოს ისტორიაში ამოკითხული. — კაცნი და ქალნი მსგავსნი ქართლის გლეხთა. ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი, სარწმუნოებით გლეხნი, ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, გარნა ჰყავთ მღვდელნი ქართველნი, ენა აქვთ ქართული".

— აი, აქ ბუჩქნარის გაკაფვა, ბოზიდვაზე ვეხმარებოდით მშენებლებს! — თითქოს მიმიხვდა ფიქრს მამუკა და გაკაფული ბუჩქნარისაკენ მიმითითა. — მომავალში უფრო მეტს გავაკეთებთ.

— არდადეგებზე სამშენებლო რაზმის ჩამოყალიბებას ვაპირებთ, — ჩაერია საუბარში ნინო.

— კარგი იქნება, თუ ჩვენი პიონერული ნადნობიც მოხმარდება მშენებლობას, — დასძინა დინჯად მამუკა აბულაძემ, — ჩვენ ხომ ჯართის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ.

თეთრი წყაროს კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანთან ციცინო წულუკიძესთან საუბარი გამახსენდა. კომკავშირის რაიკომმა მიიღო დადგენილება, გამოცხადდეს შრომითი ოპერაცია: „მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობას — პიონერული რელსები!" ეს იმას ნიშნავს, რომ პიონერების მიერ შეგროვებული ჯართი რკინიგზისათვის საჭირო რელსების დამზადებას მოხმარდება. ბავშვები თურმე უკვე დიდი ენთუზიაზმით აგროვებენ ლითონის ნარჩენ-ნამტვრევებს. რუსული სკოლის პიონერებმა, რომელთა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეა მარინა კიზირიდი, ორი ტონა ჯართი ჩააბარეს. სხვა მრავალი ღონისძიებაც არის დასახული: პიონერთა სახლთან ჩამოყალიბდება ნორჩ რკინიგზელთა წრე, სკოლებში შეიქმნება მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის კუთხე, რაც უთუოდ დაეხმარება პიონერ-მოსწავლეებს პროფესიის შერჩევაში. გაივლის ხუთიოდე წელი, მატარებელი ახალქალაქს მიაკივლებს, ის ახალი პროფესიის ადამიანები, რომლებიც რკინიგზაზე იშრომებენ, დღევანდელი პიონერები იქნებიან: პაატა, ხათუნა, ნინო, მამუკა, მარინა, ნიკო, ბონდო, დალი, ნანა, მზია, კობა, თამაზი და ბევრი სხვა.

— მაინც როგორ გაქვთ წარმოდგენილი პირველი მატარებლის შემოსვლა? — ვკითხე ბავშვებს და მზერა ნინო ბაგრატაშვილზე შევაჩერე.

— ალბათ, მორთული იქნება ყვავილებით, დროშებით... — თქვა გაუბედავად ნინომ.

— სადგურში რომ შემოვა, მივალ და ვეტყვი: — გამარჯობა, მატარებელო! — წამოიძახა მამუკა აბულაძემ.

— გამარჯობა, მატარებელო! — გაიმეორეს სახეგაბრწყინებულმა ბავშვებმა და ამ არცთუ ისე შორეული, მომავალი შეხვედრის სიხარულით აღსავსეებმა ჩაიღიმილეს.

„ნიჩბისის დასავლეთით კევი კავთისა გამოდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამკრიდამ. ქვათაკევამდე ვენახოვანი, ხილიანი. ქვათაკევს არს მონასტერი ყოვლადწმიდისა. გუმბათიანი, მშვენიერნაშენი. ზის არქიმანდრიტი. და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალი. ამას შინა შეიპყრნა თემურლენგ მოწესენი და შეასხა ეყუანნი (რომელნი იტყოდნენ: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეუღარუნებიან!"), და გამოსწუნა ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა კელნი, ფერკნი, თავნი და გუამნი. არავინ შევალს ფეკცმული, არამედ ფერკშიშველნი, სიწმინდისათვის. ამას ზეით, დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა, მაღალს კლდესა ზედა შეინ". ასე აღწერს სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ქვათახევის მონასტერს და მის შემოგარენს.

ქვათახევის მონასტერი მდებარეობს დღევანდელ კასპის რაიონში, მდინარე კავთურას ხეობაში, სოფლიდან მოშორებით, ირგვლივ ტყე აკრავს და საუცხოოდ ეხამება ლამაზ გარემოს: თავდაპირველად აქ დედათა მონასტერი ყოფილა. შემდეგ მას, როგორც ჩანს, პირვანდელი დანიშნულება შეუცვლია: 1854-1874 წლებში აქ არქიმანდრიტად იჯდა ცნობილი ქართველი მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი და კალიგრაფი, მესხიშვილების გვარის ერთ-ერთი უკანასკნელი თვალსაჩინო წარმომადგენელი ტარასი ალექსი-მესხიშვილი, რომელიც აქვეა დაკრძალული.

ქვათახევი ისტორიულად მეტად მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა. აქედან გზა კავთისხევისა და ნიჩბისის გავლით ძეგვში ჩადიოდა და შემდეგ, დიდგორზე გავლით,— მცხეთაში.

X-XIII საუკუნეების საკულტო ბუროთმოძღვრებაში ძირითადი და წამყვანი ადგილი გუმბათოვან ტაძრებს უჭირავთ. მათთვის დამახასიათებელია სიგრძივი ღერძი და ძლიერი, მონუმენტური მასა. ნაგებობა სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნის; ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას აღმართულია გუმბათი, რომელიც ოთხ სვეტს ეყრდნობა. სწორკუთხა ფუძე გუმბათოვანი გადახურვისაკენ, როგორც წესი, ტრომპებით ან აფრებით გადადის. სამი მკლავი ტოლია, ბოლოდ დასავლეთის მკლავია დაგრძელებული. შენობის ამ ნაწილში ზოგჯერ გვხვდება დამატებითი ხუროთმოძღვრული სვეტები, თაღები და სხვ. საკურთხევლის აფსიდი ძირითადად გეგმაშია ჩაწერილი. შენობის კედლის გარეთ არ გამოდის. მაგრამ იშვიათად მაინც გვხვდება შვერილი აფსიდები (ე. ი. აფსიდი, რომელიც კედლის გარეთ გამოდის). X-XI ააუკუნეების გუმბათოვანი ნაგებობები ხშირად ტრიკონქის ტიპისაა, მომდევნო ხანებში კი ტრიკონქი აღარ გვხვდება.

ქვათახევის მონასტერში რამდენიმე ნაგებობაა. მათ შორის მთავარია ყოვლადწმინდის ტაძარი, რომელიც XII-XIII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება; იგი ბევრჯერ გადაუკეთებიათ და ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. ხელუხლებლად არის გადარჩენილი ძეგლის ძირითადი ნაწილი — ქვის პერანგი მდიდრული ჩუქურთმებითურთ და გუმბათის უელი. ქვათახევის ხუროთმოძღვრული ფორმები ნათლად წარმოგვიდგენს ეპოქის სულიერ კვეთებას, ხუროთმოძღვრების მაღალ დონეს.

პასუხი № 2-ში დასმულ კითხვებზე

ქვათახევი

ხუროთმოძღვრული ფორმებით ტაძარი ახლოს დგას ბეთანიის ეკლესიასთან. ყოვლადწმინდის გეგმა კვადრატს უახლოვდება. ოთხი ცალკე მდგარი სვეტის ნაცვლად აქ მხოლოდ ორია. ტაძრის აღმოსავლეთით წყვილი სვეტი საკურთხევლის კედელთან არის შერწყმული. დასავლეთის მკლავი გამარტივებულია, არ გვხვდება აღარავითარი დამატებითი ხუროთმოძღვრული ელემენტი. აღარც პატრონიკეა. გეგმის გამარტივებასთან ერთად შეცვლილია პროპორციები. შენობის ძირითადი ნაწილი რამდენადმე დაბალია, გუმბათის უელი კი — მაღალი და შენობაზე კოშკივით წამომართული. შენობის ასეთი კონსტრუქცია დაძაბულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. შენობის ფასადებზე აღარ არის დეკორაციული კამარების მოტივები. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ფრონტონის წვერის გასწვრივ ჩუქურთმებით შემკული დიდი ზომის რელიეფური ჯვარია, რომლის ქვედა ნაწილი ხარკმლის ორნამენტიან საპირეს ებმის. ნიშები გაფორმებულია ლილვაკებით, უგულებელყოფილია არკატურა.

ტაძარი კაპიტალურად შეაკეთებინა საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XIII-ის შვილიშვილმა იოანე თარხან-მოურავმა 1854 წელს. მისი ძირითადი ღირსებაა მდიდრული ორნამენტი, რომელიც ღრმა შუქ-ჩრდილის დაპირისპირებით, რთული და მრავალფეროვანი ფორმით და ფაქტურით მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძარი სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული ქვის ფილებით არის ნაშენი; ამასთან, ფერწერული ეფექტის გასაძლიერებლად ხუროთმოძღვარს სხვადასხვა ფერის ქვები გამოუყენებია. როგორც ვიცით, ქართული ტაძრების უმეტესობის ინტერიერი ფრესკებით არის მოხატული; ეს ტაძრის შიგა კედლების შელესვას მოითხოვდა, და ამიტომ საშენად იყენებდნენ უხეშად დამუშავებულ ქვას, რომელსაც შელეხილობა კარგად ეჭიდებოდა. თლილი ქვებით მხოლოდ სვეტებს, პილასტრებს, თაღებს აფორმებდნენ.

ქვათახევის მონასტერში რამდენიმე ნაგებობაა. ტაძრის სამხრეთი ეგვტერი ეკლესიის დროინდელია, დასავლეთის კარიბჭე კი გვიან, XVII საუკუნეშია აგებული. ამას გარდა, აქ არის XVII-XVIII საუკუნეების შენობათა ნაშთები (მაგალითად, კოშკი) და XIX საუკუნის ნაგებობაც.

ქვათახევის მთავარი ტაძარი XII-XIII საუკუნეების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია.

ა ფ რ ა — სფერული სამკუთხედის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც იძლევა სწორკუთხა ფორმიდან გუმბათოვანი გადახურვისკენ გადასვლის საშუალებას. საქართველოში გავრცელდა VIII-IX საუკუნეებიდან და განდევნა მანამდე გაბატონებული ტრომპი.

გ უ მ ბ ა თ ი — კამარის ერთ-ერთი სახეობა. იხმარება მრგვალი, მრავალწახნაგა, კვადრატული დარბაზების გადასახურავად. საქართველოში გუმბათს უწოდებენ ეკლესიის დამაგვირგვინებელ კოშკისებურ ნაწილს.

გ უ მ ბ ა თ ი ს უ ე ლ ი — გუმბათის მზიდი ნაწილი — ჩვეულებრივ ცილინდრული ან მრავალწახნაგოვანი მოცულობა, რომელშიც სარკმელებია გაჭრილი.

ე გ ვ ტ ე რ ი ან ე ქ ვ ტ ე რ ი — 1. მცირე სამლოცველო სახლი, კერძო პირთა სამლოცველო. 2. ეკლესიაზე მიშენებული მცირე სამლოცველო. საქართველოში ეკლესიაზე მიშენებული ეგვტერები ფეოდალთა საგვარეულო სასაფლაო იყო.

თ ა ღ ი — კედლის ღიობის ან ორ საყრდენს შორის მდებარე სივრცის გადახურვა.

ინ ტ ე რ ი ე რ ი — სადგომის არქიტექტურულად გაფორმებული შიგა სივრცე.

კ ა რ ი ბ ჭ ე — 1. ქალაქის, სასახლის, ციხის გალავნის შესასვლელი. 2. შენობის შესასვლელთან აშენებული დერეფნის მაგვარი სადგომი.

პ ა ტ რ ო ნ ი კ ე — ტაძრის მეორე სართულზე ანტრესოლის მსგავსად მოწყობილი ვიწრო ბაქანი.

პ ი ლ ა ს ტ რ ი — კედლის სვეტი, კედლის სიბრტყიდან გამოწეული ვერტიკალური ზოლი. წარმოადგენს დეკორაციულ ელემენტსაც.



*

გავშვებო, მოგვწერეთ, რა არის ამ ფოტოზე გამოსახული და რა იცით მის შესახებ.

*

ტრიკონქი — სამაფსიდიანი ეკლესია ან სხვა რაიმე შენობა. საქართველოში ამ ტიპის ნიმუშებია ოშკისა და ალავერდის კათედრალები, ჭუთაისის ტაძარი.

ტრომპი — ხუროთმოძღვრული კონსტრუქცია, რომლის საშუალებით გუმბათის წრიული საფუძველი გადასახურავი ხადგომის კვადრატს უკავშირდება. აქვს ნახევარკონუსის ან სფეროს მეოთხედის სახე. საქართველოში გავრცელებული იყო VI-VII საუკუნეებში. შეცვალა აფრამ.

ამირან ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ᲯᲔᲘᲛᲡ ᲙᲠᲣᲖᲘ

ᲗᲘᲛ ᲢᲐᲚᲔᲠᲘ ᲐᲜᲣ ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ

მსგავსი რამ არცთუ ისე იშვიათად ხდება — საკუთარი საუკეთესო თვისების ფასს მოგვიანებით, მხოლოდ მისი დაკარგვის შემდეგ რომ გაიგებს ხოლმე ადამიანი.

ამ უბრალო ჭეშმარიტების მარადიულობაზე მოგვითხრობს ჯეიმზ კრუსის სათავგადასავლო წიგნი, რომელსაც „თიმ ტალერი ანუ გაყიდული სიცილი“ ჰქვია.

მრავალ სიკეთეზე ჩაგაფიქრებთ ეს წიგნი, მრავალი ადამიანური ღირსება-ნაკლის დანახვასა და გადაფასებას გასწავლით, უამრავ სევდიან და მხიარულ ისტორიას შემოგთავაზებთ, უამრავ კეთილსა და ავ ადამიანს შეგახვედრებთ.

ვინ მოთვლის, რამდენი წინააღმდეგობის, რამდენი სიძნელის გადალახვა მოუხდა თიმს, სანამ მიზანს მიაღწევდა — დაკარგულ სიცილს დაიბრუნებდა. ამ სიძნელეთა გადალახვამ აიძულა ბიჭი, ერწმუნებინა ყველაზე მთავარი—კერძოდ ის, რომ ვერაფერი შეედრება პიროვნების იმ შინაგან თავისუფლებასა და ბუნებრიობას, სიცილის უნარი რომ ანიჭებს ადამიანს.

პოეტ შოთა ქავთარაძის მიერ გერმანულიდან თარგმნილი ეს მშვენიერი წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 8

ჩვენი წვლილია

ოპერაცია „წიქარა“ ჩვენს სკოლაში დიდი პოპულარობით სარგებლობს — ყოველთვის ბეჯითად ვშრომობთ უფროსების მხარდამხარ, ვეხმარებით მათ პირუტყვისათვის საკვების დამზადება-მომარაგებაში. არც წელს გვიზარმაცია: ჯერ იყო და დიდძალი სასილოსე მასა დავამზადეთ, მერე კი ფერმაში მივზიდეთ; ამას წინათ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, თითოეულ მოსწავლეს სულ ცოტა 200 კგ თივა დაგვემზადებინა და მიგვეზიდა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში. თქმა და შესრულება ერთი იყო — პირობა გადაჭარბებით გავანაღდეთ.

კარგი შოლეით ყველა მოსწავლემ გამოიჩინა თავი, მაგრამ განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან გ. ადეიშვილი, გ. ბურკაძე, ი. კოპალეიშვილი, ნ. მეფარიშვილი, ლ. გოგოძე, ნ. ჩაფიძე, რომლებმაც 250 კგ-მდე საკვები მოუმზადეს საზოგადოებრივ პირუტყვს.

ამით როდი ვწყვეტთ საქმიანობას, გადაწყვეტილი გვაქვს მხარეს ამოვუდგეთ და კვლავაც აქტიური დახმარება გავუწიოთ ფერმას.

მიხეილ ბურკაძე,
ვანი, შუამთის საშუალო სკოლა,
IX კლასი.

სურათი

ირიჟრაჟა, ცა გამტრედისფრდა. ფრინველებმა სასიმღეროდ ყელი მოიღერეს.

ხეების ჩრდილში ისვენებენ თეთრქათიბა, მოკლებეწვიანი, ჯერ კიდევ ჩლიქებგაუმაგრებელი, ყავისფერწინწკლებიანი შვლები და ნამიან ბალახს სუტავენ. ამაყად დააბიჯებენ ბუნების დამამშვენებელი, ქორბუდა ირმები. მწვანე, ხასხასა, ქორფა ბალახებში მარგალიტებივით გაბნეულა დილის ცვარი. ახლად გაფეთქილ ვარდის კოკრებზე ბრილიანტის მძივებივით დაკიდებულა ნამი. რა ხანია, ხეში მაცოცხლებელი, ცივი წყალი ჩამდგარა. ყვავილები სურნელებას აფრქვევენ, ლაღად ბიბინებს მწვანე ჯეჯილი, ცელქ ნიავს შორიდან მოაქვს ნაბდიანი მეცხვარის სალამურის კვნესა...

თვალწარმტაცი და მომხიბლავია გაზაფხულის სურათი.

მაია შარაშენიძე,
ხამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა,
VI კლასი.

კლდეც ტირის თურმე

კლდეს რომ მოსწყდება პატარა
ლოდი
და ჩაეშვება გრუხუნით ხრამში —
თუ დაგინახავს ოდესმე, ალბათ,
უსიამოვნოდ გაგცრიდა ტანში.

ჩასჩერებია კლდე უხელებო
და მიშველება გულით უნდება,
მაგრამ რაც უკვე არის ჩავლილი,
იგი არასდროს დაგვიბრუნდება.

კლდე ტირის თურმე შვილის
დაკარგვას, —
ეს არაერთხელ გამიგონია...
მე უგულობას კაცს ვერ დავწამებ,
რადგან კლდესაც კი გული ჰქონია.

ნინო ლეონიძე,
თბილისის 22-ე საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

საყვარელ რაჭას

შენი ლამაზი ტყეებით,
შენი ლამაზი მთებით,
აჭრელებული კორდებით,
ცივი, ანკარა წყლებით,
ცაში აჭრილი ხეებით,
ფრინველთა ტკბილი ხმებით,
ნაირ-ნაირი პეპლებით,
ლამაზი ყვავილებით,
უძირო ცის სილაჟვარდით,
შვიდფერი ცისარტყელით,
ამომავალი მზის ფერით,
ო, როგორ მენატრები!
ზამთარში დადუმებული
ზაფხულში აჟღერდები.
დროებით მიტოვებული,
კვლავ ლხენით აივსები.
სულ შენზე ვფიქრობ, ვოცნებობ,
ძილშიაც მელანდები.
მალე დადგება ის წუთი,
როს შენს გზას დავადგები.
ჩემო ლამაზო რაჭაო,
შენს სახელს ვენაცვლები!

მარინე გრძელიძე,
კასპის მე-3 საშუალო სკოლა,
VI კლასი.

მე რომ ჯადოქარი ვიყო

მე რომ ჯადოქარი ვიყო, მაშინ ხალხს ყოველ გასაჭირში დავეხმარებოდი და ყოველ გულისწადილს ავუსრულებდი, ისე მოვაჯადოებდი დედამიწას, რომ მთელი ქვეყანა მხიარულობდეს. კიდევ, მშენებლებს ამოვუდგებოდი მხარში და ლამაზ სახლებს ავაგებდი. ექიმებსაც დავეხმარებოდი და ყველა ავადმყოფს მოვარჩენდი, დედამიწას გავათავისუფლებდი ქურდებისაგან და სხვადასხვა ავაზაკებისაგან. კიდევ ისე მოვაჯადოებდი, რომ ადამიანი არასოდეს დაბერდეს და არავინ არ იჩხუბოს. ქუჩებში ხალხმა ავტომობილებით კი არა, მფრინავი ქოშებით იფრინონ. ჩემი ბოლო სურვილი ის არის, რომ მთელ ქვეყანაზე მტრობა არ იყოს. ასე გავაკეთებდი, ჯადოქარი რომ ვიყო.

ნიკოლოზ სერგეენკო,
თბილისის 164-ე საშუალო-ექსპერიმენტული სკოლა, I კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველთა ენა

ინგლისური ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, უხსოვარი წლის წინათ ცხოვრობდა ერთი კაცი. ცხვრის დიდი ფარა ჰყავდა და ამიტომ ცხვრებს მეცხვარეც გაუჩინა, რომელიც წლების მანძილზე გულმოდგინედ ემსახურებოდა. ერთ დღეს, როდესაც მეცხვარე ფარას მწყემსავდა, ტყიდან სისინი შემოესმა. ვერ მიხვდა, რა სულიერის ხმა იყო და გასაგებად ტყისკენ გაეშურა.

ტყეში შევიდა თუ არა, დაინახა, რომ ხმელი ფოთლები და ბალახი იწვოდა, ხოლო ცეცხლის ენებით გარშემორტყმული ხიდან შეშინებული სტვენით შველას ითხოვდა ზედ შეცოცებული გველი. მალე ხეს ცეცხლი შთანთქავდა. მწყემსი დაფიქრდა, როგორ დაეხსნა გველი თავსდამტყდარი უბედურებისგან.

— მწყემსო, ღვთის გულისთვის, ამ ხანძარს გადამარჩინეო, — შესთხოვა გველმა. მწყემსმა თავისი გრძელი კომბალი გაუწოდა, გველი კომბალს ჩამოჰყვა, ჯერ ხელზე ააცოცდა მწყემსს, შემდეგ კი კისერზე შემოეხვია.

მწყემსი შეშინდა, ყოველ წუთს ელოდა, ახლა დამგესლავს სასიკვდილოდო, და შიშით აკანკალებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და სასოწარკვეთით იყვირა:

— ნუთუ იმიტომ გადაგარჩინე, საკუთარი თავი რომ დამეღუპაო?!

— ნუ გეშინია, — მიუგო გველმა, — შენ მხოლოდ მამაჩემს, გველების მეფეს მიმგვარე და დანარჩენი მე ვიცი.

მწყემსი განაცვიფრა მისმა სიტყვებმა, მაგრამ იუარა, ფარას ვერ მივატოვებო. გველმა აქაც იპოვა გამოსავალი: — ნუ გეშინია, სიტყვას გაძლევ, ფარას ზიანს ვერავინ მიაყენებსო.

მწყემსი დაემორჩილა და ტყის გზას დაადგა, თან გველი მიჰყავდა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ მიაღწიეს გველთა სამყოფელს. მწყემსი გაოცებული შესცქეროდა ერთმანეთში გადახლართულ გველებს და თვალს არ უჯერებდა, მაგრამ ამ დროს მის ყელზე შემოხვეულმა გველმა დაისისინა და რკალი საჩქაროდ გაიხსნა.

— როდესაც მამაჩემთან მივალთ, — გააფრთხილა მწყემსი გველმა, — იგი დაგასაჩუქრებს ყველაფრით, რასაც მოისურვებ — ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით, მაგრამ გახსოვდეს, არაფერი აიღო. მხოლოდ ერთი რამ სთხოვე, ცხოველთა ენა გასწავლოს. პირველად იქნებ უარზეც დადგეს, მაგრამ ბოლოს მაინც დაგთანხმდებაო.

როდესაც მეფემ თავისი ქალიშვილი დაინახა, სიხარულით ატირდა, რადგან ამ ქვეყნისა აღარ ეგონა.

— სად იყავი ამდენ ხანს? — ჰკითხა ცრემლმორეულმა და შვილმაც თავგადამხდარი დაუფარავად უამბო.

კმაყოფილმა მეფემ კეთილი მწყემსის დასაჩუქრება გადაწყვიტა. საჩუქარი ამოირჩიეო, უთხრა.

— შენი არაფერი მინდა, — უთხრა მწყემსმა. — მხოლოდ ერთსა გთხოვ, ცხოველთა ენა მასწავლეო.

— ამის ცოდნა არაფერს მოგცემს და, თანაც საიდუმლოს თუ ვინმეს გაანდობ, მაშინვე მოკვდები. — უთხრა მეფემ, — სხვა რამ მთხოვე და გაუჩენელს გაგიჩენო.

— ჩემო ბატონო, — უკმაყოფილოდ მიუგო მწყემსმა, — ცხოველთა ენის სწავლის გარდა, შენგან არა მინდა რაო. — ეს რომ თქვა, შებრუნდა და წასვლა დააპირა.

მეფე გატყდა და დაეთანხმა: —

თუ სხვა არაფერი გინდა, იყოს ნება შენი, თანახმა ვარ, მომიახლოვდიო.

მწყემსი დაემორჩილა ბრძანებას. მეფე წამოიწია და ტუჩებზე სამჯერ შეეხო. მწყემსმაც იგივე სამჯერ გაიმეორა. ამის შემდეგ გველმა ისევ გააფრთხილა, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ შეენახა, თუ უნდოდა, რომ სიკვდილი აცდენოდა.

კმაყოფილი მწყემსი სახლისაკენ გაეშურა. თანაც გზაში უნებურად ფრინველებისა და სხვა სულიერთა საუბარს ისმენდა. როდესაც იმ ადგილს მიაღწია, სადაც ფარა დატოვა, და დაინახა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, გადაწყვიტა დაესვენა.

ამ დროს ხის ტოტზე ორი ყორანი დაფრინდა და საუბარი გააბეს.

— მაგ მწყემსმა რომ იცოდეს, რა განძია იმ ადგილზე, სადაც ახლა ის ბატკანი წევს, უზღვავი ქონების პატრონი გახდებოდაო. — თქვა ერთმა.

მწყემსმა ამ სიტყვებს ყური მოჰკრა თუ არა, მაშინვე თავის პატრონთან გასწია და ყველაფერი უამბო. ორივენი სასწრაფოდ გაეშურნენ ძვირფასეულობის ამოსათხრელად. პატრონი მეტად პატიოსანი კაცი აღმოჩნდა და მწყემსს უთხრა: — აიღე, შენია ეგ განძი, ბედმა შენ გარგუნაო.

მწყემსმაც გაიხარა. რა თქმა უნდა, განძი აიღო, სახლიც აიშენა, ცოლიც შეირთო და დაიწყო სიამტკბილობით ცხოვრება. მალე იმ არემარეში ყველაზე მდიდარ კაცად ითვლებოდა. ცხვრის დიდი ფარაც გაიჩინა, საქონელი და ცხენების რემაც მოიმრავლა და თვალ-მარგალიტით შემკული ბრწყინვალე სამოსით შეიმოსა.

შობამდე რამდენიმე დღით ადრე მწყემსმა მეუღლეს უთხრა: მოემზადე, ხვალ ფერმაში წავიდეთო.

მართლაც. დილით ფერმაში გაემგზავრნენ. მისვლისთანავე მწყემსმა მსახურებს უბრძანა: — ამ ღამით მოვალეობისაგან გათავისუფლებთ. სვით, ჭამეთ, იმხიარულეთ. თქვენს მაგივრად კი ფარას მე მივხედავ.

შუაღამისას მგლების ყმუილი და ძაღლების ყეფა შემოესმა. ცოტა ხნის შემდეგ კი ასეთ საუბარს მოჰკრა ყური:

— რა იქნება, შემოგვიშვით, ჩვენც კმაყოფილნი დავრჩებით და თქვენც — ახალ ხორცს გიწილადებთო, — შესთავაზეს მგლებმა ქოფაკებს.

— აგაშენათ ღმერთმა, მაგაზე კარგს რას იზამთო, — მიუგეს ძაღლებმა. მხოლოდ ერთი ბებერი ძაღლი აღმოჩნდა პატრონის ერთგული. თქვა: — იმის უფლებას არავის მივცემ, ჩემი პატრონი აზარალოსო.

დილით, როდესაც მზე ამობრწყინდა, მწყემსმა ბრძანა, ყველა ძაღლი დაეხოცათ, გარდა იმ ბებერი ძაღლისა, რომელმაც მგლებს წინააღმდეგობა გაუწია. ცოტა ხანში მწყემსი და მისი მეუღლე ცხენებზე შესხდნენ და შინ წასასვლელად მოემზადნენ. ქმარმა გზაში ცოტათი გაუსწრო ცოლს. ერთ ადგილას მისი ცხენი მობრუნდა, უკან ჩამორჩენილ ჭაკს გახედა და მწყემსმა დამცინავი ხვიხვინი გაიგონა: — შე ოჩანო, შენა, ფეხს აუჩქარე, ნეტა, რას ზოზინობ?

— ეჰ, შენთვის ადვილია, — ამოიოხრა ჭაკმა, — შენ მსუბუქი ტვირთი მიგაქვს. აბა, ერთი შენ ბაბა-ხეო?!

კაცს ამაზე გულიანად გაეცინა. ცოლმა გაიგონა, წამოეწია და სიცილის მიზეზი ჰკითხა:

— ისე, ტყუილ-უბრალოდ გამეცინა, — მიუგო ქმარმა. ქალი პასუხმა არ დააკმაყოფილა და ქმარს დაჟინებით მოსთხოვა, აეხსნა, რაშია საქმეო. თხოვნით თავი რომ შეაწყინა, ქმარმა უთხრა: — არ მინდა საიდუმლო გავთქვა, ეს რომ გითხრა, მაშინვე მოვკვდებიო. მეუღლემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. გინდა თუ არა, მითხარიო. კაცმა ვერაფერი გააწყო ახირებულ ცოლთან და შეჰპირდა, შინ რომ მივალთ, ყველაფერს გეტყვიო. სახლში მისულებს წკავწკავით გამოეგებათ ერთგული ძაღლი.

— პურის ნატეხი მიეცითო! — ბრძანა კაცმა. ქალმა გადაუგდო ძაღლს და შეპირებული ამბის მოსასმენად მოემზადა.

უცებ პურს მამალი ეცა და კენკვა დაუწყო. ძაღლმა უთხრა: — — ეეხ, შე საცოდავო ღორმუცელავ, რა გაჭმევს მაგას, როდესაც ჩვენი პატრონის აღსასრული დგებაო.

— რა ჩვენი ბრალია, ეგ თუ სულელია, — უპასუხა მამალმა, — ნათქვამია, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. აბა, რომელიმე ჩემმა ცოლმა გაბედოს და როდესაც ვაწყენინებ, უკმაყოფილება გამოთქვას, ნახოს, რა ხეირსაც დავაყრი. მე ას ცოლს ვუვლი, მაგას კი ერთისთვისაც ვერ მოუვლიაო.

კაცს ჭაუაში დაუჯდა მამლის სიტყვები და ცოლს უთხრა: აბა, ერთი უფრო ახლო მოდი და ყველაფერს გიამბობ. დაავლო ჯოხს ხელი და გემრიელად უთავაზა.

ასე ასწავლა მწყემსმა მეუღლეს, რომ ზედმეტი კითხვებით ადამიანის შეწუხება არ შეიძლება.

ინგლისურიდან თარგმნა
თამუნია კოკალეიშვილმა.



მხატვარი
თამაზ ხუციშვილი.

ბეგლარ
მუჯირიშვილი

ცვენა

მხატვარ
იოსეფ სამსონაძე

მოთხრობა

ტრიალ მინდორში ცაცხვი იდგა, ყველასაგან განცალკევებული. დროს და გარემოს ებრძოდა. წლები გადიოდა. ქარი ხან ერთ ტოტს გადაუმტვრევდა, ხან მეორეს, ფოთლებს სტაცებდა, ბუმბულივით ფანტავდა აქეთ-იქით.

მარტო ეს რომ ყოფილიყო. რა უჭირდა, როგორმე გაუძლებდა, — ხეირს არც წვიმა აყრიდა, არც მზე. ზოგჯერ ისე გაავდრდებოდა, არემარე მიჰქონდა, ფესვებიდან ნიადაგს აცლიდა, აშიშვლებდა. ხანდახან მზე ისე დააჭერდა, ხეს სუნთქვა უჭირდა...

ბოლოს თანდათან გაღონიერდა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა, მშვენდებოდა, არაფერს ეპუებოდა.

ვინ იყო ის დალოცვილი, ვინც ის აქ გადმორგო, როდის ან რამ აიძულა, არავინ იცოდა. ზოგი ამბობდა: ერთმა მეცხვარემ ჯავახეთიდან გადმოიტანა. მინდვრის ამ შუაგულში საჩრდილობელი რომ ჰქონოდაო; მეორენი: გუთნისდედამ ქციის ხეობიდან ამოიღო, აქ დარგო, მზისგან თავი რომ დაეცვაო. მესამენი: თვითონ ამოხეთქა მიწიდანაო...

რომელი იყო მართალი, არ იცოდა ვინმემ. ან კი რა საჭიროა ამის ცოდნა? მთავარი ის იყო, რომ ცაცხვი დღითი დღე იზრდებოდა, გამვლელ-გამომვლელს გულს უხარებდა.

ცხოვრობდა თავისი იმედებით, დარდიც ჰქონდა, სიხარულიც.

აცივდებოდა თუ არა, ჭირხლი ეხვეოდა ხავსივით, სუსხს არტახივით შემოუჭერდა და წელში უღმერთოდ სწურავდა. ვინ იყო მისი მშველელი? ათასში ერთხელ გამოჩნდებოდა რომელიმე ნადირი. უფრო კი მგელი, ან მელა, ჩაუძუნძულებდნენ შორიახლოს, ზედაც არ შეხედავდნენ. ყვავი, ძერა ან კაჭკაჭი, ისიც დროგამოშვებით, სული რომ მოეთქვათ. შეაფრინდებოდნენ ცოტა ხნით, იყურყუტებდნენ. ჩაიკრუსუნებდნენ გაუგებრად რაღაცას და გულცივად შორდებოდნენ.

მიწას რომ მკერდი გაუთბებოდა, ფუვდებოდა თანდათან, ეპარებოდა სიმწვანე ხალისივით და კვირტები ებერებოდა. ისეთ სურნელს გამოსცემდა, ყველა სულიერი თვრებოდა მისი ბანგით. ხალხი გზებზე მატულობდა. მინდორი ცოცხლდებოდა, ცხვრის პეტელი და საქონლის ბღავილი ერუანტელივით უვლიდა არემარეს.

ღამით მის ტოტებში ფრინველები იბუდებდნენ.

დღისით ფრთოსანთა ჭიკჭიკი უთვალავ ჰანგად ეფრქვეოდა ალმა-დალმას.

როცა მზე მხრებს შლიდა და ბუდარაობას იწყებდა, სად იყო და სად არა. მიტრო ცხვარს მოლალავდა, შემოაფარებდა ცაცხვის ჩრდილს. თვითონ კი, დაარხეინებული, ცხვარს არ დასიცხავს მწველი მზეო, მიჯდებოდა ხის ძირთან, ჩაკეცილ წიგნს გადაშლიდა და ადრე შეწყვეტილ წინადადებას თვალსა და გულს დააყოლებდა. მერე, თვალი რომ დაეღლებოდა, წამოწვებოდა გულაღმა და ყრმულ ოცნებებს ეფერებოდა გატაცებით.

ტანმორჩილი ბიჭი იყო, ჭორფლიანი სახე ჰქონდა. პაჭუა ცხვირი ჭიკარტივით მოუჩანდა სახეზე. სამაგიეროდ თვალები ჰქონდა ღვთისნიერი, თხილისფრად უციმციმებდა. არაუშავსრა სწავლობდა. შერეული ნიშნები ჰქონდა. ზოგჯერ, თუ მოინდომებდა, ნაადრევი ტყემლის ყვავილივით გამოურევდა ხუთიანებს. მაგრამ ეს იყო ათასში ერთხელ, იმდენად იშვიათად, თვითონაც ავიწყდებოდა... ტოლებთან შედარებით შრომაში გამრჯე იყო, მუყაითი, გამგონი, თავისი სიტყვის პატრონი. ხელიდან რა არ გამოსდიოდა. მამას მხარში ედგა ზამთარ-ზაფხულ. მწყემსობაშიც შეენაცვლებოდა ხოლმე.

წიგნის ხარბი იყო. ხელიდან გაუგდებლად ეჭირა.

ლექსებზეც ცოდვილობდა. ზოგჯერ ერთ სტრიქონზე მთელი დღე ბლიტავდა გონებას... მართალია, ბევრ მის ლექსს ხერხემალი სუსტი ჰქონდა, რიტმი რიტმს აჩაბაჩად გაურბოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, გულს ირთობდა, თვითონ იყო კმაყოფილი. პურს რომ ჭამდა, თავი წიგნში ჰქონდა ჩარგული. უქუდოდ დადიოდა ზამთარ-ზაფხულ. თმა ხვართქლასავით ასწეწოდა, თითებს ვერ შეუყრიდით. ნოემბრის ბოლომდე ცივ წყალში ბანაობდა. კანი იმდენად სქელი ჰქონდა, ერთხელ, აცრის დროს, ექიმმა კინაღამ ნემსი შეატეხა.

ხშირად, მშობლების უჩუმრად, ტყეში გეოლოგებს დაჰყვებოდა სამუშაოდ. აბა, ამ ქვეყნად რა იმალება საბოლოოდ და, გაუგეს მშობლებმა. პირველად დაუტატანეს, მერე წაუყრუეს იმ იმედით, რომ ასეთ რამეს მეტად არ ჩაიდენდა. ვინ იცის, იქნებ ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ აღებული ფულით თავისთვის კოსტიუმი იყიდა, დედას თავშალი და ფეხსაცმელი შეუძინა, მამას ზამთრის ქუდი, დას კაბა და ხელთათმანები. სახარჯო ფულიც შემორჩა იმდენი, მშობლები რომ არ შეეწუხებინა ფულის თხოვნით.

კინაღამ გამოგვრჩა: ბოლო დროს სიმღერა შეუყვარდა. მარტოდ რომ რჩებოდა, სიმღერებზე ჯავრს მაშინ იყრიდა. არ გაგიკვირდეთ და, საამისოდ საკუთარ ლექსებს იყენებდა. აი ერთი მათგანი:

„...მინდორი და მინდორი,
თვალუწვდენელი,
მხარგანიერი, ბიბინა, ამწვანებული.
თამარასავით კეკლუცი და
მიმზიდველი,
შესახედავად საამო, კაცთაგან
ქებული...“

სიმღერის დროს ხელებს ისე ათამაშებდა, თითოეულ სიტყვას თავისებურ გამომსახველობას სძენდა, მათში სინათლე და გამჭვირვალობა შეჰქონდა. ზოგჯერ თვალებს მილულავდა, კისერს წინ წამოსწევდა, რათა ბგერები უფრო ხალვათად ამოეშვა. მისი სიმღერა ეფინებოდა შემოგარენს, ტოროლებს და ბეღურებს მოსვენებას უკარგავდა, არც ყვავ-ყორნებს შეეძლოთ დაარხეინებით მჯდარიყვნენ ერთ ადგილზე.

გარდა იმისა, რომ ემღერებოდა, ამას კიდევ იმიტომ აკეთებდა, რომ მეტწილად მარტო იყო. საერთოდ მარტოობა უყვარდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, გოგოებს თვალს ვერ უსწორებდა. დაინახავდა თუ არა რომელიმეს, ისე იბნეოდა, როგორც ფქვილი საჯოლოვიდან...

რა იყო, რა ემართებოდა. არ იცოდა, ცდილობდა კი გაეგო...

იმ მინდორს ცხენის დასადლელ მანძილზე ჩამოუდიოდა მდინარე.

ერთხელ, მინდორში რომ ხვატი იდგა, ცაცხვს შეფარებულმა წიგნზე ჩასთვლიმა. დაესიზმრა: ვითომ ხემ ფოთლები გაშალა და მოუჩრდილა, მზეს რომ არ დაეცხუნებინა. მერე ტოტები ცად აღაპყრო და რაღაც უცნაურად, ჩიფჩიფით შეევედრა ზეციერს, ამ კეთილი ბიჭისათვის წყალობა არ მოეკლო. ბოლოს დაიხარა, მოეფერა ბიჭს, რაღაც ჩასჩურჩულა...

თვალი რომ გაახილა [illegible] და, გაიხედ-გამოიხედა, ცხვარი [illegible] გაპარულიყო.

ჩიტების სტვენა-რაკრაკმა მოთენთილი სხეული დაუამა უფრო და უფრო, მერე გამხნევდა და, —

„...ჰაი, დედასა, ამინდო,
რამდენს გვაწვალებ ნეტავი?!
უმგვანო ხარ და თავნება,
სიკეთე გაუმეტავი...“ —

ჩაიმღერა ხმადაბლა.

თვალებზე ხელი მოისვა, ახლა ცაცხვს შეხედა. მოეჩვენა თუ მართლა ასე იყო: საცოდავად მოღუღულიყო, ფოთლები აქა-იქ შესჭკნობოდა. რა ექნა, რით ეშველა? განა არა, ბევრჯერ უნახავს ასე საწყლად, უმწეოდ, მაგრამ ახალ უფრო მოწყენილი მოეჩვენა. შეწუხდა. გადაწყვიტა რაღაცით ეშველა ცაცხვისათვის. მაგრამ რით? საგონებელს მიეცა...

დიდხანს ფიქრობდა, საშველს ეძებდა, ვერა და ვერ მიეგნო.

იმ დღიდან მოსვენება დაეკარგა. გაზაფხული მიიწურა.

ერთ დღეს ისეთი ქარი ამოვარდა, ააზანზარა კიდე-განი. ველ-მინდვრები ჩამოფარცხა და, რასაც მოერია, ახვეტა. ბოლოს ტყიანი სერის თავზე დაიჭექა. ღრუბლებში ცეცხლისფერმა ზოლმა გაიელვა. მიტრომ ცხვარს შემოურბინა, ცაცხვის ქვეშ შელალა. თითქოს განგებო, ხემ იყუჩა, საცოდავად გაირინდა და ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები... მიტრო სიბრალულით შეჰყურებდა, გული თანდათან უჩუყდებოდა, უნდოდა ეტირა, ვერკი მოეხერხებინა.

და აი, ამ დროს თავში რაღაც აზრმა გაუელვა უცაბედად... ის აზრი ნაპერწკლად გადაიქცა, გონებას ღიტინი დაუწყო...

მომდევნო გაზაფხულს, სანამ ხის ტოტებზე კვირტი გაშლას დაიწყებდა, მიტრომ მხარზე ბარი გაიდო და გზას გაუდგა. შემოილაწლაწა ჭალები, ქარაფები, ტირიფის, ჭანჭყატის, იფნის, ხეშავას და კაკლის ქორფა ნერგები დაძებნა. ძირფესვიანად ამოიღო და ნელ-ნელა ამოზიდა მინდორზე. მეორე დღეს, ჯერ მზე არც იყო ამოსული, ცაცხვის გარშემო ჩაამწკრივა...

სოფელში იმ დროს დაბრუნდა, ვარსკვლავები ციმციმს რომ იწყებდნენ.

ერთხელ, ნარგავებს რომ რწყავდა, თავს „კოლხოზნიკი“ წაადგა.

ქუდმოგლეჯილი ბრიგადირი ჩამოხტა მანქანიდან. ვერ იყო ხასიათზე. დაღლაც ეტყობოდა. ისე მოალაჯებდა მიტროსკენ, გეგონებოდათ, სადაცაა წაიქცევაო. ვინ მათე და ვინ დაღლა! ეს კიდევ არაფერი, ერთბა-

შად წამოდუღდა, როგორც ცეცხლ-შემატებული ლობიოს ქოთანი:

— სულელი ხარ, სულელი!...

გაშრა მიტრო:

— რათა ვარ სულელი?

— იმიტომ, რომაა... — აზრი ვეღარ დაამთავრა ბრიგადირმა, თითქოს ვიღაცამ შეაჩერა, დოინჯი შემოირტყა, თვალი თვალში გაუყარა და ოდნავ დაცხრა.

— აბა, სულელი რომ არ იყო, ამას იზამდი?

— რას, მათე ძია, არ მესმის?...

— იმას, რომ ამ პირღია ალაგას ესენი დაგირგია... იმდენი აღარ გესმის, რო აქ ხეს ვერ გაახარებ?

— რატომ, მათე ძია!..

— ჰმ. კიდევ თავისას! ხელისგულივით ტიტველია და იმიტომ, მზისკალია და იმიტომ...

— გავახარებ. აი, ნახე!

— კი, ამ წუთას დაგიჯერე!

— ვნახოთ, აქ არა ვართ?

— ვნახოთ. თორემ შენნაირი დაკვეხებულები მიხახავს. უქროდათ, ოფოფებიც ბლომად ჰყავდათ... ეს დღესა ხარ. ხვალა?

— ხვალ სადღა ვიქნები?

— სადაც შენნაირები გაიხვეტნენ.

— ეს იმათი საქმეა, წასვლას მე ოსად ვაპირებ. სკოლას რომ დავამთავრებ, დაუწრებელზე ვისწავლი. როგორც გიმელებმა ქნეს — გიამ, მურთაზამ, ვასომ. �ელამ, ჩვენებიანთ შალამაც. ყველა ხო ქალაქში არ წასულა?

— ჰმ. კიდევ თავისას...

მიტროს რბილად ჩაეღიმა:

— ნუ ჯავრობ, მათე ძია, არ გიხდება...

— ამბობ რაღა... — ხელი მძიმედ ჩაიქნია ბრიგადირმა, ღიმილი აი ვერ შეძლო. მიტროს ეს არ მოეწონა. ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა. მორიდებით დაუწყო თვალთვალი, იქნებ რამე შეეტყო, რად იყო ცუდ ხასიათზე... ბოდღვიალა თვალებში ალმური ჩაენავლა...

ამის შემყურე ბრიგადირი შეფიქრიანდა, მერე თვალთბილად გამოხედა ყუჩადქცეულს.

— კი არ გიჯავრდები, ისევ შენთვის ვლაპარაკობ; გიწვალია, ამდენი ოფლი დაგიღვრია, ხუმრობა საქმეა ამათი მორწყვა?

ბიჭმა თავი ჩაქინდრა, თვალები აუწყლიანდა...

ხელი მსუბუქად ჩაიქნია ბრიგადირმა და ისე გამოხედა, თითქოს მზად იყო მიტროსთვის ბოდიში მოეხადა. ერთხანს ასე იდგა, მერე მანქანისკენ წავიდა. ცოტა რომ გაიარა, შემობრუნდა, მარჯვენა ხელი ასწია, სალოკი თითი ტუჩთან მიიტანა და:

— კარგი, კარგი, რაც გითხარი, დაივიწყე, გულთან არ მიიტანო...

და ნელ-ნელა გაშორდა იმ ადგილს.

„კოლხოზნიკის“ მონოტონური ძგძგიგი მალე მიწყდა.

და აი, მინდორი დუმს.

დგას მიტრო და ეღიმება. ფიქრი ერევა იმ ღიმილში. იმედით ივსება და სჯერა: ამის შემდეგ მშვიდობა დაებედება მის კაკლებს, ჭანჭყატებს, იფნებს. და, რაც მთავარია მარტო აღარ იქნება ცაცხვის ხე. ქარი ვეღარაფერს დააკლებს, ვეღარც მზე...

ნერგები ღაღანებენ, იზრდებიან, იფურჩქნებიან. ასე უნდა და ამიტომ არის, რომ ეჩვენება... მათ ტოტებზე შაშვები ჯახჯახებენ. აგერ მათკენ მოფრინავენ გულყვითელა, ბოლოქანქარა, მაკრატელა, ღობემძვრალა ჩიტები. რაღაცას ჭიკჭიკებენ გაბმით და ჟღურტულით. მიტროს უკვირს და ბოლოს ხვდება, რომ საკვირველი არაფერია: მზის გულზე აშრიალებულ ნარგავებს ესალმებიან ფრინველები. მათი ეს ალმაფრენა კარგად ესმით ნორჩ ხეებს. პასუხად ფიანდაზად ქანაობენ, ელავენ ათასფრად. შეჰხარიან კაბადონს და თვალხილულეთის გამგებელს მადლობას სწირავენ...

მიტრომ მოგვიანებით შეამჩნია, რომ გორის წვერზე ფოთლოვან ტევრში დაგუნდებული ფრინველები სტვენა-რაკრაკით დაეშვნენ მინდორზე, ცაცხვსა და მის ნორჩ მეგობრებს შეეხიზნენ.

გული სიამით აუძგერდა.

დიახ: მისი მეგობარი ახლა მარტო აღარ არის!

უთვალთვალებს მოჭიკჭიკე ფრინველებს, ლამის არის თვითონაც მიამღეროს მათ ჰანგებს. სინამდვილეში ის მოხდა, რასაც რა ხანია მოელოდა.

სხვა თუ არაფერი, იმას კი ახერხებს, რომ ხელებს შლის და მთელი აღტაცებით წარმოთქვამს:

ცუღლუტებო, საყვარლებო,
გიხარიათ, განა?
დანავარდობთ, დაცქრიალებთ,
თქვენია ქვეყანა!..

მერე ისევ მღერის იმავეს, სამზეოზე ამოთქვამს იმას, რაც გულში ჩაღვრია მანამდე.

ისევ ფიქრი. ისევ ოცნება...

ეჩვენება: გარშემო გოგო-ბიჭები თავს იყრიან, რაღაცას ულოცავენ, რას, ჯერ ვერ მიხვედრილა, თუმცა ოა ძნელი მისახვედრია?

შრიალებენ ნერგები.

მწვანე, ხანდახან ვეოცხლისფერი გადაჰკრავთ.

მზეს ფეხგაკვრით უვლია. უკან ჩამოუტოვებია მთიანეთი. ოღრო-ჩოღრო ჰორიზონტი, ბლაგვი ხერხივით რომ დაკბილულა. გუთნის გაშლაზე ასცდენია წოპწოპა თხემს. დაკუზიანებულს აქლემივით, კბოდედან დაქანებული ჩანჩქერივით გადმოუღვრია ხვავრიელა სხივები. ხონჩასავით გაშლილ მინდორს დაჰქათქათებს და ყველაზე მეტად ცაცხვს ეალერსება: მიგულვე მფარველად, დღეის იქით სულ შენთან ვიქნებიო.

დგას ჩვენი მიტრო და ალალი გულით ეღიმება...

ადამიანთა დიდი საგლი

დღეისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიას. — მეცნიერებას სხვადასხვა ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამ ურთიერთდამოკიდებულებას და, რაც მთავარია, მის კანონზომიერებებს ეკოლოგები შეისწავლიან სრულიად სხვადასხვა გარემო-პირობებში: ტყეში, ველად, მდელოზე, მთაში, ტბაში, ზღვაში და ა. შ.

რა ორგანიზმებს ვხვდებით ტყეში და რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეთ მათ გარემოსთან? ყველასათვის ცნობილია, რომ ტყე შედგება ორი მთავარი კომპონენტის — მცენარეებისა და ცხოველებისაგან. უფრო ზუსტად, მცენარეთა და ცხოველთა საზოგადოებებისაგან, ანდა თუ ამ ცნებებს მეცნიერული ტერმინებით გამოვხატავთ, — ფიტოცენოზისა და ზოოცენოზისაგან, მაგრამ არც ის არის უცხო ამბავი, რომ ორგანიზმთა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან იზოლირებულები კი არ არიან, პირიქით, მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. ცოცხალ ორგანიზმთა ერთობლიობის გამომხატველ ამ ცნებას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გერმანელმა ბიოლოგმა მიობიუსმა ბიოცენოზი უწოდა.

მაგრამ ნებისმიერ ბიოცენოზში, ტყე იქნება ეს თუ სხვა, შეუძლებელია უგულებელვყოთ ისეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი კომპონენტი, როგორიც არის ნიადაგი. მცენარეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხოველთა სახეობრივი შემადგენლობა ხომ უმთავრესად სწორედ ნიადაგზეა დამოკიდებული. ბუნების ამ განსაკუთრებული სხეულის მნიშვნელობის ჭეშმარიტი ახსნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს მოგვცა ნიადაგმცოდნეობის მამამთავარმა დოკუჩაევმა. უფრო მოგვიანებით, ტერმინ „ბიოცენოზს“ დაემატა ნაწილაკი „გეო“ — მიწა.

ამ დამატების ავტორია დიდი რუსი სწავლული, აკადემიკოსი ვ. სუკაჩევი. იგი სამართლიანად ითვლება ბიოგეოცენოლოგიის, როგორც ბიოგეოცენოზების შემსწავლელი მოძღვრების ფუძემდებლად.

ტყე (ფოთლოვანი თუ წიწვოვანი) ერთი დიდი ბიოგეოცენოზია. მისი საზღვრები ტყისპირებთან გადის; მის მიღმა კი იწყება სხვა ბიოგეოცენოზები — მინდვრები, ველები, ჭაობები...

თუ ბიოგეოცენოზების ანალოგების ძებნას ჩვენს, ადამიანურ ყოფაში დავიწყებთ (ანალოგები კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის მიახლოებითია), — მაშინ ისინი შეიძლება შევადაროთ დიდ შენობებს. მათში მრავალი „ბინა“ — კონკრეტული საცხოვრებელი ადგილები ანუ ბიოტოპებია, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზმებს უკავიათ. თითოეული ბიოტოპი — „ბინა“ სპეციალურია საცხოვრებელი პირობების მიხედვით. ამიტომ გარემო-პირობების მიმართ ერთნაირი მომთხოვნელობის მქონე ორგანიზმები ერთნაირ ბიოტოპებში — „ბინებში“ ცხოვრობენ, სხვები — სხვანაირებში. და რაკი ეს მოთხოვნილებები მრავალგვარია (თვითონ სიცოცხლეა მრავალფეროვანი), ამიტომ ბიოგეოცენოზის — შენობის პროექტის ერთფეროვნება ანუ ტიპურობაც გამორიცხულია. მაგრამ მის არქიტექტონიკაში ქაოსიც გამორიცხულია — ბუნების შენობა მკვიდრ ფუნდამენტზე დგას და მასზე აგებულ ცოცხალ ორგანიზმთა საცხოვრებელში უდიდესი ჰარმონია და სიმეტრია სუფევს.

მეორეს მხრივ, რატომ არ შეიძლება ბიოტოპები შევადაროთ სოფლებს. ხოლო ერთეულები. სადაც ბიოტოპები ბიოგეოცენოზებად ერთიანდებიან — ქალაქებს? ისევე, როგორც დასახლებული პუნქტები სახელმწიფოებად ერთიანდებიან, ბიოგეოცენოზებსაც ბუნებრივი „სახელმწიფო“ — ბიოსფერო აერთიანებს. მზის სისტემაში იგი ერთადერთი „სახელმწიფოა“, სადაც შესაძლებელია სიცოცხლე.

შინაარსით ამ ყველაზე ვრცელი ეკოლოგიური ერთეულის სახელწოდება „ბიოსფერო“ 1875 წელს შემოიღო ავსტრიელმა გეოლოგმა ზიუსმა, ხოლო მოძღვრებას ბიოსფეროზე თანამედროვე გაგებით, საფუძველი ჩაუყარა რუსმა აკადემიკოსმა ვ. ვერნადსკიმ. ბიოსფეროში შედის პლანეტა დედამიწის, როგორც ცოცხალი (ბაქტერიები, სოკოები, მცენარეები, ცხოველები), ისე არაცოცხალი ორგანიზმები (ნიადაგი, ბიოგენური ნალექი ქანები და ატმოსფერო).

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ სხვადასხვა მასშტაბის ეკოლოგიური ერთეულები, სადაც ორგანიზმებს უხდებათ ცხოვრება და ურთიერთობა. ერთ-ერთი მათგანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ტყე, მაგრამ მოდით, ახლა ტყის შიგნითაც შევიხედოთ — რა სასიცოცხლო კანონზომიერებებთან გვაქვს საქმე ამ ბიოგეოცენოზის სიღრმეში?

ტყე უზარმაზარი ცოცხალი ორგანიზმია, სადაც მრავალფეროვანი ცხოველმყოფელი პროცესი მიმდინარეობს. ეს პროცესები. თავის მხრივ, შეგვიძლია შევადაროთ გიგანტურ ბორბალს, რომელსაც მოძრაობის სამი ძირითადი ფაზა აქვს. თითოეულ ფაზაში მთავარი ძრავას როლს ცოცხალ არსებათა განსაკუთრებული ჯგუფი ასრულებს. ბიოსფეროში, კერძოდ კი ტყეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესის პირველ ფაზაში ხდება ორგანული ნაერთების წარმოქმნა ნიადაგიდან და ჰაერიდან მიღებული ენერგიისა და მინერალური ნივთიერებების ბაზაზე; მეორე ფაზაში ეს ორგანული ნაერთები ახალ ფორმად გარდაიქმნებიან; მესამე ფაზაში კი დაშლილი სახით კვლავ მიწასა და ჰაერს უბრუნდებიან.

სასიცოცხლო წრებრუნვის პირველ ფაზაში მონაწილე ორგანიზმებს შემქმნელებს ანუ პროდუცენტებს უწოდებენ, მეორე ფაზაში მონაწილეებს — მომხმარებლებს ანუ კონსუმენტებს, მესამე ფაზაში მონაწილეებს კი დამშლელებს ანუ რედუცენტებს.

შემქმნელების ანუ პროდუცენტების როლს ბუნებაში მცენარეები ასრულებენ. ჯადოსნური ქლოროფილი მათ ანიჭებს. უნარს ჰაერიდან მიღებული ნახშირორჟანგის და ნიადაგიდან მიღებული წყლისა და მასში გახსნილი ნივთიერებების საფუძველზე წარმოქმნან ორგანული ნივთიერებები. სწორედ ამ ორგანული ნივთიერებებისაგან შედგება ცხოველთა ორგანიზმი, რის გამოც ცხოველებს მომხმარებლებს ანუ კონსუმენტებს უწოდებენ. გარდა საკვებისა, მცენარეები ცხოველებისათვის მეორე სასიცოცხლო წყარონიც გადასაც გამოყოფენ.

თავის მხრივ, მცენარეებს ვალში არც ცხოველები რჩებიან. ისინი სუნთქვის დროს გამოყოფენ მცენარეთა არსებობისათვის ესოდენ აუცილებელ მეორე აირს — ნახშირორჟანგს; ცხოველების სიკვდილის შემდეგ კი მცენარეები საკვები ნივთიერებებით მდიდარი მათი გვამებით იკვებებიან.

სასიცოცხლო წრებრუნვის მესამე ფაზაა მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმების კვდომა და აი, სწორედ აქ ჩნდება ასპარეზზე წრებრუნვის მესამე გმირი — რედუცენტი ანუ დამშლელი; ეს ბაქტერიები ბუნების უდიდესი მესაფლავენი არიან, როგორც მათ ხატოვნად უწოდებდა გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ლუი პასტერი; ისინი ხრწნიან ორგანიზმთა გვამებს და მარტივი ნივთიერებების სახით კვლავ ნიადაგსა და ატმოსფეროს უბრუნებენ მათ. ნიადაგიდან ამ ნივთიერებებს ადვილად ითვისებენ მკვდარი წინაპრების ნაცვლად მოსულ მცენარეთა ახალ-ახალი ინდივიდები, რომლებიც ხელახლა ქმნიან რთულ ორგანულ ნაერთებს.

როგორც ვხედავთ, სასიცოცხლო პროცესების წრებრუნვის რთული ციკლი შეიკრა, სიცოცხლის ბორბალმა სრული ბრუნვა შეასრულა და ასეა გამუდმებით...

„ბუნების მთელი წესრიგი იმაში გამოიხატება, — ამბობდა ცნობილი ბოტანიკოსი ფერდინანდ კონი. — რომ მატერიის ერთი და იგივე ნაწილაკები გადადიან მკვდარიდან ცოცხალ ორგანიზმებში მუდმივი წრებრუნვით...“

მაგრამ ეს გადასვლა მთლად უდანაკარგოდ მაინც არ ხდება. გვამების ზოგიერთ ნივთიერებათა ლპობისას ბაქტერიები უძლურნი ხდებიან და, შესაბამისად, ეს ნივთიერებები წრებრუნვის მიღმა რჩებიან. ისინი ქმნიან დიდ საბადოებს, — დანალექი ქანების მთელ მთებს... ასეთია მარმარილოს, გრაფიტის, ქვანახშირის საბადოები. რკინისა და მარგანეცის მადანი, ტორფი და, შესაძლოა, ნავთობიც. სინამდვილეში კი ყველა აღნიშნული ნივთიერება მცენარეთა და ცხოველთა ჩამქრალი სიცოცხლის ასეთი თავისებური ნაშთია.

მარადიული ბრძოლა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, სიცოცხლის მარადიული განახლება სამყაროში მატერიის განვითარების მთავარი არსია.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ უ ზ ა ნ ა მ გ ე ლ ა ძ ე

ვ ი ნ დ ა ი ვ ი წ ყ ე ბ ს?!

ნაკადულები მიჰქრიან,
ვარდის კოკორი იშლება...
თუ ქვეყნად კვალი დასტოვე,
არასდროს არ წაიშლება.

აბა რა წაშლის რუსთაველს,
ქართული სიბრძნის ფესვებს,
ვინ დაივიწყებს როდისმე
ვაჟა-ფშაველას ლექსებს.

ვინ არ ახსენებს აკაკის,
სულ ახლოს მოსულს გულთან,
ვინ დაივიწყებს ილიას,
განგმირულს წიწამურთან.

განა პატარა რამ არის,
ფიროსმანის ცა ლურჯი,
გალაკტიონის კალამი,
გუდიაშვილის ფუნჯი.

ვინ ჩამოაგდებს მთვარეს,
ცაზე ამაყად რხეულს,
ვინ დაივიწყებს გმირებს,
ობელისკებად ქცეულს.

ვინ დაივიწყებს დედებს,
მათ მოწოდებას, ძახილს,
ვინ არ ადიდებს დროშებს,
საძმო საფლავზე დახრილს.

ნაკადულები მიჰქრიან,
ვარდის კოკორი იშლება...
თუ ქვეყნად კვალი დასტოვე,
არასდროს არ წაიშლება.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ გ უ რ გ ე ნ ი ძ ე

შენ,
სიყვარულით გარემოცულო,
გემაისება ქარი თებერვლის.
ლოცვა თუ ვიცი,
შენთვის ვლოცულობ —
შენი სიცოცხლის
მაღმერთებელი...

და ლექსი ჩემი —
ვით დაპირება,
მიიღე,
გულმა გაგიზიარა...
მშობელო მიწავ,
ჩემზე პირველად
ვის ეტკინება შენი იარა!

ჩ ე მ ო
დ ი დ ო
დ ე დ ა მ ი წ ა ვ!

ხმა ჩურჩულებს იდუმალი:
— შეხე მზეს და შეხე მთვარეს...
მე რა უნდა გამიკვირდეს
შენი მიწის შემხედვარეს.

მარტო შენი ხსენებითაც
გასწორდება მრუდე ლექსი.
შენ ხარ ძალა უდიდესი,
სიყვარული უმდიდრესი,

საქმეც,
სიტყვაც,
ყველაფერი —
რომ ჭრილობა გავამთელო,
ჩემო დიდო დედამიწავ,
ვებერთელა საქართველოვ!

მინდა უფრო მოგეფერო,
უფრო მეტად გიპატრონო...
ჩემგან რა გსურს?
ერთგულება?
— კი ბატონო,
კი ბატონო!

მ თ ე ბ ი

მთები —
გურიის ლამაზი მთები,
დანაოჭებულ შუბლების მჩენი...
მთები —
სიცოცხლე და გაღმერთება,
მოხუცებული მშობლები ჩემი —
მელოდებიან,
გული ვერ იტევს
სიყვარულს, რითაც ეს ლექსი
შევქმენ...
ასე მგონია —
ჩემს გურიის მთებს
მოულოდნელად კისერი ჩემკენ.

გ უ რ ი ს ტ ბ ა ვ.

ფეხს არ გავადგამ ამ ზაფხულს
არსად,
თვითონ მიღირხარ
სიცოცხლის ფასად,
გურისტბავ,
ჩემო დიდო გულისთქმავ;
სანისლიავ და
მთავ ნაციხარო,
— გადაგვივიწყე,
რა კაცი ხარო! —
მსაყვედურობთ და,
აბა რა მეთქმის,
დუმილის მეტი.

შენ,
არც თუ ისე პატარა სუფსავ,
ლექსს დაგამადლი?
გაჩუქებ სულსაც...
შენ მოგიყვანე ხვეწნით და ლოცვით
ჩემი ალალი სისხლი და ხორცი—
ჩემი მამუკა,
ჩემი პატარა, —
შენს ნაპირებზე ფრთხილად ატარე.
მიეც სიკეთე ათასნაირი,
შენი წყალი და
შენი ჰაერი;

ასწავლე წერა,
ასწავლე ხატვა,
კაიკაცობით ამყოფე ხალხთან;
ასწავლე ისე,
გაზარდე ისე,
რომ, ლექსის გარდა,
სიკეთის ღირსი,
სახელის ღირსი
თვითონ გაგხადოს,
უფრო გადიდოს,
უფრო დაგხატოს...

კი ხარ,
შენ კი ხარ ამისი ღირსი —
გურისტბავ,
ჩემო დიდო გულისთქმავ!..

უმეღავათო გრძოლა გამოვუცხადოთ ნარკომანიას

ჩემო პატარა მეგობრებო! ამ წერილში ადამიანის ჯანმრთელობისათვის თითქმის ყველაზე საშიში დაავადების — ნარკომანიის შესახებ გვინდა გესაუბროთ.

პიროვნება, რომელსაც უჩნდება მიდრეკილება ამა თუ იმ ნარკოტიკული პრეპარატისადმი, საბოლოოდ ნარკომანი ხდება. ნარკოტიკებით მოწამვლას ადამიანი ფსიქიკურ და მორალურ განადგურებამდე მიჰყავს. თუ რაიმე მიზეზით მან ნარკოტიკული ნივთიერება ვერ მიიღო, ნარკოტიკული შიმშილი უვითარდება. ასეთ დროს ადამიანმა შეიძლება მიუტევებელი დანაშაულიც კი ჩაიდინოს, ოღონდ კი როგორმე ნარკოტიკები იშოვნოს.

ნარკოტიკები ადუნებს, უინიციატივოს. უნებისყოფოს ხდის ადამიანს, უქვეითებს მას აზროვნებას, მისი ცხოვრების ერთადერთ მიზნად აქცევს ნარკოტიკული პრეპარატების შოვნას, რათა მათი მიღებით მაინც შეიმსუბუქოს მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა. თუ ნარკომანი შეჩვეულ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ვერ მიიღებს, დაახლოებით 6-12 საათის შემდეგ დაეწყება მძიმე სომატიური მოვლენები: ზოგადი სისუსტე, გულისცემის აჩქარება, სუნთქვის გახშირება, გუგების გაფართოება. გულის რევა. პირღებინება. ზოგჯერ ტემპერატურის უმნიშვნელო მატებაც. ნერწყვის დენა, ცხვირცემინება და უძილობა. ნარკომანებს ქრონიკული მოწამვლის გამო უვითარდებათ უმადობა. ფიზიკური სისუსტე. წონაში დაკლება. შრომისუნარიანობის დაქვეითება. ნარკოტიკული ნივთიერების მიღება განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე. წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც ნარკომანი გახდა. რა დედა ან მეუღლე უნდა დადგეს მისგან?! განა შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმაზე, რომ მისი შვილი ავადმყოფი, არასრულფასოვანი ჯანმრთელობის პატრონი იქნება?

ნარკოტიკული ნივთიერებები უაღრესად მძიმე ფიზიკურ გავლენას ახდენს მოზარდის ფიზიკურ, მორალურ და ფსიქიკურ ჩამოყალიბებაზე. ის, ვინც ნებით თუ უნებლიეთ დაიწყებს ნარკოტიკების მიღებას, სხვებთან (ვინც ამ გზას არ ადგას) შედარებით ნაკლებად ინტერესიანი და ნაკლებად შრომისუნარიანია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება თანატოლებს. უქვეითდება მეხსიერება, გონებაგაფანტული ხდება.

ნარკომანია არის ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალებების ავადმყოფური შეჩვევა. ჩვეულებრივ, ნარკოტიკული პრეპარატები მედიცინაში გამოიყენება, როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი, ძილის მომგვრელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. ისინი მძიმე ოპერაციების გადატანისა და დიდი ტკივილების შემთხვევაში ენიშნება ავადმყოფს. სამწუხაროა, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების შემთხვევათა გახშირება უმეტეს წილად ახალგაზრდების ცუდი აღზრდის, უკულტურობის, უმეთვალყურეობის, შეუგნებლობისა და სუსტი ნებისყოფის ბრალია. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სოციალური საფუძველი ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენებისა და გავრცელებისათვის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ახალგაზრდა მაინც ეჩვევა ამ მავნე, ჯანმრთელობისათვის მეტად საშიშ ნივთიერებას.

ნარკომანიის აღსაკვეთად საჭიროა დროზე აღმოვუჩინოთ სამკურნალო დახმარება უკვე დაავადებულებს. მივმართოთ პროფილაქტიკურ და აღმზრდელობით ზომებს „ახალბედათა“ მიმართ — ამ ამოცანას ემსახურება ჩვენს ქვეყანაში არსებული ნარკოლოგიური სამსახურების საქმიანობა.

ნარკომანიით დაავადებული ადამიანის განკურნება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იგი შეასრულებს ექიმის ყველა დარიგებას და თავადაც ირწმუნებს განკურნების აუცილებლობას. აუცილებელია მის გარშემო მშობლების, სკოლისა თუ სხვა ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით და შემწეობით შეიქმნას ჯანსაღი ატმოსფერო. თუ ნარკომანი უგულვებელყოფს ექიმის დანიშნულ მკურნალობას და რეჟიმს, კვლავ აგრძელებს ნარკოტიკულ საშუალებათა მიღებას, მას იძულების წესით მკურნალობენ.

ნარკომანებზე არავითარი შეღავათები არ უნდა გავრცელდეს. ისინი სულ მცირე ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებისათვისაც უნდა დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით.

გიორგი აბულაშვილი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

უცხოური იუმორი

საყვედური

— გესმის, რობერტ, ჩემთვის შრომა ყოველთვის კმაყოფილება იყო. შენ კი გინდა, რომ შენთვის სხვები მუშაობდნენ. — უსაყვედურა მამამ ვაჟიშვილს.

— მე ისეთი ეგოისტი არა ვარ, რომ მარტო ჩემი კმაყოფილებისათვის ვცხოვრობდე, — მიუგო შვილმა.

საუბარი

ძაღლების პატრონები საუბრობენ:

— წარმოიდგინე, ჩემი ასტორი თვითონ დადის გაზეთის საყიდლად.

— ვიცი, გუშინ ჩემმა რექსმა მიამბო.

რეცეპტი

სოფლის ექიმის პატარა ვაჟიშვილმა მამასთან ერთად მანქანით იმგზავრა და მერე მეგობრებს უამბო:

— პირველად მამამ ყველა მანქანას გაუსწრო, მერე ერთი ჯენტლმენი დაგვეწია მოტოციკლეტით, გაგვაჩერა და მამას რეცეპტი გამოუწერა.

მუზეუმში

პატარა ბიჭუნა ბებიასთან ერთად პალეონტოლოგიურ მუზეუმში ექსპონატებს ათვალიერებდა.

— წარმოდგენილი მაქვს, ბებიკო, პატარაობისას ამ ურჩხულებისა როგორ გეშინოდა.

გერმანულიდან თარგმნა ა. ზოთაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ შსს სახ. ავტოინსპექციის საალრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების სახ. ინსპექტორი კ. კანდელაკი.

ველოსიპედით მოძრაობა

ბევრ ბავშვს აქვს ველოსიპედი. ველოსიპედით ხეირნობა სასიამოვნოც არის, სასარგებლოც. ველოსიპედით შეიძლება წახვიდეთ მეგობართან, საქმეზე...

ძალიან პატარებსაც შეუძლიათ ველოსიპედით სიარული, მაგრამ მხოლოდ დახურულ მოედნებზე, სტადიონზე, ეზოებში და სხვა უსაფრთხო ადგილებში უნდა იარონ, იქ, სადაც ტრანსპორტი არ მოძრაობს.

ქუჩებში და გზებზე ან ბილიკზე ველოსიპედით მოძრაობა ნებადართულია 14 წლის ბავშვებისათვის, ხოლო კიდულ-ძრავიანი ველოსიპედით მხოლოდ 16 წლის და მეტი ხნისანებისათვის.

ვიდრე ველოსიპედით ქუჩაში გახვიდოდეთ, აუცილებელია კარგად ისწავლოთ ველოსიპედით სიარული და ასევე კარგად იცოდეთ ქუჩაში მოძრაობის წესები. ქუჩაში მოძრაობისას ველოსიპედისტი თვალს უნდა ადევნებდეს ტრანსპორტისა და ქვეითების მოძრაობას, შუქნიშნის სიგნალებს. ამიტომ, ვინც ველოსიპედით მოძრაობა კარგად არ იცის, მას ქუჩაში შეიძლება ადვილად შეემთხვეს ხიფათი. სატრანსპორტო საშუალებებს ველოსიპედთან შეჯახებისას არაფერი მოუვათ, ველოსიპედისტი კი აუცილებლად მიიღებს ტრავმას, თან ველოსიპედიც დაემტვრევა.









არის შემთხვევები, როცა მცირე ასაკის მოხწავლეებმა არ იციან ქუჩაში მოძრაობის წესები, ველოსიპედსაც ვერ მართავენ რიგიანად, მაგრამ მაინც გადიან ქუჩაში და, მანქანების ნაკადში რომ მოხვდებიან, თავიანთ თავსაც და სხვებსაც ხიფათში აგდებენ. ამიტომ ყველა უფროსი ამხანაგის ვალია შეაჩერონ ასეთი ბავშვები და დაარბენინონ ისინი ეზოებში, სტადიონებზე.

ასევე არ შეიძლება ველოსიპედით სიარული ტროტუარზე და ქვეითად მოსიარულეთა ბილიკებზე, პარკებში და ბაღებში, საჭეზე ხელმოუკიდებლად სვლა, მგზავრების გადაყვანა; შეიძლება გადაიყვანოთ მხოლოდ ბავშვი, ისიც, თუ გაქვთ ფეხსადგამითა და დამატებითი საჯდომით აღჭურვილი ველოსიპედი.

გასეირნების წინ ველოსიპედი გულდასმით უნდა შეამოწმოთ. წესრიგში უნდა იყოს მუხრუჭები (სურ. 5), კარგად უნდა ჰქონდეს დამაგრებული საჭე (სურ. 3), უნდა შემოწმდეს ჯაჭვის დაჭიმულობა (სურ. 6) და საბურავების მდგომარეობა, საბურავებში ჰაერის წნევა და თვლების დამაგრების საიმედოობა (სურ. 7). გამართული უნდა იყოს ხმოვანი სიგნალიც (სურ. 2). ღამით და არასაკმარისი ხილვადობისას გზებზე მოძრაობის დროს ველოსიპედს წინ უნდა ჰქონდეს თეთრშუქიანი (სურ.





1). უკან კი წითელშუქიანი ფარანი (სურ. 4) და წითელი შუქამრეკლავი.

როცა დარწმუნდებით, რომ ველოსიპედი ტექნიკურად გამართულია, შეგიძლიათ სასეირნოდ წახვიდეთ.

საკონტროლო კითხვები

ვინც თავიდანვე ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენს განყოფილებას, არ გაუჭირდება აქ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. ყველა კითხვა ამა თუ იმ კუთხით გაშუქებული იყო წინა ნომრებში. კარგად დააკვირდით სურათებს და მოგვწერეთ:

1. რომელმა მძღოლმა უნდა დაუთმოს გზა?

2. რომელ სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ იმოძრაონ პირდაპირი მიმართულებით:

— ავტობუსს და ველოსიპედს;

— მსუბუქ და სატვირთო ავტომობილს;

— მსუბუქ ავტომობილს?

3. რომელ ნიშანს ჰქვია „დაუთმეთ გზა“?

4. ვინ უნდა დაუთმოს გზა: ველოსიპედისტმა თუ ავტობუსის მძღოლმა? რატომ?

5. რომელი მიმართულებითაა აკრძალული მოძრაობა:

— მარცხნივ და მარჯვნივ;

— პირდაპირ და უკუმიმართულებით;

— მხოლოდ პირდაპირ;

— ყველა მიმართულებით?

6. რომელი ნიშნები უკრძალავს ველოსიპედისტს მოძრაობას?

7. რომელი ველოსიპედისტები არღვევენ მოძრაობის ზესებს, რომელი მოძრაობს სწორად?

8. რომელი მძღოლები არღვევენ მოძრაობის რიგითობას:

— ავტომობილის მძღოლი;

— ველოსიპედისტი;

— მოტოციკლისტი?





საგიეგეი

ხარაზიშვილი ნ. — თამაშიდან ჭეშმარიტ მოვალეობამდე (ნარკვევი) . . . . . გარეკ. 2

ჩაჩანიძე რ. — იზარდე, მწვანე ჯეჯილო! (მოთხრობა, გაგრძელება) 4

აფხაზავა ნ. — მარშს არა აქვს არდადეგები! (ნარკვევი) . 9

ასლამაზიშვილი ვლ. — თეთრი ცხენი (მოთხრობა) . . . 13

ტაბატაძე კ. — გამარჯობა, მატარებელო! (ნარკვევი) . . 17

ჩხარტიშვილი ა. — ქვათახევი (წერილი) 20

ა ი ს ი 22

ცხოველთა ენა (ინგლისური ხალხური ზღაპარი) 23

მუჯირიშვილი ბ. — ცაცხვი (მოთხრობა) 25

გეგეჭკორი არნ. — ადამიანთა დიდი სახლი (წერილი) . . 27

მგელაძე შ. — ვინ დაივიწყებს?! (ლექსი) 29

ბურგენიძე ა. — ლექსები 29

აბულაშვილი ბ. — უშეღავათო ბრძოლა გამოვუცხადოთ ნარკომანიას (წერილი) 30

უცხოური იუმორი 30

ფრთხილად, ავტომოგილია! 31

ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3

შამფრიანი ს. — ხვანეთის გზაზე (ლექსი) . . . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ჯემალ ლოლუასი.

მთავარი რედაქტორი გაგულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, როგერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეფიროული, ზურაბ ფვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26. 7. 81, ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 8. 81, ქაღალდის ფორმატი 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1765, ტირ 157 209 ეგზ. უე 14204.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1981 წ.

კროსვორდი



თარაზულად: 5. რაიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება; 6. მუსიკალური თემის, მელოდიის სახესხვაობა; 9. აცდენა ანუ? 10. სოფელი გუდაუთის რაიონში; 11. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი ყვირილას ხეობაში; 15. ჩეხოსლოვაკიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე, მწერალი; 17. მდინარე აღმოსავლეთ აზიაში; 18. ბრაზილიელი მწერალი; 19. სოფელი დუშეთის რაიონში; 20. ფერწერასა და გრაფიკაში ტონის სხვადასხვა ელფერი; 24. ზუთხისებრი ჯიშის თევზი; 25. მოხერხება ანუ? 26. საბჭოთა მწერალი, პუბლიცისტი; 29. იშვიათი მინერალი, რომელსაც ახასიათებს ძლიერი რადიაქტივობა; 32. მგალობელი ფრინველი; 33. სოფელი გარდაბნის რაიონში; 34. წოდებულება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 35. ისტორიული ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელიც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და კლარჯეთის დედაქალაქი იყო.

შვეულად: 1. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; 2. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული; 3. ადამიანთა ასაკობრივ - სოციალური ჯგუფი; 4. ნაბეჭდი პროდუქციის საზომი ერთეული; 5. მოძღვრება, რომლის მიხედვითაც მატერია შედგება უმცირესი ნაწილაკებისაგან — ატომებისაგან; 7. ტაძარი აღმოსავლეთ საქართველოში; 8. მე-4 ვარსკვლავიერი სიდიდის ვარსკვლავი; 12. კუნძული აშშ-ის დასავლეთ სანაპიროსთან; 13. წყალქვეშა სასუნთქი აპარატი; 14. სოფელი გორის რაიონში; 16. ქართული ხალხური ეპოსის გმირი; 21. სპილენძის სასულე საკრავი; 22. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 23. სამხედრო იარაღისა და საჭურვლის საწყობი; 27. ორგანიზმის ქსოვილებისა და კუნთების მოდუნება; 28. ტროპიკული მცენარე; 30. ხილი; 31. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებს ქსოვილების საღებავად იყენებდნენ.

ხათუნა სალუქვაძე,
თბილისის 87-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.



გამოცანები

იგი მეცხვარეს
მუდამ თან ახლავს,
მრავალ მწვანე ხერს,
მთას გადალახავს;
არც ნაგაზია
და არცა თევა,
მაშ რაა იგი? —
მითხარი, ბევა.

●

აააითის გამოჩენამდე
ცეცხლს აჩაღებდა ის —
ფოლადის ვიწრო ნაჭერი,
ნატეხი მყარი ქვის,
გამომშრალ-გამოყვანილი
ხოკო ბებერი ხის.

ფრინველია ღამის,
დღისით ვერა ხედავს,
დიდთვალება კია,
რომელია, ნეტავ?
მას თანხმობის სიტყვას
მიუმატებ თუკი,
პიონერებს უხმობს,
რა იქნება?...

●

გარედან თეთრად ქათქათებს,
ორი ფერი აქვს შიგნით,
ზოგჯერ კი ცოცხალ არსებად
გადაიქცევა იგი.

●

ჭაბუკფერსამოსიანი
ტანწერწეტა ასული
თვით ბუნების განგებით
დილეგშია ჩასმული;
დარჩენია ოღონდაც
გარეთ მწვანე დალალი,
ვინც პირველი მიაგნებს,
მასზე იყოს ალალი.

●

აბა, სად ხდება, როცა
ფრთა ეკვეცება ხურვილს:
ირგვლივ წყალია, მაგრამ
მაინც ვერ იკლავ წყურვილს.

●

ოქროსფერი მარცვალი რომ
მოიბნევა ღამით,
მყისვე ქრება, როცა დგება
განთიადის ჟამი.

●

თუ დაკეცილი—სოლია,
სოკოა, როცა იშლება,
დაფიქრდი, ძნელი როდია
სწორი პასუხის მიგნება.

შარადა

ამობიბინდა მინდორზე,
ელავს ზურმუხტის დარად,
იმ სიტყვის სამი მარცვლიდან
მარტო საწყისი კმარა.

მესამე მუსიკალური
ბგერა დაურთე ახლა, —
მისი სახელი გმირული
შრომის სიმბოლო გახდა.

შ. ამირანაშვილი

ახლა მას არვინ არ ხმარობს,
მუზეუმებში მკვიდრობს.
გამოიცანი, რა ჰქვია,
არ მოანდომებ დიდ დროს.

ალექსი ნამორაძე

●

აბა, ისეთი ორნიშნა
რიცხვი მოძებნე, გიგი,
სარკეში ოთხნახევარჯერ
რომ გაიზარდოს იგი.

●

ვინც კი შეხედავს — იმ წამსვე
დახატავს ხოლმე ყველას;
ჰოდა, რაც არი, გეთაყვა,
ალბათ, მიხვდები ხელად.

სვანეთის გზაზე

მარჯვნივ — ენგური ქაფქაფა,
მარცხნივ — კლდეები სალი;
მესტიისაკენ მიგვაფრენს
ავტომობილი მალი.

რა ხეობაა — ზღაპარი! —
ცქერით ვერ ძღება თვალი;
სერებს აშლიათ ფაფარი,
ცაში ასულან მთანი...

მიიშოლტება გზა, რა გზა!..
დავლოცეთ მათი ჯანი,
ვინც ამ გზით გაალამაზა
წრფელი ცხოვრება სვანის.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ს. შამფრიანი

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76157